- ⑭ わたしの 学校では 中国語が 習えます。 ちゅうごくご なら
ჩემს სკოლაში ჩინური ისწავლება.

ბ) は გამოიყენება შეპირისპირების დროს.

- ⑮ きょうは 山が 見えました、きょうは 見えません。
გუშინ მთა ჩანდა, დღეს კი არ ჩანს.
- ⑯ ワインは 飲みますが、ビールは 飲みません。 べいる
ღვინოს ვსვამ, ლუდს კი არა ვსვამ.
- ⑰ 京都へは 行きますが、大阪へは 行きません。 かいとう
კიოტოში წავალ, ოსაკაში კი არა.

6. も

ისევე როგორც は-ს, も-საც შეუძლია შეცვალოს ზე ან ზღ თანდებული. გარდა ამისა も-ს შეუძლია შეცვალოს へ თანდებულიც; სხვა თანდებულებთან კი იგი თანაარსებობს.

- ⑱ ナナさんは 英語が 話せます。 フランス語も 話せます。
ნანას შეუძლია ინგლისურად ლაპარაკი. ფრანგულად ლაპარაკიც შეუძლია.
- ⑲ 去年 アメリカへ 行きました。 メキシコ[へ]も 行きました。
გასულ წელს ამერიკაში ვიყავი. მექსიკაშიც წავედი.
- ⑳ わたしの 部屋から 海が見えます。 弟の 部屋からも 見えます。
ჩემი ოთახიდან ჩანს ზღვა. ჩემი უმცროსი ძმის ოთახიდანაც ჩანს.

7. しか

しか ერთვის არსებით სახელს, რიცხვით სახელს და ა. შ. იგი ყოველთვის გამოიყენება შემასმენლის უარყოფით ფორმასთან; ხაზს უსვამს სიტყვას, რომელიც საზღვრავს რაიმეს და უარყოფს ყველაფერს გარდა იმისა, რაც წინადადებაშია მოცემული. მან შეიძლება შეცვალოს ზღ და ზე თანდებულები, მაგრამ როდესაც სხვა თანდებულებია წარმოდგენილი, იგი დაერთვის მათ. しか-ს უარყოფითი ელფერი აქვს, だけ-ს კი დადებითი.

- ローマ字しか 書けません。 რომაული ასოების გარდა, ვერაფერს ვერ ვწერ.
- ローマ字だけ 書けます。 მხოლოდ რომაული ასოების წერა შემიძლია.

ოცდამეორვე ბაკვეთილი
第 28 課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

うれる [パンが~]	売れる	გაყიდვა (პური კარგად იყიდება)
おどる かむ	踊る	ცეკვა (ცეკვაუს)
えらぶ	選ぶ	ღებვა, კბენა, კბენა (ღებავს)
ちがう	違う	ამორჩევა (ირჩევს)
かよう [だいがくに~]	通う [大学に~]	განსხვავება (განსხვავდება)
メモする	(memo)	სიარული (ინსტიტუტში დადის)
まじめ[な]		ჩაწერა, ჩანიშვნა (იწერს, ინიშნავს)
ねっしん[な]	熱心[な]	სერიოზული, პატიოსანი
やさしい	優しい	გულმოდგინე, ბეჯითი
えらい	偉い	კეთილი
ちょうどいい		დიდებული, გამორჩეული, ღირსეული (აღამიანი)
しゅうかん	習慣	ზუსტად შესაფერისი
けいけん	経験	აღათ-წესები
ちから	力	გამოცდილება
にんき	人気	ძალა
かたち	形	პოპულარობა (かくせいに ~がある)
いろ	色	პოპულარულია სტუდენტებს შორის)
あじ	味	ფორმა
ガム	(gum)	ფერი
しなもの	品物	გემო
ねだん	値段	სადეჭი რეზინა, კევი
きゅうりょう	給料	საქონელი
ボーナス	(bonus)	ფასი
ばんぐみ	番組	ხელფასი
ドラマ	(drama)	პრემია
しょうせつ	小説	რადიო ან სატელევიზიო პროგრამა
しょうせつか	小説家	ტელესერიალი, დრამა, პიესა
かしゅ	歌手	მოთხრობა, რომანი
かんりにん	管理人	მწერალი
		მომღერალი
		სახლის მეთვალყურე

28

むすこ	息子	(ჩემი) ვაჟიშვილი
むすこさん	息子さん	(სხვისი) ვაჟიშვილი
むすめ	娘	(ჩემი) ქალიშვილი
むすめさん	娘さん	(სხვისი) ქალიშვილი
じぶん	自分	თავისი თავი
しょうらい	将来	მომავალი
しばらく		ცოტა ხანი
たいてい		ჩვეულებრივ, ძირითადად, უმეტესად
それに		ამასთან ერთად
それで		ამიტომ

会話

[ちょっと]お願ねがいが あるんですが。
ホームステイ

かいわ
会話
おしゃべりする

ერთი სათხოვარი მაქვს.

(homestay) სხვასთან ოჯახში

ცხოვრება

ღიალოგი, საუბარი

ლაპარაკი (ლაპარაკობს)

読み物

お知らせ

ひ
日にち

ど
土

たいいくかん
体育館

むりょう
無料

ცნობა, განცხადება, შეტყობინება

თარიღი, დღე

შაბათი

სპორტდარბაზი

უფასო

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. მუსიკას ვუსმენ, თან საჭმელს ვჭამ.
2. ყოველ დილით ძუნძულით დავრბივარ.
3. მეტრო სწრაფიცაა და იაფიც. მეტროთი წავიდეთ.

წინადადების მაგალითები 例文

1. როცა მეძინება, საღებავ რეზინას ვღებავ და ისე ვატარებ მანქანას. მართლა? მე მანქანას ვაჩერებ და ცოტა ხანს ვიძინებ.
2. ტარო, ტელევიზორის ყურება და თან მეცადინეობა არ შეიძლება. დიას.
3. ის მუშაობს, თანაც ინსტიტუტში სწავლობს. მართლა? ყოჩაღ!
4. დასვენების დღეს, როგორც წესი, რას აკეთებთ ხოლმე? ჩვეულებრივ, სურათს ვხატავ.
5. ვატ მასწავლებელი მონღოლულიცაა, პატიოსანიც და ამასთან გამოცდილებაც აქვს. კარგი მასწავლებელი ყოფილა.
6. ბატონო ტანაკა, ხშირად მოგზაურობთ, მაგრამ უცხოეთში არ დადიხართ ხოლმე. დიას. არც ენა მესმის, იქ წეს-ჩვეულებებიც განსხვავებულია. ძნელია უცხოეთში მოგზაურობა.
7. რატომ ამოირჩიეთ საკურას უნივერსიტეტი? მაშაჩემმა საკურას უნივერსიტეტი დაამთავრა, იქ ბევრი კარგი მასწავლებელია თანაც, ჩემს სახლთან ახლოსაა და იმიტომ.

დიალოგი 会話

ჩაიზე . . .

- ოგავა საჩიკო: ბატონო მილერი, ერთი სათხოვარი მაქვს.
 მილერი: რა გნებავთ?
 ოგავა საჩიკო: ჩემს ვაჟიშვილს ინგლისურს ხომ არ ასწავლიდით? ზაფხულის არდადეგებზე ავსტრალიაში მიდის იქ ოჯახში იცხოვრებს. (ინგლისურად) ლაპარაკი კი არ შეუძლია.
 მილერი: დიას, ვასწავლიდი, მაგრამ დრო . . .
 ოგავა საჩიკო: ჩაის სმისას იქნებ ცოტა დაელაპარაკოთ.
 მილერი: ვერა, რამდენიმე მივლინება მაქვს, სულ მალე იაპონური ენის გამოცდაც მექნება . . .
 ოგავა საჩიკო: თანაც, აქამდე არავისთვის მისწავლებია...
 მილერი: არ შეგიძლიათ? რას ვიზამ, სამწუხაროა. მაპატიეთ.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

うちを借りる საცხოვრებლის დაქირავება

ინფორმაცია სახლის შესახებ

<p>① 中央線 ② 西荻窪駅</p>	<p>③ 徒歩5分</p>	
<p>④ マンション ⑤ 築3年</p> <p>⑥ 家賃 7万4千円 ⑦ 敷金 2か月分 ⑧ 礼金 2か月分</p> <p>⑨ 管理費 6,000円 ⑩ 南向き、 ⑪ 10階建ての8階</p> <p>スーパーまで 400 m</p>	<p>⑫ 2LDK (⑬ 6・6・LDK 8)</p> <p>⑭ やすい不動産 ☎ 03-1234-5678</p>	

- ① (მატარებლის საზის დასახელება)
- ② (მახლობელი სადგურის დასახელება)
- ③ (სადგურიდან) 5 წუთის სავალზე
- ④ პრესტიჟული მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი
*アパート ერთ- ან ორსართულიანი ხის სახლი
一戸建て კერძო სახლი
- ⑤ სამი წლის აშენებული
- ⑥ ბინის ქირა
- ⑦ დეპოზიტი
* თანხა, რომელიც რჩება ბინის მფლობელთან. ბინიდან გადასვლის შემთხვევაში თანხის ნაწილი გიბრუნდებათ.
- ⑧ თანხა ბინის მფლობელისათვის საჩუქრად
- ⑨ თანხა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისათვის
- ⑩ სამხრეთის მხარე
- ⑪ ათსართულიანი შენობის მე-8 სართული
- ⑫ სასტუმრო-სასადილო სამზარეულოთი და 2 ოთახი
- ⑬ 6 ტატამის ზომა (=6畳)
* 畳 ოთახის ფართის საზომი ერთეული
1畳 - ერთი ტატამი. ტატამის ზომა იაპონიაში განსხვავებულია რაიონების მიხედვით (ძირითადად, 1 ტატამი = 180X90სმ²).
- ⑭ უძრავი ქონების სააგენტო "იასუი"

IV გრამატიკა 文法

1.

ზ₁ ます-ფუძე ながら ზ₂

აღნიშნული სტრუქტურის წინადადება გვეუბნება, რომ სუბიექტი ორ განსხვავებულ მოქმედებას (ზ₁-სა და ზ₂-ს) ერთდროულად ასრულებს; ამ ორ მოქმედებას შორის ზ₂-ით გამოხატული მოქმედება უფრო მნიშვნელოვანია.

- ① 音楽を聞きながら食事します。მუსიკას ვუსმენ და თან საჭმელს ვჭამ.
ეს ფორმა გამოიყენება მაშინაც, როდესაც ორი მოქმედება თანადროული ხანგრძლივი დროის პერიოდში.
- ② 働きながら日本語を勉強しています。ემუშაობ და თან იაპონურს ვსწავლობ.

2.

ზ₂ -ფორმა います

ამ სტრუქტურით გამოიხატება ჩვეული, რეგულარულად განმეორებადი მოქმედება. თუ ეს მოქმედება წარსულში ხდებოდა, მაშინ იქნება: ზ₂ -ფორმა + いました.

- ③ 毎朝 ジョギングをしています。ყოველ დილით ძუნძულით დავრბივარ.
- ④ 子どものとき、毎晩 8時に寝ていました。
ბავშვობაში საღამოს 8 საათზე ვიძინებდი ხოლმე.

3.

უბრალო ფორმა する、～

ა) ეს სტრუქტურა ფაქტობრივად აერთიანებს გარკვეული თვალსაზრისის გამომხატველ რამდენიმე წინადადებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ წინადადება, რომელიც პიროვნებას დადებითად ახასიათებს რამდენიმე ნიშნის მიხედვით. შესაბამისი წინადადებების გაერთიანება ხდება მოცემული ფორმით.

- ⑤ ワット先生は熱心だし、まじめだし、経験もあります。
ვატ მასწავლებელი მონდომებულიცაა, პატიოსანიც და გამოცდილებაც აქვს.

ბ) მოცემული სტრუქტურა გამოიყენება მაშინაც, როდესაც რამდენიმე მიზეზის ერთ წინადადებაში გაერთიანება გვინდა.

- ⑥ 駅から近いし、車でも来られるし、この店はとても便利です。
ეს მაღაზია ძალიან მოხერხებულია. სადგურიდან ახლოსაა და მანქანითაც შეგიძლია მოხვიდე.

როდესაც მოსაუბრე მიზეზების შემცველ წინადადებას აყალიბებს ამ ფორმით, ხშირად ბოლოში დასკვნა აღარ არის წაარმოდგენილი, რადგანაც ის ისედაც ცხადია.

- ⑦ 息子に英語を教えていただけませんか。
უ-ი, 出張も多いし、もうすぐ日本語の試験もあるし・・・。

ჩემს ვაჟიშვილს ინგლისურს ხომ არ ასწავლიდით?

ვერა, რამდენიმე მივლინება მაქვს, სულ მალე იაპონური ენის გამოცდაც მექნება...

ზოგჯერ წინადადებაში მხოლოდ ერთი ~ს არის. ამ დროს რეალურად მოცემულია მხოლოდ ერთი მიზეზი, მაგრამ ~ს მიუთითებს, რომ სხვა მიზეზიც არსებობს. მიაქციეთ ყურადღება, რომ აღნიშნული არ ეხება ~から-ფორმას.

⑧ ^{いそ} 色も ^{きれい} きれいだし、この^{くつ}靴をかいます。

ფერიც ლამაზი აქვს (და სხვა მიზეზიც არსებობს), ამიტომაც ამ ფეხსაცმელს ვიყიდი.

როგორც შენიშნეთ, აღნიშნული სტრუქტურის წინადადებაში ხშირად გვხვდება თანდებული ზ. ამ თანდებულით მოსაუბრე ხაზს უსვამს იმას, რომ არსებობს კიდევ სხვა მსგავსი მიზეზიც.

4.

それに

それに -ს იყენებენ ნათქვამისათვის კიდევ სხვა, მისი მსგავსი შინაარსის დასამატებლად.

⑨ どうして ^{さいがく} さくら大学を ^{せん} 選んだんですか。

^{さいがく} さくら大学は、^{ちち} 父が ^{だいがく} 出た 大学だし、^{せんせい} いい先生も ^{おおい} 多いし、それに ^ま 家から ^{ちか} 近いんです。

რატომ ამოირჩიეთ საკურას უნივერსიტეტი?

საკურას უნივერსიტეტი დაამთავრა მამაჩემმა, იქ ბევრი კარგი მასწავლებელია, თანაც ჩემს სახლთან ახლოსაა.

5.

それで

それで გვიჩვენებს, რომ რაც მანამდე ითქვა, არის მომდევნო ნათქვამის მიზეზი.

⑩ このレストランは ^{ねだん} 値段も ^{あじ} 安いし、^{おいしい} おいしいんです。

それで ^{ひと} 人が ^{おおい} 多いんですね。

ამ რესტორანში ფასებიც დაბალია და საჭმელიც გემრიელია.

ამიტომ ხალხიც ბევრია.

6.

よくこの^{きっさてん}喫茶店に^く来るんですか。

ამ წინადადებაში (იხილეთ ^{れんしゅう} 練習 C 2) თანდებული に გვიჩვენებს ადგილს, სადაც მიდის ხოლმე სუბიექტი. に გამოყენებულია მიმართულების ~ თანდებულის მაგივრად. ^{いきます} いきます、^{きます} きます、^{かえります} かえります、^{しゅつちようします} しゅつちようします ზმნებთან შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც “ადგილი ~”, ისე “ადგილი に”

ოცდამეცხრე ბაკვეთილი
第 29 課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

あく	開く	გაღება (კარები იღება)
[ドアが~]		
しまる	閉まる	დახურვა (კარები იხურება)
[ドアが~]		
つく		ჩართვა (სინათლე ირთვება)
[でんきが~]	[電気が~]	
きえる	消える	ჩაქრობა, გაქრობა (სინათლე ქრება)
[でんきが~]	[電気が~]	
こむ	込む	გადატვირთვა (გზა გადატვირთულია)
[みちが~]	[道が~]	
すく		დაცარიელება (გზა ცარიელდება)
[みちが~]	[道が~]	
こわれる	壊れる	გატყდომა, გაფუჭება (სკამი ტყდება)
[いすが~]		
われる	割れる	გატყდომა, გაპობა (ჭიქა ტყდება)
[コップが~]		
おれる	折れる	გადატყდომა (ხე ტყდება)
[きが~]	[木が~]	
やぶれる	破れる	გახევა (ქაღალდი იხევა)
[かみが~]	[紙が~]	
よごれる	汚れる	დასვრა (ტანსაცმელი ისვრება)
[ふくが~]	[服が~]	
つく	付く	მიმაგრება (ჯიბე ემაგრება)
[ポケットが~]		
はずれる	外れる	მოძრობა, გახსნა (დიდი ძვრება, დიდი იხსნება)
[ボタンが~]		
とまる	止まる	გაჩერება (ლიფტი ჩერდება)
[エレベーターが~]		
まちがえる		შეცდომის დაშვება (უშვებს შეცდომას)
		დაგდება, დაკარგვა (აგდებს, კარგავს)
おとす	落とす	დაკეტვა (გასაღებით იკეტება)
かかる	かかる	თეფში ფიალა (ბრინჯისთვის)
[かぎが~]		ჭიქა
[お]さら		
[お]ちやわん		
コップ		

ガラス		მინა, შუშა
ふくろ	袋	ტომარა, პარკი
さいふ	財布	საფულე
えだ	枝	ტოტი
えきいん	駅員	სადგურის თანამშრომელი
この へん	この 辺	ამ მხარეს, ამ ტერიტორიაზე
~へん	~辺	~ის მხარე, ~ის ტერიტორია
このくらい		დაახლოებით ამ ზომის
おさきに どうぞ。	お先に どうぞ。	თქვენ შემდეგ. წინ მიბრძანდით.
[ああ、] よかった。		კიდევ კარგი! რა კარგია!

会話

いま ^{でんしゃ} 今の 電車	ის მატარებელი (რომელიც ახლახან წავიდა)
わす ^{もの} 忘れ物	ნივთი, რომელიც დაავიწყდათ; დაკარგული ნივთი
~側 ^{がわ}	~ის მხარე
ポケット	ჯიბე
おぼ ^覚 覚えていません。	არ მახსოვს
あみだな 綱棚	თარო
たし 確か	თუ არ მეშლება
よ ^つ ^や * 四ツ谷	(სადგურის სახელი ტოკიოში)

読み物

じしん 地震	მიწისძვრა
かべ 壁	კედელი
はり 針	(საათის) ისარი
さ ^す 指す	ჩვენება, მითითება (მიუთითებს)
えき ^{まえ} 駅前	სადგურის წინა ტერიტორია
たお ^{れる} 倒れる	წაქცევა (იქცევა)
にし 西	დასავლეთი
ほう 方	მხარე
さん ^{のみや} * 三宮	(ადგილის დასახელება კობეში)

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. ფანჯარა დახურულია.
2. ეს გამყიდველი ავტომატი გაფუჭებულია.
3. მატარებელში ქოლგა დამრჩა.

წინადადების მაგალითები 例文

1. სხდომათა დარბაზის კარი დაკეტილია.
მაშ, ქალბატონ ვატანაბეს ვუთხრათ, გაგვიღოს.
2. ეს ფაქსი რომ გამოვიყენო შეიძლება?
ეგ გაფუჭებულია, ის გამოვიყენეთ.
3. ბატონი შმიტის მოტანილი ღვინო სად არის?
ყველამ ერთად დაგლიეთ (გამოვცალეთ).
4. სასადილოდ ხომ არ წავსულიყავით?
უკაცრავად, ამ წერილს დავამთავრებ. ჯერ თქვენ მიბრძანდით.
5. მოასწარით შინკანსენზე?
კერა, გზა გადავსებული იყო და დაეაგვიანე.
6. ბილეთი დავკარგე და როგორ მოვიქცე?
სადგურის იმ თანამშრომელს მიმართეთ.

დიალოგი 会話

რაღაც დამრჩა?

- ი: უკაცრავად, იმ მატარებელში რაღაც დამრჩა.
- სადგ. თანამშ.: რა დავრჩათ?
- ი: ლურჯი ჩანთაა, აი ასეთი ზომის. . . .
გარედან დიდი ჯიბეები აქვს.
- სადგ. თანამშ.: სად?
- ი: კარგად არ მახსოვს, მაგრამ ზედა თაროზე შემოვდე.
- სადგ. თანამშ.: შიგ რა გედოთ?
- ი: როგორც მახსოვს, წიგნები და ქოლგა უნდა იყოს.
- სადგ. თანამშ.: კარგი. ახლავე დავუკავშირდები. ცოტა მოიცადეთ.
- სადგ. თანამშ.: ვიპოვეთ.
- ი: კიდევ კარგი.
- სადგ. თანამშ.: ახლა იოცუიას სადგურზეა. რას იზამთ?
- ი: ახლავე წავალ ასაღებად.
- სადგ. თანამშ.: მაშ, იოცუიას სადგურის ოფისს მიმართეთ.
- ი: დიახ. დიდი მადლობა.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

じょうたい ようす
状態・様子

მდგომარეობა და გარემონული სახე

<p>太っている მსუქანი</p> 	<p>やせている გამსღარი</p> 	<p>膨らんでいる გაბერილი</p> 	<p>穴が開いている გახვრეტილი</p> 
<p>まがっている მოღუნული</p> 	<p>ゆがんでいる დეფორმირებული</p> 	<p>へこんでいる შეღუნული</p> 	<p>ねじれている გადაგრეხილი</p> 
<p>か 欠けている მიმტვრეული</p> 	<p>ひびが入っている გაბზარული</p> 	<p>くさ 腐っている გაფუჭებული (საჭმელი)</p> 	
<p>かわ 乾いている მშრალი</p> 	<p>ぬれ ぬれている სველი</p> 	<p>こお 凍っている გაყინული</p> 	

IV გრამატიკა 文法

1.

ㄱ **ㄱ**-ფორმა **ㅂ니다**

ეს სტრუქტურა გამოხატავს მდგომარეობას, რომელიც ძირითადი ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულების შედეგად მიიღება:

1)

ㄱ **ㄱ** **ㄱ**-ფორმა **ㅂ니다**

① ^{まど}窓^が ^わ割^れて **ㅂ니다**. ფანჯარა გატეხილია.

② ^{でんき}電氣^が ^ついて **ㅂ니다**. სინათლე ანთია.

ეს სტრუქტურა გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსაუბრე აღწერს მდგომარეობას, რომელსაც ის ხედავს. მოცემული კონსტრუქციის სუბიექტს, რომელიც სემანტიკურად მოქმედების განმცდელია, დაერთვის სუფიქსი **ㄱ**. ① მაგალითი გვიჩვენებს, რომ მოქმედება წარსულში მოხდა, ახლა კი ვხედავთ ამ მოქმედების შედეგს (გატეხილია). ამ კონსტრუქციაში გამოყენებული ზმნური ფორმა გარდაუვალია და ძირითადად გამოხატავს მომენტალურ მოქმედებას. ხშირად გვხვდება ზმნები: **ㄱ** **ㄱ**, **ㄱ** **ㄱ**, **ㄱ** **ㄱ**. როდესაც გვინდა წარსულში არსებული, მდგომარეობის აღწერა გამოვიყენებთ 「**ㄱ** **ㄱ**-ფორმა **ㅂ**」-ს.

③ ^け今朝^は ^{みち}道^が ^とんで **ㅂ**. ამ დღით გზა გადავსებული იყო.

2)

ㄱ **ㄱ**-ფორმა **ㅂ니다**

როდესაც კონსტრუქციის სუბიექტი გვინდა თემად გადავაქციოთ, დავურთავთ **ㅂ**-ს, როგორც ეს ④-შია მოცემული: მოსაუბრე ნათლად წარმოაჩენს სკამს სალაპარაკო თემად, შემდეგ აღწერს მის მდგომარეობას.

④ ^{この}この^{いす}いす^は ^こ壊^れて **ㅂ니다**. ეს სკამი გატეხილია.

2.

ㄱ-ფორმა **ㅂ** / **ㅂ**

ეს სტრუქტურა გამოხატავს მოქმედების დასრულებულობასა და შეუქცევადობას. მასთან ხშირად იხმარება სიტყვები **ㄱ** (უკვე) და **ㄱ** (სულ).

⑤ ^{シュミット}シュミット^{さん} ^が ^もって ^来た ^{ワイン}ワイン^は ^全部 ^飲んで **ㅂ**.

ბატონი შმიტის მოტანილი ღვინო სულ დაველიეთ.

⑥ ^{漢字}漢字^の ^宿題^は ^もう ^やって **ㅂ**.

დავალება იეროგლიფებში უკვე შევასრულე.

⑤-ში ჩანს შედეგი, რომ ღვინო აღარ არის, ხოლო ⑥-ში მოსაუბრის სიმშვიდე, რომ დავალება დასაწერი აღარ აქვს.

ㄱ **ㄱ**-ფორმა **ㅂ** სტრუქტურა გამოხატავს, რომ მოსაუბრე მომავალში გარკვეულ მოქმედებას დაასრულებს.

⑦ ^昼昼^ご ^は ^まで ^に ^レポ^ート ^を ^書いて **ㅂ**.

ანგარიშის წერას სადილამდე დავასრულებ.

3.

㊦-ფორმა しまいました

ეს სტრუქტურა გამოხატავს მოსაუბრის შეცბუნებას ან სინანულს მოქმედების შესრულების გამო, რომელმაც რთული სიტუაცია შეუქმნა.

⑧ パスポートをなくしてしまいました。პასპორტი დამეკარგა.

⑨ パソコンが故障^{こしょう}してしまいました。კომპიუტერი გამიფუჭდა.

პასპორტის დაკარგვა ან კომპიუტერთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება გამოვხატოთ უბრალოდ なくしました ან こしょうしました-თი, მაგრამ ㊦-ფორმა しまいました გადმოსცემს მოსაუბრის შეცბუნებას ან სინანულის გრძნობას მომხდარი ფაქტის გამო.

4. ありました

⑩ [かばんが] ありましたよ。ვნახე (ვიპოვე) [ჩანთა].

ありました აქ გვიჩვენებს, რომ მოსაუბრემ იპოვა ჩანთა და არ გამოხატავს იმას, რომ ჩანთა მანადე სადმე იყო.

5. どこかで / どこかに

13-ე გაკვეთილში ისწავლეთ, რომ どこか~-დან შეიძლება ამოვიღოთ ~, なくかを-დან კი なくを-ს ამოღება შეიძლება; მაგრამ どこかで-დან არ შეიძლება ამოვიღოთ で (⑪) და არც どこかに-დან შეიძლება に-ის ამოღება (⑫).

⑪ どこかで 財布^{さいふ}を なくして しまいました。საფულე სადღაც დამეკარგე.

⑫ どこかに 電話^{でんわ}が ありませんか。აქ სადმე ტელეფონი ხომ არ არის?

ოცდამეათე ბაკვეთილი
第30課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

はる		გაკვრა (აკრავს)
かける	掛ける	დაკიდება (კიდებს)
かざる	飾る	მორთვა (რთავს)
ならべる	並べる	ჩამწკრივება (ამწკრივებს)
うえる	植える	დარგვა (რგავს)
もどす	戻す	უკან დაბრუნება (უკან აბრუნებს)
まとめる		შეჯამება, თავმოყრა (აჯამებს, თავს უყრის)
かたづける	片づける	დალაგება, ნივთებისათვის ადგილის მიჩენა (ალაგებს)
しまう		ადგილის მიჩენა (დებს თავის ადგილზე)
きめる	決める	გადაწყვეტა (წყვეტს)
しらせる	知らせる	შეტყობინება (ატყობინებს)
そうだんする	相談する	მოლაპარაკება რჩევის მიღების მიზნით (ელაპარაკება, რჩევას ეკითხება)
よしゅうする	予習する	გაკვეთილის მომზადება (გაკვეთილისათვის ემზადება)
ふくしゅうする	復習する	გაკვეთილების გამეორება (იმეორებს)
そのままにする		რაიმეს დატოვება ისე, როგორც არის (ტოვებს)
おこさん	お子さん	(სხვისი) ბავშვი, შვილი
じゅぎょう	授業	გაკვეთილი, მეცადინეობა
こうぎ	講義	ლექცია
ミーティング		შეხვედრა, კრება
よてい	予定	გეგმა
おしらせ	お知らせ	ცნობა, ინფორმაცია, შეტყობინება
あんないしょ	案内書	მეგზური, გზამკვლევი (წიგნი ან ბუკლეტი)
カレンダー		კალენდარი
ポスター		პლაკატი
ごみばこ		ნაგვის ყუთი
にんぎょう	人形	თოჯინა
かびん	花瓶	ლარნაკი

かがみ
ひきだし
げんかん
ろうか
かべ
いけ
こうばん
もとの ところ
まわり
まんなか
すみ
まだ
~ほど

鏡
引き出し
玄関
廊下
壁
池
交番
元の 所
周り
真ん中
隅

სარკე
უჯრა
შემოსასვლელი
კორიდორი, დერეფანი
კედელი
გუბე, გუბურა
პოლიციის პოსტი, პოლიციის ჯიხური
საწყისი ადგილი, საწყისი პუნქტი
გარშემო, ირგვლივ
ცენტრი, ზუსტად შუა ადგილი
კუთხე
ჯერ კიდევ
დაახლოებით ~

会話

よていひょう
予定表
ご苦労さま。

きぼう
希望
なに 何か 希望が ありますか。
ミュージカル
それは いいですね。
*ブロードウェイ

განრიგი (ცხრილი)

გმადლობთ, რომ ასე ბეჯითად იმუშავეთ (ასე უხდინან მადლობას უფროსები უმცროსებს ან ქვეშევრდომებს კარგი მუშაობისთვის) სურვილი, შეკვეთა

რაიმეხომ არ გსურთ? რაიმეს ხომ არ ინებებთ?

(musical) მიუზიკლი

ეს კარგია!

(Broadway) ბროდვეი

読み物

まる
丸い
つき
月
ある~
ちきゅう
地球
うれしい
いや
嫌[な]
すると
め
目が覚める

მრგვალი

მთვარე

ერთი ~, ვიღაც ~, რაღაც ~

დედამიწა

სასიხარულო

საძულველი

და, შემდეგ

გაღვიძება (იღვიძებს)

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. პოლიციის განყოფილებაში ქალაქის რუკაა გაკრული.
2. მოგზაურობის წინ გზამკვლევეს ვკითხულობ.

წინადადების მაგალითები 例文

1. სადგურის ახალი ტუალეტი საინტერესოა, არა?
მართლა?
კედლებზე ყვავილები და ცხოველებია დახატული.
2. გადასაწებებელი ლენტი სად არის?
იმ უჯრაშია შენახული.
3. უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, რას დაარქმევთ ბავშვს?
არა, სახეზე რომ შევხედავ, მერე ვიფიქრებ.
4. მომავალი კრებისათვის რისი გაკეთება აჯობებს?
ეს მასალები წაიკითხეთ.
5. მოხალისეთა მოძრაობაში მინდა მონაწილეობა მივიღო და 2 კვირით ხომ ვერ გამანთავისუფლებთ?
2 კვირით, არა? ჰოო. . . დეპარტამენტის უფროსს დაველაპარაკებო.
6. მაკრატელს რომ გამოიყენებთ, ისევ თავის ადგილას დააბრუნეთ.
გასაგებია.
7. მასალები რომ დავალაგო შეიძლება?
არა, ისე დატოვეთ, როგორც არის. ჯერ კიდევ მჭირდება.



დიალოგი 会話

ბილეთებს შევუკვეთავ

მილერი: ქალბატონო ნაკამურა, ნიუ-იორკში მივლინების განრიგი და საჭირო მასალები მზად არის.
განვ-ბის უფრ. ნაკამურა: გმადლობთ. მასალები იქ დადეთ, მერე ვნახავ.
მილერი: დიას.
ნაკამურა: მივლინების განრიგი ეს არის, არა? ბატონ ვაითს უკვე დაუკავშირდით?
მილერი: დიას.
ნაკამურა: ამ დღის მეორე ნახევარში არაფერია დაგეგმილი და. . .
ნაკამურა: დიას, ასეა.
მილერი: რაიმეს ხომ არ ისურვებდით?
ნაკამურა: ბროდვეიზე ერთხელ მაინც მიუზიკლი მინდოდა მენახა.
მილერი: შესანიშნავია, შევუკვეთო ბილეთები?
ნაკამურა: დიას, თუ შეიძლება.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

いち 位置 აღბილმეუბარეობა



IV გრამატიკა 文法

1. **㊦-ფორმა あります**

ეს სტრუქტურა გამოხატავს სუბიექტის მიერ გარკვეული განზრახვით შესრულებული მოქმედების შედეგს; გამოიყენება გარდამავალი ზმნა, რომლით გამოხატული მოქმედებაც შესრულდა გარკვეული მიზნით.

1) **㊦₁ に ㊦₂ が ㊦-ფორმა あります**

① 机の上にメモが置いてあります。

მაგიდაზე ჩანაწერი დევს.

② カレンダーに今月の予定が書いてあります。

კალენდარზე ამ თვის გეგმა წერია.

① გვეუბნება, რომ ვიღაცამ მაგიდაზე დადო ჩანაწერი (შემდგომი გამოყენების მიზნით), შედეგად – ჩანაწერი არის და ის დევს მაგიდაზე;

② გვიჩვენებს, რომ ვიღაცამ დაწერა ამ თვის გეგმა კალენდარზე (რათა არ დაევიწყებოდა), შედეგად – გეგმა დაწერილია კალენდარზე.

2) **㊦₂ は ㊦₁ に ㊦-ფორმა あります**

ამ კონსტრუქციაში ㊦₂ წინადადების თემაა.

③ メモは どこですか。

[メモは] 机の上に置いてあります。

სად არის ჩანაწერი?

ჩანაწერი მაგიდაზე დევს.

④ 今月の予定は カレンダーに書いてあります。

ამ თვის გეგმა კალენდარზე წერია.

3) [㊦-ფორმა あります] გამოიყენება იმ ვითარების გამოსახატავად, რომელიც ძირითადი ზმნით გამოხატული მოქმედების გარკვეული მიზნით შესრულების შედეგად შეიქმნა. ამგვარად, მან აგრეთვე შეიძლება გამოხატოს გარკვეული სამზადისი, როგორც ეს ⑤-სა და ⑥-შია.

⑤ 誕生日のプレゼントはもう買ってあります。

დაბადების დღისთვის საჩუქარი უკვე ნაყიდა.

⑥ ホテルはもう予約してあります。

სასტუმრო უკვე შეკვეთილია.

შენიშვნა: დააკვირდით განსხვავებას ㊦-ფორმა あります-სა და ㊦-ფორმა います-ს შორის.

⑦ 窓が閉まって います。ფანჯარა დახურულია.

⑧ 窓が閉めて あります。ფანჯარა დახურულია (გარკვეული მიზნით).

⑦ უბრალოდ აღწერს, თუ რა მდგომარეობაშია ფანჯრა; ⑧ გვიჩვენებს, რომ ვიღაცამ (შეიძლება ეს თვით მოსაუბრე იყოს) დახურა ფანჯარა გარკვეული მიზნით. ჩვეულებრივ, [㊦-ფორმა います] სტრუქტურაში ზმნა გარდაუვალია, ხოლო [㊦-ფორმა あります]-ში – გარდამავალი. ბევრ გარდაუვალ ზმნას აქვს შესატყვისი გარდამავალი. იხილეთ ძირითადი წიგნის 228 გვ., 自動詞 と 他動詞.

2. **〆**-ფორმა **おきます**

ეს სტრუქტურა გამოხატავს:

1) მოცემული დროისათვის რაიმე აუცილებელი მოქმედების შესრულებას.

⑨ 旅行の まえに 切符を 買って おきます。

მოგზაურობის წინ ბილეთს ვყიდულობ.

⑩ 次の 会議までに 何を して おいたら いいですか。

この 資料を 読んで おいて ください。

მომავალი კრებისათვის რისი გაკეთება აჯობებს?

ეს მასალები წაიკითხეთ.

2) აუცილებელი მოქმედების შესრულებას, რომლის შედეგი ქმნის პირობას შემდგომი მოქმედებისათვის.

⑪ はさみは 使ったら、元の 所に 戻して おいて ください。

მაკრატელს რომ გამოიყენებთ, ისევ თავის ადგილას დააბრუნეთ.

3) მოქმედების შედეგი უცვლელად დატოვონ, ისე, როგორც არის.

⑫ あした 会議が ありますから、いすは この ままに して おいて ください。

ხვალ კრებაა და სკამები ისე დატოვეთ, როგორც არის.

შენიშვნა: საუბრისას ~ て おきます ხშირად გამოითქმის, როგორც ~ ときます.

⑬ そこに 置いて 置いて (置いて おいて) ください。

იქ დატოვეთ.

3. **まだ** **〆** (მტკიცებითი)ჯერ კიდევ **〆**

⑭ まだ 雨が ふって います。ჯერ კიდევ წვიმს.

⑮ 道具を 片づけ ますか。ხელსაწყოები დავალაგო?

まだ 使って いますから、その ままに して おいて ください。

ჯერ კიდევ მჭირდება და დატოვეთ ისე, როგორც არის.

まだ ⑭-სა და ⑮-ში ნიშნავს "ჯერ კიდევ" და მიგვანიშნებს, რომ არსებული მოქმედება ან მდგომარეობა გრძელდება.

4. **それは**~

⑯ ブロードウェイで ミュージカルを 見たいと 思 います。

それはいいですね。

ბროდვეიზე მიუზიკლის ნახვა მინდა.

შესანიშნავია.

⑰ 来月から 大阪の 本 社に 転勤 なんです。

それは おめで とう ございます。

მომავალი თვიდან ოსაკას მთავარ ოფისში გადავდივარ სამუშაოდ.

გილოცავთ!

⑱ 時々 頭 や 胃 が 痛く なる んです。

それは いけません ね。

ხანდახან თავი და კუჭი მტკივდება.

ეგრე არ ივარგებს.

それ ⑯-ში, ⑰-სა და ⑱-ში გამოხატავს იმას, რაც ახლახან ითქვა.

ოცდამეთერთმეტე ბაკვეთილი
第 3 1 課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

はじまる	始まる	დაწყება
[しきが~]	[式が~]	(ცერემონია იწყება)
つづける	続ける	გაგრძელება (აგრძელებს)
みつける	見つける	პოვნა (პოულობს)
うける	受ける	მიღება
[しけんを~]	[試験を~]	(გამოცდას აბარებს)
にゅうがくする	入学する	სასწავლებელში შესვლა
[だいがくに~]	[大学に~]	(ინსტიტუტში შედის)
そつぎょうする	卒業する	სასწავლებელის დამთავრება
[だいがくを~]	[大学を~]	(ინსტიტუტს ამთავრებს)
しゅっせきする	出席する	დასწრება
[かいぎに~]	[会議に~]	(კრებას ესწრება)
きゅうけいする	休憩する	შესვენება (ისვენებს)
れんきゅう	連休	რამოდენიმე დასვენების დღე ერთად
さくぶん	作文	თემა, თხზულება
てんらんかい	展覧会	გამოფენა
けっこんしき	結婚式	ქორწილის ცერემონია
[お]そうしき	[お]葬式	დაკრძალვის ცერემონია
しき	式	ცერემონია
ほんしゃ	本社	ფირმის მთავარი ოფისი
してん	支店	ფილიალი, განყოფილება
きょうかい	教会	ეკლესია
だいがくいん	大学院	ასპირანტურა
どうぶつえん	動物園	ზოოპარკი
おんせん	温泉	თბილი ან ცხელი (მინერალური)
おきゃく[さん]	お客[さん]	წყლის წყარო
だれか		სტუმარი, მომსვლელი,
~の ほう	~の 方	მყიდველი, კლიენტი
ずっと		ვინმე
*ピカソ		~ისკენ, ~ის მხარეს
		სულ ერთთავად, განუწყვეტლივ
		პაბლო პიკასო, ესპანელი მხატვარი
		(1881-1973)
		უენოს პარკი (ტოკიოში)

うえのこうえん
*上野公園

会話

のこ
残るつき
月におつう
普通の

インターネット

დარჩენა (რჩევა)

თვეში

ჩვეულებრივი

ინტერნეტი

読み物

むら
村えいがかん
映画館いや
嫌[な]そら
空と
閉じるとかい
都会こ
子どもたちじゆう
自由にせかいじゆう
世界中あつ
集まるうつく
美しいしぜん
自然

すばらしさ

きが つく

სოფელი

კინოთეატრი

საძულველი

ცა

დახურვა (ხურავს)

დიდი ქალაქი

ბავშვები

თავისუფლად

მთელს მსოფლიოში

შეკრება (იკრიბება)

ლამაზი

ბუნება

მშვენიერება

შემჩნევა (ამჩნევს)

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. მოდი ერთად დაველიოთ.
2. ვფიქრობ, მომავალში საკუთარი ფირმა ჩამოყაყალიბო.
3. მომავალ თვეში მანქანის ყიდვას ვაპირებ.

წინადადების მაგალითები 例文

1. დაილაღე, არა? ცოტა ხომ არ დაგვესვენა?
ჰო, ასე ვქნათ.
2. ახალწელს რას აკეთებთ?
ვფიქრობ, ოჯახთან ერთად თბილი წყლის წყაროებზე წავიდე.
ეგ კარგია.
3. ანგარიში უკვე დაწერეთ?
არა, ჯერ არ დამიწერია.
ვფიქრობ, პარასკევამდე შევაჯამო.
4. ჰანს, სამშობლოში რომ დაბრუნდები, ძიუდოს გააგრძელებ?
დიახ, გაგრძელებას ვაპირებ.
5. ზაფხულის არდადეგებზე სამშობლოში არ ბრუნდებით?
დიახ. ასპირანტურაში ვაბარებ, ამიტომ წელს არ ვაპირებ სამშობლოში დაბრუნებას.
6. ხვალ ნიუ-იორკში მივდივარ მივლინებით.
მართლა? როდის დაბრუნდებით?
მომავალი კვირის პარასკევს მაქვს დაგეგმილი.

დიალოგი 会話

ინტერნეტით ვაპირებ მიმოწერას

- ოგავა: მომავალი თვიდან მარტოხელა ვარ!
- მილერი: რა?
- ოგავა: სინამდვილეში, ოსაკას მთავარ ოფისში გადავდივარ.
- მილერი: მთავარ ოფისში? მომილოცავს! მაგრამ მარტოხელა რატომ ხდებით?
- ოგავა: ცოლი და ბავშვები ტოკიოში რჩებიან.
- მილერი: ეგ როგორ? ერთად არ მიდიხართ?
- ოგავა: ვაჟიშვილს მომავალ წელს ინსტიტუტში მისაღები გამოცდები აქვს და ტოკიოში დავრჩებიო, ამბობს. ცოლსაც არ უნდა ამჟამინდელი სამუშაოს მიტოვება.
- მილერი: ცალ-ცალკე იცხოვრებთ?
- ოგავა: კი, მაგრამ თვეში 2-3 ჯერ, შაბათ-კვირას, ვფიქრობ, ჩამოვიდე.
- მილერი: რა ძნელია.
- ოგავა: ჩვეულებრივ დღეებში მექნება თავისუფალი დრო და ინტერნეტით ვაპირებ მიმოწერას.
- მილერი: მართლა? ეგეც კარგია.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

せんもん

専門 სპეციალობა, დარბი

いがく
医学

მედიცინა

せいじがく
政治学

პოლიტიკა

やくがく
薬学

ფარმაკოლოგია

こくさいかんけいがく
国際関係学

საერთაშორისო
ურთიერთობები

かがく
化学

ქიმია

ほりつがく
法律学

სამართლისმცოდნეობა
(იურისპრუდენცია)

せいかがく
生化学

ბიოქიმია

けいざいがく
経済学

ეკონომიკა

せいぶつがく
生物学

ბიოლოგია

けいえいがく
経営学

მართვა
(მენეჯმენტი)

のうがく
農学

აგრონომია

しゃかいがく
社会学

სოციოლოგია

ちがく
地学

გეოლოგია

きょういくがく
教育学

პედაგოგია

ちりがく
地理学

გეოგრაფია

ぶんがく
文学

ლიტერატურა

すうがく
数学

მათემატიკა

げんごがく
言語学

ენათმეცნიერება

ぶつりがく
物理学

ფიზიკა

しんりがく
心理学

ფსიქოლოგია

こうがく
工学

საინჟინრო საქმე

てつがく
哲学

ფილოსოფია

どぼくこうがく
土木工学

სამშენებლო საქმე

しゅうきょうがく
宗教学

თეოლოგია
(მეცნიერება
რელიგიების შესახებ)
ხელოვნება

でんしこうがく
電子工学

ელექტრონიკა

けいじゆつ
芸術

მუსიკა

でんきこうがく
電気工学

ელექტროტექნიკა

おんがく
音楽

きかいこうがく
機械工学

მექანიკა

たいしよくがく
体育学

ფიზკულტურა

コンピューター

კომპიუტერული

こうがく
工学

საქმე

いでんしこうがく
遺伝子工学

გენური ინჟინერია

けんちくがく
建築学




არქიტექტურა

てんもんがく
天文学

ასტრონომია

かんきようかがく
環境科学

ეკოლოგია



IV გრამატიკა 文法

1. ზმნის მოხმობითი ფორმა

I ჯგუფის ზმნებში ბოლოიდური u შეიცვლება ou-თი. あるく→あるこう、やすむ→やすもう、まつ→まとう

II ჯგუფის ზმნებს ჩამოშორდებათ る და დაემატებათ よう.
かえる→かえよう、みる→みよう、

III ჯგუფი: する→しよう、くる→こよう

2. როგორ გამოვიყენოთ ზმნის მოხმობითი ფორმა

1) უბრალო სტილის წინადადებებში ზმნის ましよ ფორმის მაგივრად გამოვიყენება ზმნის მოხმობითი ფორმა.

- ① ちよっと 休まない? ცოტა ხომ არ დაგვესვენა?
うん、休もう。 ჰო, დავისვენოთ.
- ② 少し休もうか。 ცოტა დავისვენოთ?
- ③ 手伝おうか。 დაგეხმარო?

შენიშვნა: ② და ③ წინადადებები ბოლოვდება ნაწილაკით か მიუხედავად იმისა, რომ ორივე უბრალო ფორმისაა.

2)

ზ მოხმობითი ფორმა と 思っています

ეს სტრუქტურა გამოხატავს იმას, თუ რის გაკეთებას ფიქრობს მოსაუბრე. იმავეს გამოხატავს [ზ მოხმობითი ფორმა と おもいます], ოღონდ იმ განსხვავებით, რომ [ზ მოხმობითი ფორმა と おもっています] გვიჩვენებს რომ მოსაუბრეს განზრახული მოქმედების შესრულებამდე უფრო მეტი დრო აქვს.

- ④ 週末は海に行こうと 思っています。
კვირის ბოლოს ვფიქრობ ზღვაზე წასვლას.
- ⑤ 今から銀行へ行こうと 思います。
ახლა ბანკში ვაპირებ წასვლას.

შენიშვნა: [ზ მოხმობითი ფორმა と おもっています] შეიძლება მესამე პირის განზრახვასაც გამოხატავდეს.

- ⑥ 彼は 外国で 働こう と 思っています。
ის უცხოეთში მუშაობას აპირებს.

3.

ზ სალექსიკონო ფორმა	つもりです
【 ない-ფუძე ない】	

[ზ სალექსიკონო ფორმა つもりです] გამოხატავს მოსაუბრის განზრახვას, გააკეთოს რაიმე. [ない-ფუძე ない つもりです] გამოხატავს მოსაუბრის განზრახვას აღარ გააკეთოს რაიმე.

- ⑦ 国へ 帰っても、柔道 を 続けるつもりです。
სამშობლოში რომც დავბრუნდებ, იქაც ვაპირებ გავაგრძელო ძიუდო.
- ⑧ あしたからは たばこを吸わない つもりです。
ხვალიდან ვაპირებ თამბაქოს მოწვევას თავი დავანებო.

შენიშვნა: [ზ სალექსიკონო ფორმა つもりです] უფრო მტკიცე გადაწყვეტილებას გამოხატავს ვიდრე [ზ მოხმობითი ფორმა とおもっています].

4.

ზ სალექსიკონო ფორმა	よてい 予定
ა ო	予定です

ამ სტრუქტურის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ გააცნოთ მსმენელს თქვენი სამომავლო გეგმა.

⑨ 7月の^{がつ} 終わりに^お ドイツへ^{しゅつちよう} 出張する^{よてい} 予定です
ივლისის ბოლოს გერმანიაში წასვლას ვაპირებ.

⑩ 旅行は^{りょこう} 1週間^{しゅうかん} ぐらいの^{よてい} 予定です。
მოგზაურობა დაახლოებით ერთ კვირაზეა დაგეგმილი.

5.

まだ ზე-ფორმა **いません**

ეს სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ მოქმედება ჯერ არ შესრულებულა ან მოვლენას ჯერ ადგილი არ ჰქონია.

⑪ 銀行は、まだ開いていません。バンキ ჯერ არ გახსნილა..

⑫ レポートは もう 書きましたか。 ანგარიში უკვე დაწერეთ?
いいえ、まだ書いていません。 არა, ჯერ არ დამიწერია.

6.

こ~ / そ~

წერისას **そ** რიგის ჩვენებითი ნაცვალსახელით შეგვიძლია მივუთითოთ მანამდე ნახსენებ სიტყვებზე ან წინადადებებზე. ხანდახან მის მაგივრად **こ** რიგის ჩვენებით ნაცვალსახელს იყენებენ. ამ შემთხვევაში დამწერი ცდილობს მკითხველს აუხსნას ისე როგორც ფიქრობს რომ რეალურად არის.

⑬ 東京に^{とうきょう} ない^{もの}物が 1つだけ ある。 それは ^{うつく} 美しい ^{しぜん} 自然だ。
ტოკიოში ერთი რამ არ არის. ეს ლამაზი ბუნებაა.

⑭ わたしが いちばん ^{ほしい} 欲しい ^{もの} 物は 「どこでも ドア」 です。 この ドア ^あ を開けると、どこでも ^い 行きたい ^{ところ} 所へ 行けます。
მერაც ყველაზე ძალიან მინდა, ეს არის “ჯადოსნური კარი”. ამ კარს რომ გააღებ, სადაც გინდა ყველგან შეძლებ წასვლას.

ოცდამეთორმეტე ბაკვეთილი

第32課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

うんどうする	運動する	ფიზიკური ვარჯიში (ვარჯიშობს)
せいこうする	成功する	წარმატების მიღწევა (წარმატებას აღწევს)
しっばいする	失敗する	მარცხი, წარუმატებლობა, ჩაჭრა
[しけん]に~	[試験]に~	(გამოცდაზე იჭრება)
ごうかくする	合格する	წარმატებით ჩაბარება
[しけん]に~	[試験]に~	(გამოცდას წარმატებით აბარებს)
もどる	戻る	დაბრუნება (ბრუნდება)
やむ		შეწყვეტა, შეჩერება
[あめ]が~	[雨]が~	(წვიმა ჩერდება)
はれる	晴れる	ცის მოწმენდა (ცა იწმინდება)
くもる	曇る	მოდრუბლება (იმდრუბლება)
ふく	吹く	ქროლება
[かぜ]が~	[風]が~	(ქარი ქრის)
なおる	治る、直る	მორჩენა, გასწორება
[びょうき]が~	[病気]が~	(ავადმყოფობა რჩება)
[こしょう]が~	[故障]が~	(დაზიანება სწორდება)
つづく	続く	გაგრძელება
[ねつ]が~	[熱]が~	(მაღალი ტემპერატურა გრძელდება)
ひく		გაცივება
[かぜ]を~		(ცივდება)
ひやす	冷やす	გაცივება (აცივებს)
しんぱい[な]	心配[な]	სანერვიულო
じゅうぶん[な]	十分[な]	საკმარისი
おかしい		უცნაური
うるさい		ხმაურიანი
やけど		დამწვრობა (~をする დამწვრობის მიღება)
けが		ჭრილობა, დაშავება (~をする დაჭრა (იჭრება); დაშავება (შავდება))
せき		ხველება (~が てる დახველება (ახველებს))
インフルエンザ	(influenza)	გრიპი
そら	空	ცა
たいよう	太陽	მზე
ほし	星	ვარსკვლავი
つき	月	მთვარე

かぜ	風	ქარი
きた	北	ჩრდილოეთი
みなみ	南	სამხრეთი
にし	西	დასავლეთი
ひがし	東	აღმოსავლეთი
すいどう	水道	წყალგაყვანილობა, წყლის ონკანი
エンジン	(engine)	ძრავა
チーム	(team)	გუნდი
今夜	今夜	ეს ღამე, ამღამ
夕方	夕方	საღამო
遅く	遅く	აღრე, წინათ
		მერე, მოგვიანებით
		ასე, ამგვარად
		მასე, მაგნაირად
		ისე, იმგვარად
		შესაძლოა, იქნებ
		ასე არ ივარგებს. ძალიან ცუდი.
	(Olympic Games)	ოლიმპიადა
会話		ენერგია, ძალა
げんき		კუჭი
元気		გადაჭარბებული მუშაობა
胃		(stress) სტრესი
はたら		საკუთარ შესაძლებლობაზე მეტის გაკეთება, თავის
働きすぎ		გადატვირთვა
ストレス		დასვენება (ისვენებს)
むり		
無理をする		
ゆっくり		
する		
読み物		
ほしうらな		
星占い		
おうしご		
牡牛座		
こま		
困る		
たから		
宝くじ		
あたる		
たから		
[宝くじが~]		
けんこう		
健康		
れんあい		
恋愛		
こいびと		
恋人		
かねもち		
[お]金持ち		
		ჟანმრთელობა
		სიყვარული
		შეყვარებული
		მდიდარი ადამიანი

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. კარგი იქნება, თუ ყოველდღე ივარჯიშებთ.
2. ხეალ ალბათ თოვლი მოვა.
3. დათქმული დროისათვის შეიძლება ვერ მოვასწრო.

წინადადების მაგალითები 例文

1. ახლანდელი სტუდენტები ხშირად ერთობიან, არა?
დიახ, მაგრამ, ვფიქრობ, ახალგაზრდობისას სხვადასხვა გამოცდილების მიღება ჯობია.
2. ერთი თვით ევროპაში დასასვენებლად (გასართობად) მინდა წასვლა, 400 ათასი იენი მეყოფა?
ფიქრობ, საკმარისია. მაგრამ ჯობია, ნაღდი ფული არ წაიღოთ.
3. იაპონიის ეკონომიკის საქმე როგორ წარიმართება ნეტავ?
ასე უცებ არ გაუმჯობესდება.
4. როგორ გგონიათ, ოლიმპიადა წარმატებული იქნება?
საკმაოდ დიდი ხანია ემზადებიან და ყველაფერი კარგად იქნება.
5. ექიმო, რა სჭირს ჰანსს?
გრიპი. სამი დღის განმავლობაში შეიძლება მაღალი სიცხე მქონდეს, მაგრამ არ ინერვიულოთ.
6. არ გეჩვენებათ, რომ ძრავას უცნაური ხმა აქვს?
დიახ. იქნებ გაფუჭებულია. ახლავე აეროპორტში დავბრუნდეთ.





დიალოგი 会話




შეიძლება ავად ხართ


- ვატანაბე: ბატონო შმიტ, რა მოგივიდათ? რაღაც მხნედ არა ხართ.
შმიტი: ამ ბოლო დროს ცუდად ვარ. ხან თავი მტკივა, ხან – კუჭი.
ვატანაბე: ეგ ცუდია. შეიძლება ავად იყოთ, ამიტომ ჯობია ერთხელ ექიმს გაესინჯოთ.
შმიტი: დიახ, გეთანხმებით.
-
- შმიტი: ექიმო, რა მჭირს?
ექიმი: განსაკუთრებული არაფერი. სამსახურში დაკავებული ხართ?
შმიტი: დიახ. ბოლო დროს ბევრი დამატებითი სამუშაო გვაქვს.
ექიმი: ძალიან ბევრს მუშაობთ, არა? ალბათ გადაიღალეთ.
შმიტი: მართლაც?
ექიმი: თავს ძალიან ნუ დაიტვირთავთ. ცოტა ხნით შვებულება აიღეთ და დაისვენეთ.
შმიტი: დიახ, გასაგებია.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

てんきよほう
 天気予報 აშინდის პროგნოზი

-  **晴れ**
 მზიანი აშინდი
 -  **曇り**
 მოღრუბლული
 -  **雨**
 წვიმა
 -  **雪**
 თოვლი
- 降水確率
 ნალექის აღბათობა
 პროცენტებში
 最高気温
 მაქსიმალური
 ტემპერატურა
 最低気温
 მინიმალური
 ტემპერატურა

-  **晴れのち曇り**
 მზიანი აშინდი,
 შემდეგ მოღრუბლულობა
-  **曇り時々(一時)雨**
 დროდობა, დროდადრო
 ხანმოკლე წვიმა
-  **曇り所によって雨**
 დროდობა, ზოგან წვიმა



- にわか雨/夕立 **მოულოდნელი წვიმა**
- 雷 **ჰექს-ქუხილი**
- 台風 **ტაიფუნი**
- 虹 **ცისარტყელა**
- 嵐 **ქარი**
- 曇 **ღრუბელი**
- 湿度 **ტენიანობა**
- 蒸し暑い **სიცხე და მაღალი ტენიანობა**
- さわやか[な] **სასიამოვნო**

IV გრამატიკა 文法

1.

ㄱ 타 ფორმა	ほうが いいです
ㄱ ない-ფუძე ない	

① 毎日^{まいにち} 運動^{うんどう}した ほうが いいです。
კარგი იქნება, თუ ყოველდღე ივარჯიშებთ.

② 熱^{あつ}が あるんです。
じゃ、お風呂に^{ふい} 入らない ほうが いいですよ。
სიცხე მაქვს.
მაშინ ჯობია, აბაზანა არ მიიღოთ.

ეს სტრუქტურა გამოიყენება რჩევის მიცემის დროს. ზოგ შემთხვევაში ამ კონსტრუქციის წინადადება მსმენელისათვის საკუთარი აზრის თავზე მოხვევად შეიძლება უდგოდეს. ამიტომ მისი გამოყენებისას საჭიროა საუბრის კონტექსტის კარგად გააზრება.

შენიშვნა: დააკვირდით განსხვავებას ~たほうが いい და ~たら いい სტრუქტურებს შორის:

③ 日本^{にほん}の 寺^{てら}が 見^みたいんですが。
じゃ、京都^{きょうと}へ行^いったらいいですよ。

მე მინდა იაპონიის ბუდისტური ტაძრების ნახვა.
მაშინ კარგი იქნება, თუ კიოტოში წახვალთ.

③ ასახავს სიტუაციას, სადაც მოცემულია მარტივი რჩევა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ~たら いい სტრუქტურა, ხოლო ~たほうが いい სტრუქტურა გულისხმობს შედარებას ან არჩევანს რაიმე ორს შორის.

2.

ㄱ	უბრალო ფორმა	でしょう
い-ზღ.		
な-ზღ.	უბრალო ფორმა	でしょう
ㄱ	~ な	

ეს სტრუქტურა გამოხატავს მოსაუბრის დასკვნას, რომელიც გამოტანილია გარკვეული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული სტრუქტურა ⑤-ში შეკითხვის სახეს იღებს და მოსაუბრე მსმენელს ეკითხება მოსაზრებას მიცემულ შეკითხვაზე.

④ あしたは 雨^{あめ}が 降^ふるでしょう。
ხვალ ალბათ იწვიმებს.

⑤ タワポンさんは 合格^{ごうかく}するでしょうか。
როგორ ფიქრობთ, ბატონი ტაუპონი ჩააბარებს გამოცდას?

3.	ホ	უბრალო ფორმა	かも しれません
	イ-否定		
	な-否定	უბრალო ფორმა	
	オ	~ は	

~かも しれません სტრუქტურაც გამოხატავს მოსაუბრის თვალსაზრისს და გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელია წინადადებაში გადმოცემული მოსაზრება გამართლდეს. თუმცა ამ დროს მოსაუბრე ნაკლებადაა დარწმუნებული თავის ნათქვამში, ვიდრე ~でしょう სტრუქტურის გამოყენების შემთხვევაში.

⑥ 約束の 時間に 間に 合わないかも しれません。
დათქმული დროისათვის შეიძლება ვერ მოვასწრო.

4. きっと/たぶん/もしかしたら

1) きっと

ეს ზმნიზედა გამოხატავს, რომ მოსაუბრე დარწმუნებულია საკუთარ ნათქვამში; ამავე დროს, მისი რწმენა საკმაოდ მტკიცეა და შეესაბამება ~でしょう ფორმისას.

⑦ ミラーさんは きっと 来ます。ბატონი მილერი აუცილებლად მოვა.

⑧ あしたは きっと 雨が降でしょう。ხვალ ნამდვილად იწვიმებს.

2) たぶん

ეს ზმნიზედა გამოხატავს ნაკლებ დარწმუნებას ნათქვამში, ვიდრე きっと და ხშირად გამოიყენება ~でしょう-სთან ან ~と おもいます-სთან ერთად.(იხ.21-ე გაკვეთილი)

⑨ ミラーさんは 来るでしょうか。 როგორ ფიქრობთ, ბატონი მილერი მოვა?
たぶん 来るでしょう。 ალბათ მოვა.

⑩ 山田さんは この ニュースを たぶん 知らないと思います。
მე მგონი, იამადამ ეს ახალი ამბავი არ იცის.

3) もしかしたら

ეს ზმნიზედა უმეტეს შემთხვევაში ~かも しれません-თან ერთად გამოიყენება და გამოხატავს ნათქვამის შესრულების მცირეოდენ შესაძლებლობას.

⑪ もしかしたら 3月に 卒業できないかも しれません。
შეიძლება მარტში სასწავლებლის დამთავრება ვერ შევძლო.

5. 何か 心配な こと

⑫ 何か 心配な ことが あるんですか。
რაიმე სანერვიულო გაქვთ?

არ შეიძლება ითქვას: しんぱいな なにか. უნდა ითქვას: なにか しんぱいな こと, როგორც ეს მაგალითშია მოცემული. მსგავსი მაგალითებია: なにか ~もの, どこか ~ところ, だれか ~ひと, いつか ~とき და ა. შ.

⑬ スキーに 行きたいんですが、どこか いい所 ありませんか。
სათხილამუროდ მინდა წასვლა. სადმე კარგი ადგილი ხომ არ არის?

6. **რიცხვითი სახელი** で

で ემატება რიცხვით სახელს, რომელიც გამოხატავს დროის, ფასის ან სხვა ოდენობის იმ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც მოცემული მოქმედების განხორციელებას სჭირდება.

⑭ 駅まで 30分で 行けますか。 სადგურამდე 30 წუთში შემიძლია მივიდე?

⑮ 3万円で ビデオが 買えますか。 30 ათასი იენით შემიძლია ვიყიდო ვიდეო?

ოცდამეცამეტე ბაკვეთილი
第33課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

にげる	逃げる	(არასასურველი სიტუაციიდან) გაქცევა (გარბის)
さわぐ	騒ぐ	ხმაური (ხმაურობს)
あきらめる		თავის დანებება, უარის თქმა (თავს ანებებს, უარს ამბობს)
なげる	投げる	დაგდება, სროლა (აგდებს, ისვრის)
まもる	守る	დაცვა (იცავს)
あげる	上げる	აწევა (ზემოთ წევს)
さげる	下げる	დაწევა (ქვემოთ წევს)
つたえる	伝える	(ამბის) გადაცემა (გადასცემს)
ちゅういする	注意する	ფრთხილად ყოფნა
[くるまに~]	[車に~]	(უფროხის მანქანებს)
はずす	外す	ადგილზე არ ყოფნა, გასვლა
[せきを~]	[席を~]	(ადგილიდან გადის)
だめ[な]	(fight)	ცუდი, გამოუსადეგარი, შეუძლებელი
ファイト	(mark)	ბრძოლა
マーク	(ball)	ნიშანი, აღნიშვნა
ボール		ბურთი
せんたくき	洗濯機	სარეცხის მანქანა
~き	~機	~ის მანქანა
きそく	規則	წესი
しょうきんし	使用禁止	“არ გამოიყენოთ”
たちいりきんし	立入禁止	“შესვლა აკრძალულია”
いりぐち	入口	შესასვლელი
でぐち	出口	გამოსასვლელი
ひじょうぐち	非常口	ავარიული გასასვლელი
むりょう	無料	უფასო
ほんじつきゅうぎょう	本日休業	“დღეს არ მუშაობს”, “დაკეტილია” (დაწესებულება, მაღაზია და ა. შ.)
えいぎょうちゅう	営業中	“მუშაობს”, “ღიაა” (დაწესებულება, მაღაზია და ა. შ.)
しょうちゅう	使用中	“დაკავებულია”
~ちゅう	~中	~ის პროცესში მყოფი
どういう~		რომელი ~
もう		აღარ (გამოიყენება ზმნის უარყოფით ფორმასთან)
あと~		შემდეგ ~, კიდევ ~

会話

ちゅうしゃいはん
駐車違反

そりゃあ

~以内

けいさつ
警察ばつぎん
罰金

読み物

でんぽう
電報ひとびと
人々きゅうよう
急用

うつ [電報を~]

でんぽうだい
電報代

できるだけ

また

たと
例えばみじか
短く

キトク (危篤)

おもひょうき
重病気あす
明日るす
留守るすばん
留守番

[お]祝い

なくなる

かな
悲しみりよう
利用する

მანქანის დაყენება აკრძალულ ადგილას

ებ

~ის განმავლობაში, ~ში

პოლიცია

ჯარიმა

ტელეგრამა

ხალხი

საჩქარო საქმე

გაგზავნა (ტელეგრამას აგზავნის)

ტელეგრამის ფასი

შექლებისდაგვარად

და

მაგალითად

მოკლედ

კრიტიკული მდგომარეობა

მძიმე დაავადება

ხვალ

არყოფნა

პატრონის არყოფნისას სახლის მეთვალყურე

მილოცვა, ზეიმი

გარდაცვალება

დარდი

გამოყენება (იყენებს)

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. იჩქარე.
2. არ შეეხო.
3. "tachiiri-kinshi" ნიშნავს "შესვლა აკრძალულია".
4. მიღერმა თქვა, მომავალ კვირას ოსაკაში მივდივარ მივლინებით.

წინადადების მაგალითები 例文

1. აღარ შემოიძლია. ვეღარ ვირბენ!
გამაგრდი! 1000 მეტრი დარჩა.
2. დრო აღარ არის.
კიდევ 1 წუთია დარჩენილი. არ დანებდე. იბრძოლე!
3. იქ რა წერია?
"tomare" წერია.
4. ის იეროგლიფები როგორ იკითხება?
"kin'en". ნიშნავს "ნუ მოსწევთ".
5. ეს ნიშანი რას ნიშნავს?
ნიშნავს იმას, რომ შეგიძლიათ სარეცხ მანქანაში გარეცხოთ.
6. ბატონი გუპტა აქ არის?
ამჟამად გასულია. ნახევარ საათში დაებრუნდებით, თქვა.
7. უკაცრავად, ქალბატონ ვატანაბეს ხომ ვერ გადასცემთ, რომ ხვალ წვეულება 6 საათზე იწყება?
დიახ, რა თქმა უნდა. 6 საათზე, არა?

დიალოგი 会話

ეს რას ნიშნავს?

ვატი: უკაცრავად, ჩემს მანქანაზე ასეთი ქალაქი იყო დაკრული. ეს იეროგლიფები როგორ იკითხება?

ინსტიტუტის

თანამშრომელი: "chuusha-ihan".

ვატი: "chuusha-ihan"? რას ნიშნავს?

თანამშრომელი: ეს ნიშნავს, რომ მანქანა იქ გააჩერეთ, სადაც გაჩერება არ შეიძლება. ბატონო ვატ, სად გააჩერეთ მანქანა?

ვატი: სადგურის წინ. ჟურნალის საყიდლად წავედი 10 წუთით. . .

თანამშრომელი: სადგურის წინ ხომ 10 წუთითაც არ შეიძლება.

ვატი: აქ რა წერია?

თანამშრომელი: აქ წერია, ერთი კვირის განმავლობაში მობრძანდით პოლიციაში.




ვატი: მარტო ეგ არის? ჯარიმას ხომ არ გადამახდევინებენ?

თანამშრომელი: დიახ, 15 000 იენი უნდა გადაიხადოთ.

ვატი: ოჰ, 15 000 იენი? ჟურნალი 300 იენი ღირდა . . .

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

ひょうしき
標識 ნიშნები, მაჩვენებლები

 <p>えいぎょうちゅう 営業中 ღიაა (მუშაობს)</p>	 <p>じゅんびちゅう 準備中 მზადების პროცესშია</p>	 <p>へいてん 閉店 დაკეტილია (არ მუშაობს)</p>	 <p>ていきゅうび 定休日 დასვენების დღე</p>
 <p>けしょうしつ 化粧室 საპირფარეშო, ტუალეტი</p>	 <p>きんえんせき 禁煙席 ადგილი, სადაც არ ეწევიან</p>	 <p>よやくせき 予約席 დაჯავშნული ადგილი</p>	 <p>ひじょうぐち 非常口 ავარიული გასასვლელი</p>
 <p>かきげんきん 火気厳禁 ცეცხლიდან შორს იქონიეთ</p>	 <p>われもの注意 割れ物注意 ფრთხილად, ადვილად მსხვრეველი ნივთებია</p>	 <p>うんてんしょしんしやちゅうい 運転初心者注意 ფრთხილად, დამწყები მძღოლია</p>	 <p>こうじちゅう 工事中 მიმდინარეობს გზის სამუშაოები</p>
 <p>えんそけいひょうりゃくざい 塩素系漂白剤 不可 ქლორიან მათეთრებელს ნუ გამოიყენებთ</p>	 <p>てあらい 手洗い ხელით რეცხვა</p>	 <p>ていおん アイロン (低温) უთო (დაბალ ტემპერატურაზე)</p>	 <p>ドライ ドライクリーニング ქიმწმენდა</p>

IV გრამატიკა 文法

1. ბრძანებითი დადებითი და აკრძალვითი ფორმები

1) ზმნის ბრძანებითი ფორმა იწარმოება შემდეგნაირად:

I ჯგუფის ზმნეში ბოლოკიდური u შეიცვლება e-თი.

か< → かけ、およ< → およげ、すわる → すわれ

II ჯგუფის ზმნებს ჩამოშორდებათ る და დაემატებათ る.

さげ< → さげろ、で< → しろ、みる → みろ

III ჯგუფი: する → しろ、くる → こい

შენიშვნა: ზმნებს, რომლებიც გამოხატავენ იმგვარ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომლის შესრულებაც არ საჭიროებს ძალისხმევას, მაგალითად わかる, できる, 知る-ს არა აქვთ ბრძანებითი ფორმა.

2) ზმნის სალექსიკონო ფორმაზე ら-ს დართვით მიიღება აკრძალვითი ფორმა. (იხ. ძირითადი წიგნის 33-ე გაკვეთილი, 62 გვ.)

2. ბრძანებითი დადებითი და აკრძალვითი ფორმების გამოყენება

1) ბრძანებითი დადებითი ფორმა გამოიყენება, როცა მეორე პირს ვაძალავებ, შეასრულოს მოქმედება; აკრძალვითი ფორმა კი გვიჩვენებს, რომ მეორე პირს ეკრძალება მოქმედების შესრულება. ეს ორივე ფორმა გამოხატავს ძლიერ ძალდატანებას. ამიტომ ამ ფორმების გამოყენება შეზღუდულია. სალაპარაკო ენაში მას უმეტესად მამაკაცები იყენებენ.

(1) ასაკით უფროსი მამაკაცი მასზე უმცროსი მამაკაცის მიმართ, ან მამა თავისი შვილის მიმართ:

① 早くねろ。 ადრე დაიძინე!

② 遅れるな。 ნუ აგვიანებ!

(2) მამაკაცები, რომლებიც მეგობრები არიან. ამ შემთხვევაში წინადადების ბოლოს ხშირად ურთავენ よ ნაწილაკს, რომ ნათქვამი შეარბილონ.

③ あした うちへ 来い[よ]。 ხვალ ჩემთან მოდი.

④ あまり 飲むな[よ]。 ბევრს ნუ დალევ.

(3) მაშინ, როდესაც არ არის დრო თავაზიანი საუბრისათვის. მაგალითად, როდესაც ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფს აძლევენ ინსტრუქციას ქარხანაში, ან განსაკუთრებული სიტუაციის შექმნისას. ამ შემთხვევაშიც ეს ფორმა გამოიყენება, მხოლოდ ასაკით ან თანამდებობით უფროსი მამაკაცის მიერ.

⑤ 逃げろ。 გაიქეცი!

⑥ エレベーターを使うな。 ლიფტში არ ჩაჯდე!

(4) როდესაც ვარჯიშის დროს გასცემენ ბრძანებებს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მისამართით.

⑦ 休め。 დაისვენეთ!

⑧ 休むな。 არ შეჩერდეთ!

(5) სპორტული შეჯიბრების დროს სპორტსმენების გასამხნეველ შეძახილებში. ამ შემთხვევაში ხანდახან ქალებიც იყენებენ ამ ფორმას.

⑨ 頑張れ。 გაუძელი! (გამაგრდი!)

⑩ 負けるな。 არ წააგო!

(6) როდესაც საჭიროა მკაცრი ტონი ან ბრძანების მოკლე ფორმა, მაგალითად, საგზაო მაჩვენებლებზე ან ლოზუნგებში.

⑪ 止まれ。 შეჩერდი!

⑫ 入るな。 არ შეხვიდე!

[おます ფუძე なさい]ც გამოხატავს ბრძანებას; იყენებენ მშობლები შვილების მიმართ, ან მასწავლებელი მოსწავლეების მიმართ. ეს კონსტრუქცია უფრო თავაზიანია ვიდრე მანამდე აღწერილი. [ამიტომ おます ფუძე なさい]-ს ქალები იყენებენ ბრძანებითი ფორმის მაგივრად; არ გამოიყენება უფროსთან საუბრისას.

⑬ 勉強しなさい。 ისწავლე!

3.~と 読みます ~と 書いて あります

⑭ あの漢字は 何と 読むんですか。 ის იეროგლიფი როგორ იკითხება?

⑮ あそこに「止まれ」と 書いて あります。 იქ წერია “შეჩერდი!”.

⑮-სა და ⑭-ში ისევე მიგვანიშნებს შინაარსზე, როგორც ~と います ფორმაში (იხ. 21-ე გაკვეთილი).

4.

Xは Yと いう 意味です

 “X” ნიშნავს “Y”-ს

ეს სტრუქტურა გამოიყენება იმისათვის, რომ “X”-ის მნიშვნელობა ახსნას “Y”-ის მეშვეობით. という といいます-ის უბრალო ფორმაა. მისი შესაბამისი კითხვითი სიტყვაა どういう.

⑯ 「立入禁止」は 入るな という 意味です。
“tachiiri-kinshi” ნიშნავს “შესვლა აკრძალულია”.

⑰ このマークは どういう 意味ですか。 ეს მაჩვენებელი რას ნიშნავს?
洗濯機で 洗えると いう 意味です。
იმას ნიშნავს, რომ შეგიძლიათ სარეცხ მანქანაში გარეცხოთ.

5.

“㊦”	と 言って いました
-----	------------

უბრალო ფორმა

~と いました გამოიყენება უბრალოდ მესამე პირის ნათქვამის ციტირებისას (იხ. 21-ე გაკვეთილი); ხოლო ~と っていました გამოიყენება მესამე პირის ნათქვამის მსმენელისათვის გადასაცემად.

⑱ 田中さんは「あした 休みます」と 言って いました。
“ხვალ დავისვენებო”, – ამბობდა ბატონი ტანაკა.

⑲ 田中さんは あした 休むと 言って いました。
ბატონი ტანაკა ამბობდა, რომ ხვალ ვისვენებო.

6.

“㊧”	と 伝えて いただけませんか
-----	----------------

უბრალო ფორმა

ეს გამოთქმა გამოიყენება მსმენელის მიმართ თავაზიანი თხოვნისას, რომ მან კონკრეტულ პირს გადასცეს დანაბარები.

⑳ ワンさんに「あとで 電話を ください」と 伝えて いただけませんか。
ბატონ ვანს გადაეცით, მერე დამირეკოს.

㉑ すみませんが 渡辺さんに あしたの パーティーは 6時からだと
伝えて いただけませんか。

უკაცრავად, ქალბატონ ვატანაბეს იქნებ უთხრათ, რომ ხვალ წვეულება 6 საათზე იწყება.

ოცდამეთერთხმეტი ბაკვეთილი

第34課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

みがく	みがく	გახეხვა, გაპრიალება
〔はを〜〕	〔歯を〜〕	(კბილებს იხეხავს)
くみだてる	組み立てる	აწყობა (აწყობს)
おる	折る	დაკეცვა, მოხრა (კეცავს)
きが つく	気が つく	შემჩნევა
〔わすれものに〜〕	〔忘れ物に〜〕	(ამჩნევს, რომ რაღაც დარჩა)
つける		ჩაწება
〔しょうゆを〜〕		(სოიოს სოუსში აწებს)
みつかる	見つかる	პოვნა
〔かぎが〜〕		(გასაღები იძებნება)
する		გაკეთება
〔ネクタイを〜〕		(ჰალსტუხს იკეთებს)
しつもんする	質問する	შეკითხვა (ეკითხება)
ほそい	細い	წვრილი (მცირე დიამეტრის)
ふとい	太い	სქელი (დიდი დიამეტრის)
ぼんおどり	盆踊り	ცეკვა ბონის დღესასწაულზე
スポーツクラブ	(sports club)	სპორტკლუბი
かぎ		ავეჯი
キー	(key)	გასაღები
シートベルト	(seat belt)	უსაფრთხოების ქამარი
せつめいしょ	説明書	ინსტრუქცია
ず	図	ფიგურა, გეგმა, სქემა
せん	線	ხაზი
やじるし	矢印	მაჩვენებელი ისარი
くろ	黒	შავი ფერი
しろ	白	თეთრი ფერი
あか	赤	წითელი ფერი
あお	青	ლურჯი ფერი
こん[いろ]	紺 [色]	მუქი ლურჯი ფერი
きいろ	黄色	ყვითელი ფერი
ちゃいろ	茶色	ყავისფერი
しょうゆ		სოიოს სოუსი
ソース		საწებკეცა, სოუსი
~か ~		~ ან ~
ゆうべ		წუხელ
さっき		ცოტა ხნის წინ

会話

さどう
茶道

お茶を たてる

きき
先にの
載せる

これで いいですか。

にが
苦い

読み物

おやこ

親子どんぶり

ざいりょう
材料ぶん
一分とりにく
鳥肉

-グラム

こ
一個

たまねぎ

4ぶん いち
4分の1 (1/4)ちょうみりょう
調味料

なべ

ひ
火

火に かける

に
煮るに
煮える

どんぶり

ჩაის ხელოვნება

მწვანე ჩაის გაკეთება (აკეთებს)

პირველად, ჯერ (ჯერ, პირველად ამის გაკეთება
სხვა რამის გაკეთებამდე)

დადება (დებს)

ასე სწორია?

მწარე

მოხარული ბრინჯი ქათმის ხორციითა და
კვერცხით
მასალა

- ულუფა (ულუფის სათვლელი სუფიქსი)

ქათმის ხორცი

(gram) გრამი

(თვლის სუფიქსი მცირე საგნებისათვის)

თავი ხახვი

ერთი მეოთხედი

სუნელი, სოუსი, სანელებელი

ქვაბი

ცეცხლი

ცეცხლზე დადება (დადება ცეცხლზე)

ხარშვა (ხარშავს)

ხარშვა (იხარშება)

კერამიკული ჯამი

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. ისე დაწერეთ, როგორც წარმოთქვამ.
2. ჭამის შემდეგ კბილებს ვიხეხავ.
3. ყავას უშაქროდ ვსვამ.

წინადადების მაგალითები 例文

1. ბატონებო, მოდით ბონის დღესასწაულის ცეკვაში ვივარჯიშოთ.
დიახ.
ისე გააკეთეთ, როგორც მე.
2. საინტერესო სიზმარი ვნახე.
როგორი სიზმარი? ისე მომიყევი, როგორც ნახეთ.
3. ეს მაგიდები თვითონ უნდა ავაწყოთ?
დიახ, ინსტრუქციის მიხედვით ააწყვეთ. მარტივია.
4. სად დაკარგეთ საფულე?
არ ვიცი. შინ დაბრუნების შემდეგ შევნიშნე.
5. სამუშაოს შემდეგ დასაღევად ხომ არ წამოხვიდოდით?
უკაცრავად, დღეს სპორტკლუბში წასვლის დღე მაქვს.
6. ამხანაგის ქორწილზე რა ჯობია, რომ ჩავიცვა?
იპონიაში კაცები შავ ან მუქ ლურჯ კოსტუმს იცვამენ და თეთრ პალსტუხს იკეთებენ.
7. ამას სოიოს სოუსში აწებენ?
არა, ნურაფერს ნუ გაუკეთებთ, ისე მიირთვით.
8. ცოტა გახდით, არა? დიეტას იცავთ?
არა, ავტობუსში აღარ ვჯდები, საღვურამდე ფეხით მივდივარ ხოლმე.

დიალოგი 会話

ისე გააკეთეთ, როგორც მე

კლარა: მინდა, ერთხელ ჩაის ცერემონია ვნახო.
ვატანაბე: კარგი, მომავალი კვირის შაბათს ხომ არ წამოხვალ?

ჩაის მასწავლებელი: ქალბატონო ვატანაბე, გააკეთეთ ჩაი. ქალბატონო კლარა, ჯერ ტკბილეული მიირთვით.

კლარა: ჯერ ტკბილეულს ჭამენ?
მასწავლებელი: დიახ, ტკბილეულის მერე ჩაის რომ დაღევთ, გემრიელი მოგეჩვენებათ.

კლარა: მართლა?

მასწავლებელი: აბა, დაელოთ ჩაი. ისე გააკეთეთ, როგორც მე. ჯერ მარჯვენა ხელით აიღეთ ჩაის ფიალა და მარცხენა ხელის გულზე დაიდეთ.

კლარა: ასე სწორია?

მასწავლებელი: დიახ, შემდეგ ჩაის ფიალა მოაბრუნეთ ორჯერ და მიირთვით.

მასწავლებელი: როგორ მოგწონთ?


კლარა: ცოტა მწარეა, მაგრამ გემრიელია.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

料理 კერძების მომზადება

料理	კერძების მომზადება
煮る	ხარშვა
焼く	შეწვა
揚げる	ზეთში ხარშვა
いためる	ოდნავ მოხრაკვა
ゆでる	ხარშვა

蒸す	ორთქლზე ხარშვა
炊く	მოხარშვა, მომზადება (ბრინჯის)
むく	კანის გაცლა
刻む	დაჭრა
まぜる	არევა



台所用品

なべ	სამზარეულოს ნივთები	ქვაბი
やかん	ჩაიდან	
ふた	თავსახური	
おたま	ჩამჩა	
まな板	დასაჭრელი დაფა	
包丁	სამზარეულოს დანა	
ふきん	ჩაის ტილო	
フライパン	ტაფა	
電子オーブレンジ	მიკროელექტრონული ღუმელი	

炊飯器	სამზარეულოს ნივთები
しゃもじ	
缶切り	
栓抜き	
ざる	
ポット	
ガス台	
流し台	
換気扇	

<p>せん 線</p> <p>ちよくせん 直線 きよくせん 曲線 てんせん 点線</p> <p>სწორი ხაზი ტალღოვანი ხაზი წერტილოვანი ხაზი</p>	<p>かたち 形</p>  <p>えん まる 円(丸) さんかく けい 三角[形] しかく けい 四角[形]</p> <p>წრე სამკუთხედი ოთხკუთხედი</p>	<p>もよう 模様</p>  <p>たて 縦じま よこ 横じま チエツク みずたま 水玉 はながち 花柄 むじ 無地</p> <p>გრძივი ხაზებით გასწვრივი ხაზებით უჯრედებიანი კოპლებიანი ყვავილებიანი სადა</p>
--	---	---

IV გრამატიკა 文法

1.

კითხვითი სიტყვა	ზ	უბრალო ფორმა	か、～
	い-ზდ.		
	な-ზდ.	უბრალო ფორმა	
	だ	～ だ	

კითხვითისიტყვიანი კითხვითი წინადადება წარმოადგენს მოცემული კონსტრუქციის მქონე რთული წინადადების შემადგენელ ნაწილს.

- ① JL 170 便は 何時に 到着するか、調べてください。
იკითხეთ, რა დროს ჩამოდის იაპონური ავიაკომპანიის რეისი 107.
- ② 結婚のお祝いは何がいいか、話しています。
ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ რა აჯობებს საქორწილო საჩუქრად.
- ③ わたしたちが 初めて 会ったのはいつか、覚えて いますか。
ჩვენ პირველად როდის შევხვდით ერთმანეთს, გახსოვს?

2.

ზ	უბრალო ფორმა	か どうか、～
い-ზდ.		
な-ზდ.	უბრალო ფორმა	
だ	～ だ	

კითხვითი წინადადება კითხვითი სიტყვის გარეშემოცემული კონსტრუქციის რთული წინადადების ნაწილია. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ [უბრალო ფორმა か]-ს შემდეგ საჭიროა დოუკა.

- ④ 忘年会に 出席するか、どうか、20日までに 返事を ください。
ძველი წლის გასააცილებლად მოხვალთ თუ არა, პასუხი 20 რიცხვამდე შემატყობინეთ.
- ⑤ その話は ほんとうか どうか、わかりません。
არ ვიცი, ეგ ამბავი მართალია თუ არა.
- ⑥ 間違いがないか どうか、調べて ください。
შეამოწმეთ, შეცდომა ხომ არ არის.

ამ უკანასკნელ მაგალითში არ არის გამოყენებული まちがいがあるか どうか; მის ნაცვლად გვაქვს まちがいがないか どうか, რადგან მოსაუბრეს სურს დაუდასტურონ, რომ შეცდომა არ არის.

3.

ㄆ **て- ფორმა** **みます**

ეს სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოიხატული მოქმედება არის მცდელობა.

⑦ ^{いちど}もう一度 ^{かんが}考えて みます。

კიდევ ერთხელ დაეფიქრები.

⑧ ^{うちゅう}宇宙から ^{ちきゅう}地球を ^み見て みたいです。

კოსმოსიდან დედამიწის დანახვა მინდა.

⑨ このズボンをはいて みるも いいですか。

შეიძლება ეს შარვალი გავისინჯო?

4. ი-ზღ.სხ. (-い) → ~さ

ი ზედსართავ სახელში ი დაბოლოების さ-თი შეცვლით მიიღება არსებითი სახელი.

^{たか} 高い → ^{たか} 高さ	^{なが} 長い → ^{なが} 長さ	^{はや} 速い → ^{はや} 速さ
მაღალი → სიმაღლე	გრძელი → სიგრძე	ჩქარი → სიჩქარე

⑩ ^{やま}山の ^{たか}高さは どうやって ^{はか}測るか、^し知っていますか。

იცო, როგორ იზომება მთის სიმაღლე?

⑪ ^{あた}新しい ^{はし}橋の ^{なが}長さは 3,911メートルです。

ახალი ხიდის სიგრძე 3 911 მეტრია.

ორმოცდამეერთე ბაკვეთილი
第41課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

いただく		მიღება (とらう-ს თავაზიანი ფორმა)
くださる		მიცემა (<れる-ს თავაზიანი ფორმა)
やる		მიცემა (ასაკით უმცროსისათვის, ცხოველისათვის ან მცენარისათვის)
よぶ	呼ぶ	დაძახება (ვეძახი)
とりかえる	取り替える	გადაცვლა (ვცვლი)
しんせつに	親切にする	გულთბილად მიღება, თავაზიანად მოქცევა
かわいい		საყვარელი, სასიამოვნო გარეგნობის
おいわい	お祝い	ზეიმი, საჩუქარი (~を する ზეიმი)
おとしだま	お年玉	ფული, რომელსაც ოჯახის უფროსი წევრები საახალწლოდ ჩუქნიან ბავშვებს.
[お]みまい	[お]見舞い	ავადმყოფის მონახულება
きょうみ	興味	ინტერესი
じょうほう	情報	ინფორმაცია
ぶんぽう	文法	გრამატიკა
はつおん	発音	ბგერების წარმოთქმა
さる	猿	მაიმუნი
えさ		ცხოველის საკვები
おもちゃ		სათამაშო
えほん	絵本	სურათებიანი საბავშვო წიგნი
えはがき	絵はがき	სურათიანი ბარათი
ドライバー	(screwdriver)	სახრახნისი
ハンカチ	(handkerchief)	ხელსახოცი
くつした	靴下	წინდა
てぶくろ	手袋	ხელთათმანი
ゆびわ	指輪	ბეჭედი
バッグ	(bag)	ჩანთა
そふ	祖父	ბაბუა(ჩემი)
そぼ	祖母	ბებია(ჩემი)
まご	孫	შვილიშვილი
おじ		ბიძა(ჩემი)
おじさん		(ვილაცის) ბიძა, შუახნის კაცი
おば		დეიდა(ჩემი); მამიდა(ჩემი)

おばさん

(ვილაცის) დეიდა ან მამიდა, შუახნის

おとし

ქალი
შარშანწინ

会話

はあ

もう ^{わけ} 申し訳ありません。

あず ^{あず} 預かる

せんじつ ^{せんじつ} 先日

たす ^{たす} 助かる

読み物

むかしはなし ^{むかしはなし} 昔話

ある~

おとこ ^{おとこ} 男

子どもたち

いじめる

かめ

たす ^{たす} 助ける

[お]城 ^{しろ}

お姫様 ^{ひめさま}

たの ^{たの} 楽しく

暮らす

りく ^{りく} 陸

すると

けむり ^{けむり} 煙

ま ^ま 真つ ^{しろ} 白[な]

なかみ ^{なかみ} 中身

ღიახ

ბოდიშს გიხდით.

ნიეთის დატოვება შესანახად (უნახავს)

ამას წინათ

გადარჩენა (გადარჩება)

ხალხური ზღაპარი, ლეგენდა

ერთი ~, ვილაც, რაღაც

კაცი

ბავშვები

წვალება, დაჩაგვრა (აწვალებს, ჩაგრაავს)

კუ

შველა (შველის)

ციხე-სიმაგრე

პრინცესა

ხალისით

ცხოვრება (ცხოვრობს)

ხმელეთი

და; თუ არა; მაშინვე

კვამლი

ქათქათა თეთრი

შიგთავსი

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. ვატ მასწავლებლისაგან წიგნი მივიღე.
2. განყოფილების უფროსმა წერილში შეცდომები გამისწორა.
3. დეპარტამენტის უფროსის მეუღლემ მასწავლა ჩაის ცერემონია.
4. ჩემს ბიჭს ქალაქის თვითმფრინავი გავუკეთე.

წინადადების მაგალითები 例文

1. რა ლამაზი თეფშია!
ღიას, ბატონმა ტანაკამ ქორწილზე საჩუქრად მომიტანა.
2. დედა, იმ მაიმუნს შეიძლება მიეცე კანფეტი?
არა, იქ ხომ წერია, საჭმელს ნუ მისცემთო.
3. სუმოს სანახავად ყოფილხართ?
ღიას, ამას წინათ განყოფილების უფროსმა წამიყვანა. ძალიან საინტერესო იყო.
4. ტავაპონ, ზაფხულის არდადეგები იაპონელების ოჯახში როგორი იყო?
სახალისო იყო, ოჯახის წევრებმა ძალიან გულთბილად მიმიღეს.
5. თქვენს შვილს დაბადების დღისთვის რას გაუკეთებთ?
მის მეგობრებს დაგუძახებ და წვეულებას მოგუწვობ.
6. (ქსერო)ასლების გადამღები ახალი მანქანის მოხმარება არ ვიცი და ხომ ვერ ამისხნით?
კი, რა თქმა უნდა.

დიალოგი 会話

ამანათს ხომ ვერ დაიტოვებდით?

- მიღერი: ქალბატონო ოგავა, ერთი სათხოვარი მაქვს.
ოგავა საჩიკო: რაშია საქმე?
მიღერი: დღეს საღამოს უნივერსალიდან ამანათი უნდა მომივიდეს, მაგრამ უცებ ისეთი საქმე გამიჩნდა, რომ უნდა გავიდე.
- ოგავა საჩიკო: ღიას.
მიღერი: ბოდიშს გიხდით, მაგრამ ამანათს ხომ ვერ დაიტოვებდით?
ოგავა საჩიკო: ღიას, რა თქმა უნდა.
მიღერი: გმადლობთ. როგორც კი დავბრუნდები, მაშინვე მოვალ წასაღებად.
- ოგავა საჩიკო: კარგით.
მიღერი: მაპატიეთ შეწუხებისათვის.
-
- მიღერი: ქალბატონო ოგავა, გმადლობთ, ამას წინათ ამანათი რომ შემინახეთ.
ოგავა საჩიკო: არაფრის.
მიღერი: ძალიან დამეხმარეთ.

IV გრამატიკა 文法

1. რაიმეს მიღებისა და გაცემის გამომხატველი გამოთქმები.

მე-7 და 24-ე გაკვეთილებში უკვე ისწავლეთ ნივთის ან მოქმედების მიღება-გაცემის გამომხატველი გამოთქმები. ამ გაკვეთილში მოცემულია კიდევ ერთი სტრუქტურა, რომელიც აგრეთვე გამოხატავს მოქმედების ან ნივთის მიღება-გაცემას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ სტრუქტურაში ასევე ასახულია მიმღებსა და გამცემს შორის დამოკიდებულება.

1) **に を やります**

როდესაც მიმღები არის მცენარე, ცხოველი ან სოციალური მდგომარეობით დაბალი პირი, გამოიყენება ზმნა **やる**. ჩვეულებრივ, თუ მიმღები ადამიანია, **あげる**-ს ამჯობინებენ.

① わたしは ^{息子}に ^{お菓子}を やりました (あげました).
ჩემს ბიჭს კანფეტი მივეცი.

② わたしは ^犬に ^{えさ}を やりました.
ძაღვს საჭმელი მივეცი.

შენიშვნა: **さしあげる** გამოიყენება, როდესაც მოსაუბრეს სურს ხაზი გაუსვას მიმღების მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას.

↗	さしあげます [部長に]
[わたしは] →	あげます [友達に]
↘	(あげます) やります [子どもに] [犬に] [花に]

2) **に を いただきます**

როდესაც მოსაუბრე იღებს რაიმეს მასზე მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანისგან.

③ わたしは ^{部長}に ^{お土産}を いただきました.

დეპარტამენტის უფროსმა სუვენირი მაჩუქა (უფროსისგან საჩუქარი მივიღე).

↖	いただきます [部長に]
[わたしは] ←	もらいます [友達に]
↙	もらいます [子どもに]

3) **[わたしに] を くださいます**

როდესაც მოსაუბრეს სოციალური მდგომარეობით მასზე მაღალმა პირმა რაღაც მისცა, **くれる**-ს ნაცვლად გამოიყენება **くださる**.

④ ^{部長}が ^{わたし}に ^{お土産}を くださいました.

დეპარტამენტის უფროსმა სუვენირი მაჩუქა.

くださる გამოიყენება მაშინაც, როდესაც მიმღები მოსაუბრის ოჯახის წევრია.

⑤ ^{部長}が ^娘に ^{お土産}を くださいました.

დეპარტამენტის უფროსმა ჩემს ქალიშვილს სუვენირი აჩუქა.

^{部長} は	くださいます	↘
^{友達} は	くれます	→ [わたしに]
^{子ども} は	くれます	↗

2. მოქმედების მიღება-გაცემა

აქაც გამოიყენება ზმნები やる、いただく、くださる.

1) **おて- ფორმა やります**

- ⑥ わたしは 息子に 紙飛行機を 作って やりました (あげました).
ჩემს ბიჭს ქაღალდის თვითმფრინავი გაეუკეთე.
- ⑦ わたしは 犬を 散歩に 連れて 行って やりました.
ძაღლი სასეირნოდ წავიყვანე.
- ⑧ わたしは 娘の 宿題を 見て やりました (あげました).
ჩემს ქალიშვილს საშინაო დავალება შევეუბოწმე.

შენიშვნა: როგორც ~て あげます სტრუქტურით, რომელიც 24-ე გაკვეთილში იყო მოცემული ასევე ~て さしあげます სტრუქტურითაც ნათქვამს შეიძლება ქედმაღლური ელფერი მიეცეს. ამიტომ იგი არ გამოიყენება უშუალოდ საზოგადოებრივი მდგომარეობით მაღალი პირის მიმართ.

2) **おて- ფორმა いただきます**

- ⑨ わたしは 課長に 手紙の 間違いを 直して いただきました.
განყოფილების უფროსმა წერილში შეცდომები გამისწორა.

3) **おて- ფორმა くださいます**

- ⑩ 部長の 奥さんは [わたしに] お茶を 教えて くださいました.
დეპარტამენტის უფროსის ცოლმა მასწავლა ჩაის ცერემონია.
- ⑪ 部長は [わたしを] 駅まで 送って くださいました.
დეპარტამენტის უფროსმა სადგურამდე მიმიყვანა.
- ⑫ 部長は [わたしの] レポートを 直して くださいました.
დეპარტამენტის უფროსმა ჩემი დაწერილი ანგარიში გაასწორა.

3.

おて- ფორმა くださいますか

~て くださいますか რაიმეს თხოვნის თავაზიანი ფორმაა. ამაზე მეტად თავაზიანია ~て いただけませんか, რომელიც 26-ე გაკვეთილში იყო მოცემული.

- ⑬ コピー機の 使い方を 教えて くださいますか.
თუ შეიძლება ამიხსენით (ქსერო)ასლის გადამღები აპარატის მოხმარების წესი.
- ⑭ コピー機の 使い方を 教えて いただけませんか.
ასლის გადამღები აპარატის მოხმარების წესს ხომ ვერ ამიხსნიდით?

4.

よに お

ამ შემთხვევაში თანდებული に მიგვანიშნებს, რომ ნივთი, რომელზეც არის საუბარი, შეძენილია ან გადაეცა ვინმეს გარკვეული მიზნით, მაგალითად, "საჩუქრად" ან "სამახსოვროდ".

- ⑮ 田中さんが 結婚の お祝いに このお皿を くださいました.
ბატონმა ტანაკამ ქორწილზე საჩუქრად ეს თევში მომიტანა.
- ⑯ わたしは 北海道旅行の お土産に 人形を 買いました.
მე ჰოკაიდოზე მოგზაურობის სამახსოვროდ თოჯინა ვიყიდე.

ორმოცდამეორე ბაკვეთილი
第42課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

つつむ	包む	შეხვევა, შეფუთვა (ახვევს, ფუთავს)
わかす	沸かす	ადუღება (ადუღებს)
まぜる	混ぜる	შერევა (ურევს)
けいさんする	計算する	ანგარიში (ანგარიშობს)
あつい	厚い	სქელი (ბრტყელი საგნები)
うすい	薄い	თხელი (ბრტყელი საგნები)
べんごし	弁護士	ადვოკატი
おんがくか	音楽家	მუსიკოსი
こどもたち	子どもたち	ბავშვები
ふたり	二人	ორნი
きょういく	教育	განათლება
れきし	歴史	ისტორია
ぶんか	文化	კულტურა
しゃかい	社会	საზოგადოება
ほうりつ	法律	კანონი, სამართალი
せんそう	戦争	ომი
へいわ	平和	მშვიდობა
もくてき	目的	მიზანი
あんぜん	安全	უსაფრთხოება
ろんぶん	論文	სამეცნიერო სტატია, სამეცნიერო ნაშრომი, დისერტაცია, სადიპლომო ნამუშევარი
かんけい	関係	კავშირი, ურთიერთობა
ミキサー	(mixer)	მიქსერი
やかん		ჩაიდანი
せんぬき	栓抜き	ბოთლის გასახსნელი
かんきり	缶切り	კონსერვის გასახსნელი
かんづめ	缶詰	კონსერვი
ふろしき		ოთხკუთხა ნაჭერი, რომელშიც ახვევენ რაიმეს წასადებად
そろばん		იაპონური ტიპის საანგარიშო
たいおんけい	体温計	სხეულის თერმომეტრი
ざいりょう	材料	მასალა, შემადგენლობა
いし	石	ქვა
ピラミッド	(pyramid)	პირამიდა
データ	(data)	მონაცემები

ファイル	(file)	ფაილი
ある~		ერთი ~, ვიღაც ~, რაღაც ~
いっしょうけんめい	一生懸命	მთელი ძალით, მთელი მონდომებით
なぜ		რატომ
* ^{こく} 国連		გაერო
*エリーゼのために	(Für Elize)	“ექლვნება ელიზას” (ბეთჰოვენის ნაწარმოები)
*ベートーベン		ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, გერმანელი კომპოზიტორი (1770-1827)
*ポーランド	(Poland)	პოლონეთი

会話

ローン	(loan) განვადება
セット	(set) კომპლექტი
あと	დარჩენილი
読み物	
カップラーメン	პლასტიკის ჭიქაში მოთავსებული ჩინური მაკარონის სწრაფი მომზადების სუპი
インスタントラーメン	(instant...) სწრაფი მომზადების ჩინური სუპი
なべ	ქვაბი
どんぶり	ჯამი
^{しょくひん} 食品	სურსათი
^{ちょうさ} 調査	გარკვევა, კვლევა
カップ	(cup) ფინჯანი
また	და, კიდევ
~の ^か 代わりに	~ის მაგივრად, ~ის ნაცვლად
どこでも	ყველგან
今では	ახლა

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. ფულს ვინახავ, რომ მომავალში საკუთარი მაღაზია მქონდეს.
2. ამ მაკრატელს ყვავილების მოსაჭრელად იყენებენ.

წინადადების მაგალითები 例文

1. იმისათვის, რომ ამ ზაფხულს ობონის დღესასწაულზე ცეკვაში მივიღო მონაწილეობა, ყოველდღე ვვარჯიშობ.
მართლა? სახალისოა არა?
2. მარტო რატომ ადინხართ ხოლმე მთაზე?
მთაზე იმიტომ ავდივარ, რომ მარტო დავერჩე და ვიფიქრო.
3. ჯანმრთელობისათვის რაიმეს აკეთებთ?
არა, მაგრამ მომავალი კვირიდან ვაპირებ ყოველ დღით ვირბინო.
4. რა ლამაზი მელოდიაა?
ეს არის "ედვენება ელიზას". ბეთჰოვენმა ერთ ქალს მიუძღვნა.
5. ამას რისთვის იყენებენ?
ღვინის ბოთლის გასახსნელად იყენებენ.
6. იაპონიაში ქორწინების ცერემონიას დაახლოებით რამდენი ფული სჭირდება?
სულ ცოტა, ორი მილიონი იენი დასჭირდება.
ვაა, ორი მილიონი ენი სჭირდება?
7. მაგ ჩანთას ბევრი განყოფილება აქვს, არა?
ღიახ, საფულე, საბუთები, ცხვირსახოცი და სხვა ნივთები ცალ-ცალკე შეგიძლია შეინახო, ამიტომ მოხერხებულია სამოგზაუროდაც და სამსახურისთვისაც.

დიალოგი 会話

პრემიას რაში გამოიყენებთ?

- სუზუკი: ჰაიაში, პრემიას როდის მიიღებთ?
ჰაიაში: მომავალ კვირას. თქვენს ფირმაში?
სუზუკი: ხვალ იქნება. მიხარია. პირველ რიგში მანქანის განვადების შესატანს გადავიხდი, გოლფის კომპლექტს ვიყიდი, მერე სამოგზაუროდ წავალ...
- ოგავა: ფულს არ ინახავთ?
სუზუკი: შევინახო? მაგაზე არ დაეფიქრებულვარ.
ჰაიაში: მე ლონდონში რომ ვიმოგზაურებ, მერე იქიდან დარჩენილ ფულს შევინახავ.
სუზუკი: ქორწილისათვის შეინახავთ ფულს?
ჰაიაში: არა, როდესმე ინგლისში სასწავლებლად მინდა წავიდე.
ოგავა: ვაა, მარტოხელობა კარგია. სულ საკუთარი თავისთვის შეგიძლია დახარჯო. მე სახლის განვადების ფულს რომ შევიტან და ბავშვის სწავლის ფულს გადავინახავ, მერე თითქმის აღარაფერი დამრჩება.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

事務用品・道具 **საოფისო ნივთები, ხელსაწყოები**

<p>とじる შეკვრა, აკინძვა (კრავს, კინძავს)</p>  <p>ホッチキス სტეპლერი</p>	<p>はさむ・とじる შეკვრა, მიმაგრება (კრავს, ამაგრებს)</p>  <p>クリップ ხამაგრი</p>	<p>とめる მიმაგრება (ამაგრებს)</p>  <p>画びょう (押しピン) ჭიკარტი</p>	<p>切る გაჭრა (ჭრის)</p>  <p>カッター はさみ საკანცელარო მკარატელი და ხა</p>
<p>はる მიწებება, მიკვრა (აკრავს, აწებებს)</p>  <p>セロテープ გადასაწებებელი</p> <p>ガムテープ გადასაწებებელი ქსოვილის ლენტა</p> <p>のり წება</p>		<p>削る გაფხეკა, გათლა (ფხეკს, თლის)</p>  <p>鉛筆削り ფანქრის სათლელი</p>	<p>ファイルする ფაილში მითავსება (ათავსებს)</p>  <p>ファイル ხაქაღაღდ</p>
<p>消す წაშლია (შლის)</p>  <p>消しゴム საშლელი</p> <p>修正液 თხევადი კორექტორი</p>	<p>(穴を)あける გახვრეტა (ხვრეტს)</p>  <p>パンチ ქაღალდის დასახვრეტი</p>	<p>計算する ახვარიში (ახვარიშობს)</p>  <p>電卓 კალკულატორი</p>	<p>(線を)引く / 測る ხაზის გავლენა, გასომევა (ავლენს, ხომავს)</p>  <p>定規 (ものさし) სახაზავი</p>
<p>切る გაჭრა (ჭრის)</p>  <p>のこぎり ხერხი</p>	<p>(くぎを)打つ ღურსმნის ჩაჭედება (აჭედებს)</p>  <p>金づち ჩაჭეხი</p>	<p>挟む / 曲げる / 切る ჩაჭედა, მოღუნვა, მოჭრა (აჭედს, ღუნავს, ჭრის)</p>  <p>ペンチ ბრტყელტუნა</p>	<p>(ねじを)締める / 緩める (სრახნის) მოჭედა / მოშუება (უჭევს, უჭერს)</p>  <p>ドライバー სახრახნისი</p>

შენიშვნა: მიზნის გამოხატვის სხვა ხერხები მიზნის გამომხატველი გამოთქმების შეჯამება.

[1] も ます フ フ ク ニ 行 ク / 来 ル / 帰 ル
ス

⑪ 神戸へ 船を見に 行きます。
კობეში გემის სანახავად მივდივარ.

⑫ 日本へ 経済の 勉強に 来ました。
იაპონიაში ეკონომიკის სასწავლებლად ჩამოვედი.

[2] (ნების გამომხატველი გამოთქმა)	ように、	(ნების გამომხატველი გამოთქმა)
も サ レ ク シ テ モ ト		~
も ナ イ フ ト		

⑬ 早く 届くように 速達で 出します。
მალე რომ ჩამოვიდეს, სწრაფი ფოსტით გამოვაგზავნი.

⑭ 忘れない ように、メモします。
ვინიშნავ, რომ არ დამავიწყდეს.

[3] (ნების გამომხატველი გამოთქმა)	ために、	(ნების გამომხატველი გამოთქმა)
も サ レ ク シ テ モ ト		~
ス の		

⑮ 大学に入るために、一生懸命 勉強します。
ინსტიტუტში შესასვლელად მთელი მონღომებით ვმეცადინეობ.

⑯ 健康のために、野菜を たくさん 食べます。
ჯანმრთელობისათვის ბოსტნეულს ბევრს ვჭამ.

[4] も サ レ ク シ テ モ ト ノ	に	つかう / 役に立つ / [時間]が かかる
ス		いい / 便利だ / 必要だ

⑰ ファイルは 書類を 整理するのに 使います。
საქალაქე საბუთების მოსაწესრიგებლად გამოიყენება.

⑱ 近くに 店が なくて、買い物に 不便です。
ახლო-მახლო მაღაზიები არ არის და საყიდლებისათვის მოუხერხებელია.

3. რიცხვითი სახელი は

თუ რიცხვით სახელს დაერთვის თანდებული は, ის გვიჩვენებს, რომ მოსაუბრე მოცემული რიცხვითი სახელით გამოხატულ რაოდენობას მიიჩნევს მინიმუმად.

⑲ 日本では 結婚式を するのに 200万円は 要ります。
იაპონიაში ქორწინების ცერემონიის გასამართად, სულ ცოტა, ორი მილიონი იენია საჭირო.

4. რიცხვითი სახელი も

რიცხვით სახელზე も თანდებულის დართვით მოსაუბრე გვეუბნება, რომ მისი აზრით, მოცემული რიცხვითი სახელით გამოხატული რაოდენობა ბევრია.

⑳ 駅まで 行くのに 2時間も かかりました。
სადგურამდე მისასვლელად მთელი ორი საათი დამჭირდა.

うちを 建てるのに 3,000万円も 必要ですか。
სახლის ასაშენებლად 30 მილიონის ოდენობის თანხაა აუცილებელი?

ორმოცდამესამე ბაკვეთილი
第 4 3 課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

ふえる [ゆしゆつが~]	増える [輸出が~]	გაზრდა, მომატება (გაიზარდა ექსპორტი; ექსპორტმა იმატა)
へる [ゆしゆつが~]	減る [輸出が~]	შემცირება, დაკლება (შემცირდა ექსპორტი; ექსპორტმა იკლო)
あがる [ねだんが~]	上がる [値段が~]	აწვევა (ფასი აიწვეს)
さがる [ねだんが~]	下がる [値段が~]	დაწვევა (ფასი დაიწვეს)
きれる [ひもが~]	切れる	გაწვევება (თანმა წყდება)
とれる [ボタンが~]		მოსხნა, მოძრობა (დილი ძვრება)
おちる [にもつが~]	落ちる [荷物が~]	ჩამოვარდნა (ბარგი ვარდება)
なくなる [ガソリンが~]		გათავეება (ბენზინი თავედება)
じょうぶ[な]	丈夫[な]	მაგარი, გამძლე
へん[な]	変[な]	უცნაური, თავისებური
しあわせ[な]	幸せ[な]	ბედნიერი
うまい		გემრიელი, დახელოვნებული (რაიმეში)
まずい		უგემური, არასასურველი, ცუდი
つまらない		არასაინტერესო, მოსაწყენი
ガソリン	(gasoline)	ბენზინი
ひ	火	ცეცხლი
だんぼう	暖房	(ოთახის) გათბობა
れいぼう	冷房	(ოთახის) გაგრილება, კონდიციონირება
センス	(sense)	შეგრძნება, გემოვნება ([ふくの]センスが あります [ჩაცმაში] გემოვნება აქვს)
いまにも	今にも	სადაცაა, ამ წუთში (გამოიყენება სიტუაციის აღსაწერად მისი შეცვლის უშუალოდ წინა მომენტში)
わあ		ოჰ

会話

かいわい

会員

てきとう

適当[な]

ねんれい

年齢

しゅうにゅう

収入

ぴったり

そのうえ

~と いいます

読み物

ばら

ドライブ

წვერი

შესაფერისი

წლოვანება, ასაკი

შემოსავალი

ზუსტად

გარდა ამისა

~ ჰქვია

ვარდი

(drive) მანქანით გასეირნება

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. როგორც ჩანს, ამ წუთში წვიმა დაიწება.
2. ბილეთებს ვიყიდი და მოვალ.

წინადადების მაგალითები 例文

1. ქურთუკზე დიდი გძვრებათ, მგონი.
უი, მართლა. დიდი მადლობა (რომ მითხარით).
2. დათბა, არა?
დიახ, როგორც ჩანს, მალე საკუთრაც აყვავდება.
3. გერმანული ვაშლის ნაშცხვარია. მიირთვიოთ.
უპ, ძალიან გემრიელი ჩანს. გვახლებით.
4. განყოფილების ახალი გამგე ჭკვიანი და სერიოზული ჩანს.
დიახ, მაგრამ ჩაცმაში გემოვნება არ უნდა ჰქონდეს.
5. მასალები არ გვეოფნის, არა?
იქნებ (ქსერო)ასლი გადამიღოთ, თუ შეიძლება.
6. გაგაღ და დავბრუნდები.
რომელი საათისთვის დაბრუნდები?
ფფფქროპ, 4 საათამდე მაინც დავბრუნდე.




დიალოგი 会話

როგორც ჩანს, კეთილია

- შმიტი: ეგ რა სურათებია?
- ვატანაბე: გარიგების სურათებია. გარიგების ფირმიდან მივიღე.
- შმიტი: გარიგების ფირმა არსებობს?
- ვატანაბე: კი. წევრი რომ გახდები, საკუთარი ინფორმაცია და სურვილი კომპიუტერში შეგიძლია შეიყვანო. მერე, კომპიუტერი შესაფერის ადამიანს შეგიჩვენებს.
- შმიტი: ვაა, საინტერესოა.
- ვატანაბე: ეს კაცი როგორ მოგწონს?
- შმიტი: გარეგნულად კარგია, როგორც ჩანს, კეთილია, შესანიშნავი ადამიანია, არა?
- ვატანაბე: დიახ. ასაკი, შემოსავალი, პობიც ზუსტად ჩემს სურვილს ემთხვევა. გარდა ამისა, გვარიც ერთნაირი გვაქვს. ისიც ვატანაბეა.
- შმიტი: მართლა? რამდენი რამ შეუძლია კომპიუტერს.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

せいかく せいしつ
 性格・性質 ხასიათი და ბუნება

<p>あか 明るい ხალისიანი მხიარული </p> <p>くろ 暗い გულჩათხრობილი ჩაკეტილი </p>	<p>かばつ 活発[な] აქტიური.</p>
<p>やさしい კეთილი, თბილი.</p>	<p>せいしつ 誠実[な] პატიოსანი</p>
<p>おとなしい წყნარი</p>	<p>わがまま[な] ეგოისტი, თავკერძი</p>
<p>つめたい ცივ</p>	<p>まじめ[な] სერიოზული ふまじめ[な] არასერიოზული </p>
<p>厳しい მკაცრი</p>	<p>気が長い სულგრძელი, მომთმენი 頑固[な] ჯიუტი</p>
<p>気が短い სულმოკლე, ფიცხი</p>	<p>素直[な] მორჩილი, დამყოლი</p>
<p>気が強い ნებისყოფიანი </p> <p>気が弱い უნებისყოფი </p>	<p>いじわる 意地悪[な] ბოროტი 勝ち気[な] მებრძოლი, შეუპოვარი 神経質[な] ნერვიული</p>

IV გრამატიკა 文法

1.

ზ მას ფუძე	そうです
ი-ზდ. (~ は)	
な-ზდ. [は]	

ჩანს, რომ ...

როდესაც კონკრეტული სიტუაცია, ნივთის ზედაპირული ფორმა ან პიროვნების გარეგნობა საშუალებას გაძლევთ, მის შესახებ რაიმე ივარაუდოთ, თქვენი ვარაუდი შეგიძლიათ ზემოთ მოცემული სტრუქტურით გამოხატოთ.

1)

ზ მას ფუძე	そうです
------------	------

ეს სტრუქტურა გამოიყენება მაშინ, როდესაც არსებული ვითარება როგორღაც მიგვანიშნებს, რომ რაღაც მოხდება. ამ შემთხვევაში გამოიყენება დროის გარემოებები: いまにも, もうすぐ, これから, რომლებიც მიუთითებენ, თუ სავარაუდო ცვლილება როდისაა მოსალოდნელი.

- ① ^{いま}今にも ^{あめ}雨が ^{ふる}降りそうです。
თითქოს ამ წუთში გაწვიმდება.
- ② シャンプーが ^{なくなる}なくなりそうです。
როგორც ჩანს, შამპუნი თავდება.
- ③ ^{もうすぐ}もうすぐ ^桜桜が ^{咲き}咲きそうです。
როგორც ჩანს, მალე საკურა აყვავდება.
- ④ ^{これから}これから ^{寒く}寒く ^{なり}なりそうです。
როგორც ჩანს, აცივდება.

2)

ი-ზდ. (~ は)	そうです
な-ზდ. [は]	

ეს სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ გამოთქმული აზრი ეყრდნობა ვიზუალურ შთაბეჭდილებას და, ამდენად, მხოლოდ სავარაუდოა.

- ⑤ ^{この}この ^{りょうり}料理は ^{から}辛そうです。
ეს კერძი ცხარე ჩანს.
- ⑥ ^{彼女の}彼女は ^{あたま}頭が ^{よさ}よさそうです。
ის ქალი ჭკვიანი ჩანს.
- ⑦ ^{この}この ^{つえ}机は ^{じょうぶ}丈夫そうです。
ეს მაგიდა გამძლე ჩანს.

შენიშვნა: როდესაც გსურთ გამოხატოთ ვინმეს ემოცია (うれし, かなし, さびし და ა. შ.) უნდა გამოიყენოთ ~そうです ფორმა, რადგან თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ივარაუდოთ, თუ რას გრძნობს სხვა ადამიანი.

- ⑧ ミラーさんは ^{うれし}うれしそうです。
მიღერი გახარებული ჩანს.

2.

ზ ტ ფორმა 来ます

1) [ზ ტ ფორმა 来ます] აღნიშნავს: “საღმე წასვლა რაიმეს გასაკეთებლად და უკან დაბრუნება”.

⑨ ちよつと たばこを 買って 来ます。
გაველ, სიგარეტს ვიყიდი და მოველ.

⑨ ნიშნავს სიგარეტის საყიდლად წასვლას იმ ადგილას, სადაც სიგარეტი იყიდება და დაბრუნებას იქ, საიდანაც წამოვიდა.

იმ ადგილის გამომხატველ სიტყვას, სადაც სუბიექტი მიდის რაღაცის გასაკეთებლად, დაერთვის თანდებული ტ, ზოგიერთ გამონაკლის შერმთხვევაში კი ჯარ. ასეთი გამონაკლისია, როდესაც სუბიექტმა კონკრეტული ადგილიდან რაღაც უნდა წამოიღოს და ამ მიზნით მიდის იგი იმ ადგილას (II).

⑩ スーパーで 牛乳を 買って 来ます。
სუპერმარკეტში წავალ რძის საყიდლად.

⑪ 台所から コップを 取って 来ます。
სამზარეულოდან ჭიქას მოვიტან.

2) ა (ადგილი) へ 行って 来ます

ამ შემთხვევაში 行く ზმნის ტ- ფორმა დგას 来る ზმნის წინ. ეს ნიშნავს: “წასვლა და დაბრუნება”. ეს სტრუქტურა გამოიყენება მაშინ, როდესაც არ კონკრეტდება, თუ რის გაკეთებას აპირებთ მოცემულ ადგილზე.

⑫ 郵便局へ 行って 来ます。
ფოსტაში წავალ და მოველ.

3) 出かけて 来ます

でかける ზმნის ტ- ფორმა დგას 来る ზმნის წინ. ეს ნიშნავს: “გარეთ გასვლა და უკან დაბრუნება”. გამოიყენება მაშინ, როდესაც არ ვაკონკრეტებთ არც ადგილს, სადაც მივდივართ და არც მიზანს, თუ რისთვის მივდივართ.

⑬ ちよつと 出かけて 来ます。
გაველ და მოველ.

ორმოცდამეოთხე ბაკვეთილი

第 4 4 課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

なく	泣く	ტირილი (ტირის)
わらう	笑う	სიცილი (იციინის)
かわく	乾く	გაშრობა (შრება)
ぬれる		დასველება (სველდება)
すべる	滑る	სრიალი (სრიალებს)
おきる	起きる	მოხდენა
[じこが~]	[事故が~]	(უბედური შემთხვევა ხდება)
ちょうせつする	調節する	რეგულირება (არეგულირებს)
あんぜん[な]	安全[な]	უსაფრთხო
ていねい[な]	丁寧[な]	თავაზიანი, ფრთხილი
こまかい	細かい	წვრილი, პატარა
こい	濃い	მკვეთრი (გემო); მუქი (ფერი)
うすい	薄い	სუსტი (გემო); ღია (ფერი)
くうき	空気	ჰაერი
なみだ	涙	ცრემლი
わしよく	和食	იაპონური კერძი
ようしょく	洋食	ევროპული კერძი
おかず		კერძი
りょう	量	რაოდენობა
一倍	一倍	- ჯერ
はんぶん	半分	ნახევარი
シングル	(single room)	ოთახი ერთი ადამიანისათვის,
ツイン	(twin-bedded room)	ერთსაწოლიანი ოთახი ორსაწოლიანი ოთახი
たんす		კარადა, კომოდი
せんたくもの	洗濯物	სარეცხი
りゆう	理由	მიზეზი

会話

どう なさいますか。

カット

シャンプー

どういうふうに なさいますか。

ショート

~みたいに して ください。

これで よろしいでしょうか。

[どうも]お疲れ^{つか}さまでした。

読み物

^{いや}嫌がる

また

^{じゅんじょ}順序

^{ひょうげん}表現

^{たと}例えば

^{わか}別れる

これら

^{えんぎ}縁起^{わる}が悪い

რას ისურვებთ? როგორ გაგაკეთო?

(haircut) თმის შეჭრა

(shampoo) შამპუნი

როგორი გინდათ იყოს?

(short) მოკლე

~ის მსგავსად გამიკეთეთ.

ასე კარგია?

აღბათ დაგღალეთ;

გმადლობთ მოთმინებისთვის.

სიძულვილი (სძულს)

ამასთან, გარდა ამისა

თანმიმდევრობა

გამოთქმა

მაგალითად

გაშორება (შორდება)

ესენი

ცუდი ნიშანი; ავის მომასწავლებელი

II თარგმანი 翻譯

წინადადების მოდელი 句型

1. წუხელ ზედმეტი დავლიე.
2. ეს კომპიუტერი ადვილი მოსახმარია.
3. შარვალი დამიმოკლეთ, თუ შეიძლება.
4. ამ საღამოს ცეკვით გავხალისდეთ.

წინადადების მაგალითები 例文

1. ტირით?
არა, ბევრი ვიციხე და ცრემლები წამომივიდა.
2. თანამედროვე მანქანების მართვა ადვილია, არა?
დიახ, იმდენად ადვილია, რომ უინტერესოა.
3. სად უფრო ადვილია ცხოვრება, სოფელში თუ ქალაქში?
ვფიქრობ, სოფელში ცხოვრება უფრო ადვილია. ფასებიც იაფია და ჰაერიც სუფთაა.
4. ეს ჭიქა მაგარია და ძნელად ტყდება.
ბავშვებისათვის უსაფრთხოა და კარგია.
5. უკვე გვიანი დამეა და წყნარად იფაფით, თუ შეიძლება.
დიახ, უკაცრავად.
6. ამ საღამოს რა ვჭამოთ?
გუშინ ხორცი ვჭამეთ, ამიტომ დღეს თევზი ვჭამოთ.
7. დენი და წყალი მომჭირნედ მოვიხმართ.
დიახ, გასაგებია.
8. ბოსტნეულს წვრილად ვჭრით და ვურევთ კვერცხს.
დიახ. ასე არა?

დიალოგი 會話

ისე გამიკეთეთ, როგორც ამ სურათზეა

- | | |
|--------------|---|
| პარიკმახერი: | მობრძანდით. დღეს რას ისურვებთ? |
| ი: | შეჭრა მინდა. |
| პარიკმახერი: | კარგით, თაქს დაგბანთ. აქეთ მობრძანდით. |
| <hr/> | |
| პარიკმახერი: | როგორ გინდათ შეგაჭრათ? |
| ი: | მოკლედ მინდა. ამ სურათზე რომ არის, ისე გამიკეთეთ. |
| პარიკმახერი: | ლამაზია. |
| <hr/> | |
| პარიკმახერი: | წინ სიგრძე ასე კარგია? |
| ი: | ცოტა უფრო მოკლედ გამიკეთეთ. |
| <hr/> | |
| პარიკმახერი: | აღბათ დაგდაღეთ. როგორ მოგწონთ? |
| ი: | კარგია. გმადლობთ. |










III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

びよういん りはってん
 美容院・理髪店 სილამაზის სალონი და საპარიკმახერო

カット	(haircut) შეჭრა	トリートメント	(treatment) თმის მოსაველელი სითხე
パーマ	(perm) ქიმიური დახვევა ან გასწორება	ブロー	(blow-dry) გაშრობა
セット	(set) დავარცხნა	ヘアダイ	(hairdye) თმის შეღებვა
シャンプー	(shampoo) შამპუნი	そる (ひげ、顔を~)	(წვერის, სახის) გაპარსვა
リンス	(rinse) ბალზამი	わける (髪を~)	(თმის) გაყოფა

みみ 耳が見えるくらい	き 切ってください შემაჭერიით	ყურები რომ მიჩანდეს
かた 肩にかかるくらい		მხრებამდე
かく まゆが隠れるぐらいいに		წარბები რომ არ ჩანდეს
1センチくらい		ასე, ერთი სანტიმეტრი
この写真みたいに この写真みたいに		ამ სურათის მსგავსად

いろいろなヘアスタイル სხვადასხვა ვარცხნილობა

ボブ bob 	レイヤーカット layered cut 	ソバージュ shaggy perm 
おかっぱ bobbed hair 	三つ編み სამწებანი 	ポニーテール ponytail ცხენის კული 
まるが 丸刈り close-cropped cut 	ちょうはつ 長髪 გრძელი თმა 	リーゼント ducktail 

IV გრამატიკა 文法

1.

ზ მას ფუძე	すぎます
ი-ზდ. (- ず)	
な-ზდ. [な]	

ეს სტრუქტურა ზმნის შემთხვევაში გვიჩვენებს, რომ მოქმედება გადაჭარბებულად შესრულდა, ზედსართავი სახელის შემთხვევაში კი მიანიშნებს, რომ ზედსართავი სახელით აღნიშნული თვისება გადაჭარბებულადაა წარმოდგენილი, ეს კი ხშირად უარყოფით ელფერს აძლევს ნათქვამს.

① ゆうべ お酒を 飲みすぎました。წუხელ ზედმეტი დავლიე.

② この セーターは 大きすぎます。ეს ჯემპრი მეტისმეტად დიდია.

~すぎる II ჯგუფის ზმნაა და მისი ცვლილებაც შესაბამისად ხდება. მაგ.: のみすぎる, のみすぎ(ない), のみすぎた.

③ 最近の 車は 操作が 簡単すぎて、運転が おもしろくないです。
თანამედროვე მანქანების მართვა მეტისმეტად ადვილია და უინტერესოა.

④ いくら 好きでも、飲みすぎると、体に 悪いですよ。
რაც არ უნდა გიყვარდეთ, ზედმეტი სმა ჯანმრთელობისათვის ცუდია.

2.

ზ მას ფუძე	やすいです
	にくいです

1) ეს ფრაზა გვეუბნება, რომ იმ მდგომარეობაში ყოფნა ან იმ მოქმედების შესრულება, რომელსაც მოცემული ზმნა აღნიშნავს, არის ადვილი/ძნელი.

⑤ この パソコンは 使いやすいです。

ეს პერსონალური კომპიუტერი ადვილი გამოსაყენებელია.

⑥ 東京は 住みにくいです。

ტოკიოში ცხოვრება ძნელია.

2) ეს ფრაზა გვიჩვენებს, თუ როგორ ექვემდებარება ცვლილებას (ადვილად თუ ძნელად) სინტაქსური სუბიექტი.

⑦ 白い シャツは 汚れやすいです。 თეთრი პერანგი ადვილად იხვრება.

⑧ 雨の 日は 洗濯物が 乾きにくいです。 წვიმიან დღეს სარეცხი ძნელად შრება.

შენიშვნა: ~やすい-სა და ~にくい-ს ი-ზედსართავი სახელის ფორმა აქვს და შესაბამისად იცვლება.

⑨ この 薬は 砂糖を 入ると、飲みやすくなります。

ამ წამალში შეაქარს რომ ჩაუმატებთ, ადვილი დასალევი გახდება.

⑩ この コップは 割れにくくて、安全です。

ეს ჭიქა არ ტყდება და უსაფრთხოა.

3.

い-ზდ. (〜 に) → ~<	します
な-ზდ. [を] → に	
ゝに	

[~</~に なります] სტრუქტურა, რომელიც ისწავლეთ მე-19 გაკვეთილში, გვეუბნება, რომ “(რაცა) იცვლის მდგომარეობას” ან “გადაიქცევა ~ად”; [~</~に します] კი ნიშნავს, რომ სუბიექტის ზემოქმედებით მიიღწევა “მდგომარეობის შეცვლა” ან “~ად გადაქცევა”.

- ⑪ 音を大きく します。 ხმას ამოუწევ.
- ⑫ 部屋をきれいに します。 ოთახს დაეასუფთავებ.
- ⑬ 塩の量を半分に しました。 მარილის რაოდენობა გაანახევრე.

4.

ゝに します

ეს სტრუქტურა გამოხატავს არჩევანს ან გადაწყვეტილებას.

- ⑭ 部屋は シングルに しますか、ツインに しますか。
ოთახი ერთსაწოლიანი გნებავთ თუ ორსაწოლიანი ?
- ⑮ 会議は あしたに します。
კრებას ხვალ მოვაწყობთ.

5.

い-ზდ. (〜 に) → ~<	も
な-ზდ. [を] → に	

აღნიშნულ სტრუქტურაში ზედსართავი სახელი ზმნიზედის ფუნქციას ასრულებს.

- ⑯ 野菜を 細かく 切ってください。 ბოსტნეული წერილად დაჭერით.
- ⑰ 電気や 水は 大切に 使いましょう。 დენი და წყალი მომჭირნედ მოვიხმართ.

ორმოცდამეხუთე ბაკვეთილი

第45課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

あやまる	謝る	ბოდიშის მოხდა (ბოდიშს იხდის)
あう		მოხვედრა
[じこに~]	[事故に~]	(ავარიაში ხვდება)
しんじる	信じる	დაჯერება (სჯერა)
よういする	用意する	მომზადება (ამზადებს)
キャンセルする	(cancel)	შეკვეთის გაუქმება (აუქმებს)
うまく いく		საქმის კარგი მსვლელობა (კარგად მიდის)
ほしょうしょ	保証書	საგარანტიო დოკუმენტი
りょうしゅしょ	領収書	ქვითარი
おくりもの	贈り物	საჩუქარი (~を する საჩუქრის მიცემა)
まちがいであわ	まちがい電話	მცდარი ტელეფონის ზარი
キャンプ	(camp)	ბანაკი, ექსკურსია კარავში ღამის თევით
かかり	係	მომსახურე პერსონალი
ちゅうし	中止	შეწყვეტა, გაუქმება
てん	点	ქულა
レバー	(lever)	სახელური
[-えん]さつ	[-円]札	[-იენი] ფულის კუპიურა
ちゃんと		მოწესრიგებულად, სისტემატურად
きゅうに	急に	უეცრად
たのしみにしてい	楽しみにして	სასიხარულო მოლოდინი (ელოდება)
る	いる	
いじょうです。	以上です。	სულ ეს არის.

会話

かかりいん
係員

コース

スタート

い
一位

ゆうしょう
優勝する

მომსახურე პერსონალი

(course) კურსი, ტრასა

(start) სტარტი

— ადგილი

ჩემპიონატის მოგება

読み物

なや
悩み

めざまし[時計]

ねむ
眠る

めざまさ
目が覚める

だいがくせい
大学生

かいとう
回答

な
鳴る

セットする

それでも

ღარღი

მალეობარა (საათი)

ღაძინება (იძინებს)

გაღვიძება (იღვიძებს)

უნივერსიტეტის სტუდენტი

პასუხი

რეკვა (ირეკება)

(set) დაყენება

და მაინც

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, მაშინვე დაუკავშირდით ბარათის ფირმას.
2. მიუხედავად შეთანხმებისა, ის (ქალი) არ მოვიდა.

წინადადების მაგალითები 例文

1. ტელეფონზე შეცდომით დარეკვის შემთხვევაში, როგორ უნდა მოვიხადო ბოდიში? შეგიძლიათ თქვათ: უკაცრავად, ნომერი შეშეშალა.
2. ეს ამ კომპიუტერის საგარანტიო დოკუმენტია. თუ გაფუჭდა, ამ ნომერზე დარეკეთ. ღიახ, გასაგებია.
3. უკაცრავად, ამ ბიბლიოთეკაში (ქსერო)ასლის გადაღების ქვითარი შემიძლია მივიღო? ღიახ. თუ გჭირდებათ, მომსახურე პირს მიმართეთ.
4. ხანძრის ან მიწისძვრის დროს არავითარ შემთხვევაში არ ისარგებლოთ ლიფტით. ღიახ, გასაგებია.
5. თქვენმა სიტყვით გამოსვლამ კარგად ჩაიარა? არა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მონღოლებით ვმეცადინეობდი და დავისწავლე, შუაში მაინც დამაფიწყდა.
6. გოლფს წვიმაშიც თამაშობთ? ცუდი მოთამაშე ვარ, მაგრამ მიყვარს.

დიალოგი 会話

მიუხედავად მთელი ძალით ვარჯიშისა


- მომსახურე პირი: ეს მარათონი “ჯანმრთელობის მარათონია” და საკუთარ შესაძლებლობებს ნუ გადაამეტებთ. თუ თავს ცუდად იგრძნობთ, მიმართეთ მომსახურე პირს.
- მონაწილე: გასაგებია.
- მომსახურე პირი: თუ ტრასა შეგეშალათ, დაბრუნდით უკან და განაგრძეთ.
- მონაწილე: უკაცრავად, თუ შუა გზაში მომინდა თავის განებება, როგორ უნდა მოვიქცე.
- მომსახურე პირი: მაგ შემთხვევაში იქვე მომსახურე პირს სახელი უთხარით და თავისუფალი ხართ. მაშ, სტარტის დროა.

- სუბუკი: ბატონო მილერ, მარათონმა როგორ ჩაიარა?
- მილერი: მეორე ადგილი ავიღე.
- სუბუკი: მეორე ადგილი? მაგარია!
- მილერი: არა. მიუხედავად მთელი ძალით ვარჯიშისა, გამარჯვება ვერ შევძელი და გული დამწყდა.
- სუბუკი: მომავალ წელს კიდევ ჩატარდება.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

非常の場合 განსაკუთრებულ შემთხვევაში

- (1) 地震の場合 მიწისძვრის დროს.
- 1) 備えが大切 უნდა იყოთ მზად.
- ① 家具が倒れないようにしておく
ავეჯი ისე უნდა ეწყოს, რომ არ წაიქცეს.
 - ② 消火器を備える・水を貯えておく
იქონიეთ ცეცხლსაქრობი და წყლის მარაგი.
 - ③ 非常用持ち出し袋を用意しておく
მზად გქონდეთ ჩანთა აუცილებელი ნივთებით
 - ④ 地域の避難場所を確認しておく
დაადგინეთ, სად არის ყველაზე ახლო თავშესაფარი.
 - ⑤ 家族、知人、友人と、もしもの場合の連絡先を決めておく
ოჯახის წევრებთან და ნაცნობ-მეგობრებთან დათქმეთ ექსტრემალური სიტუაციის დროს შესვდრის ადგილი.
- 2) 万一地震がおきた場合 တუ მიწისძვრა მოხდა
- ① すばやく火の始末
სასწრაფოდ ჩააქრეთ ქურა.
 - ② 戸を開けて出口の確保
გასასვლელის უზრუნველსაყოფად კარი გააღეთ.
 - ③ 慌てて外に飛び出さない
დაბნეული გარეთ არ გამოვარდეთ.
 - ④ テーブルの下にもぐる
შეძვერით მაგიდის ქვეშ.
- 3) 地震が収まったら 地震が収まったら მიწისძვრა რომ გადაივლის
正しい情報を聞く (山崩れ、崖崩れ、津波に注意)
მოუსმინეთ სწორ ინფორმაციას.(უფრთხილდით მეწყერს, კლდის შლასა და ზღვის მაღალ ტალღებს).
- 4) 避難する場合は 避難する場合は გახიზვნის შემთხვევაში
車を使わず、必ず歩いて
არ ჩაჯდეთ მანქანაში, აუცილებლად წადით ფეხით.
- (2) 台風の場合 ტაიფუნის (ქარიშხლის) დროს
- ① 気象情報を聞く
მოუსმინეთ ამინდის პროგნოზს.
 - ② 家の周りの点検
შეამოწმეთ სახლის გარშემო ყველაფერი.
 - ③ ラジオの電池の備えを
იქონიეთ ელემენტები რადიოსათვის.
 - ④ 水、緊急食品の準備
იქონიეთ წყლისა და აუცილებელი საჭმლის მარაგი.



IV გრამატიკა 文法

1.

ზ სალექსიკონო ფორმა	ばあい 場合は、~
ზ た-ფორმა	
ზ ない-ფორმა	
ი-ზდ. (~い)	
ნა-ზდ. な	
ა の	

~ばあいは არის გამოთქმა, რომელიც წარმოსახვით სიტუაციაზე მიგვითითებს; მისი მომდევნო ფრაზა კი წარმოადგენს სიტუაციიდან გამომდინარე დასკვნას ან რჩევას, თუ როგორ მოვიქცეთ მოცემულ სიტუაციაში. ばあい არსებითი სახელია. ამდენად, მის წინ მდგომი ზმნა, ზედსართავი სახელი ან არსებითი სახელი იმ ფორმაშია, რომელსაც ეს არსებითი სახელი მოითხოვს.

- ① 会議に 間に 合わない 場合は、連絡して ください。
კრებაზე დაგვიანების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით.
- ② 時間に 遅れた 場合は、会場に 入れません。
დაგვიანების შემთხვევაში, დარბაზში ვერ შემოხვალთ.
- ③ ファクスの 調子が 悪い場合は、どうしたら いいですか。
როგორ მოვიქცე, როცა ფაქსი ცუდად მუშაობს.
- ④ 領収書が 必要な 場合は、係に 言って ください。
ჩემი თუ გჭირდებათ, მომსახურე პერსონალს მიმართეთ.
- ⑤ 家事や 地震の場合、エレベーターを 使わないで ください。
ხანძრისა და მიწისძვრის დროს ლიფტით არ ისარგებლოთ.

2.

ზ	უბრალო ფორმა	のに、~
ი-ზდ.		
ნა-ზდ.	უბრალო ფორმა	
ა	~ た →~ な	

のに აერთიანებს ორ წინადადებას და გვიჩვენებს, რომ მის მეორე ნაწილში გადმოცემულია ის, რაც პირველ ნაწილში აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე მოლოდინს ეწინააღმდეგება.

- ⑥ 約束を したのに、彼女は 来ませんでした。
მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებულები ვიყავით, ის (ქალი) არ მოვიდა.
 - ⑦ きょうは 日曜日なのに、働かなければ なりません。
მიუხედავად იმისა, რომ კვირაა, უნდა ვიმუშაო.
- ⑥-ში მოსაუბრე ფიქრობდა, რომ ქალი მოვიდოდა, რადგან ისინი შეთანხმებულები იყვნენ. ბუნებრივია, მოსაუბრე ნაწყენია იმის გამო, რომ ქალი არ მოვიდა. ⑦-ში კვირა დღე, ჩვეულებრივ, დასვენების დღეა, მოსაუბრეს კი მუშაობა უწევს და უკმაყოფილოა ამ გარემოებით. ამგვარად, წინადადების მეორე ნაწილი მიგვანიშნებს მოულოდნელობაზე ან უკმაყოფილებაზე.

შენიშვნა: ყურადღება მიაქციეთ განსხვავებას ~のに და ~が/~ても ფორმებს შორის:

⑧ わたしの 部屋は 狭いですが、きれいです。 (×狭いのに)
ჩემი ოთახი პატარაა, მაგრამ სუფთა.

⑨ あした 雨が 降っても、出かけます。 (×雨が 降るのに)
ხვალ რომ წვიმდეს კიდევ, მაინც გაველ გარეთ.

~が და ~ても ფორმები ⑧-სა და ⑨-ში ~のに ფორმით ვერ შეიცვლება. ⑧-ში ორი განსხვავებული აზრის წინადადება მარტივად არის დაკავშირებული. მისი მეორე ნაწილი არ წარმოადგენს მოულოდნელ დასკვნას, რომელიც ეწინააღმდეგება პირველ ნაწილში მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე მოლოდინს. ⑨-ის პირველ ნაწილში მოცემულია შესაძლებლობა, ~のに კი მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ, როცა რაიმე რეალურად ხდება.

⑩ 約束を したのに、どうして 来なかったんですか。 (×約束を しましたが)
ხომ დამპირდი მოვალე. რატომ არ მოხვედი? (×約束を しても)

⑩-ში ~のに-ის ნაცვლად არ შეიძლება ჩავსვათ ~が და ~ても ფორმები, რადგან წინადადების მეორე ნაწილი გამოსატყვევს აშკარა უკმაყოფილებას და საყვედურს.

ორმოცდამეექვსე ბაკვეთილი

第46課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

やく	焼く	შეწვა (წვავს)
わたす	渡す	ნიეთის გადაცემა (გადასცემს)
かえってくる	帰ってくる	დაბრუნება (ბრუნდება)
でる	出る	გასვლა (ავტობუსი გადის)
[バスが~]		
るす	留守	სახლში არყოფნა
たくはいびん	宅配便	ფოსტა გზავნილის შინ მიტანით
げんいん	原因	მიზეზი
ちゅうしゃ	注射	სამედიცინო ნემსი, ინექცია
しょくよく	食欲	მადა
パンフレット	(pamphlet)	ბუკლეტი
ステレオ	(stereo)	სტერეო
こちら		აქ, ამ მხარეს
~の ところ	~の 所	ადგილი ~ის გარშემო
ちょうど		ზუსტად
たったいま	たった今	ზუსტად ახლა (გამოიყენება ზმნის წარსულ დროსთან და მიანიშნებს, რომ მოქმედება დასრულებულია)
いま いいでしょ	今 いいでしょ	ახლა გცალიათ? ახლა შეიძლება?
うか。	ようか。	

会話

ガスサービスセンター

ガスレンジ

ぐあい
具合

どちら様さまでしょうか。

む
向かう

おま待たせしました。

(gas service center) გაზის სერვის-ცენტრი

(gas range) გაზქურა

მდგომარეობა

ვინ ბრძანდებით?

მიმართვა (მიემართება)

უკაცრავად, გალოდინეთ.

読み物

ちしき
知識

ほうこ
宝庫

て へい じょうほう
手に入る [情報が~]

システム

たと
例えば

キーワード

いちぶぶん
一部分

にゅうりょく
入力する

びょう
秒

で ほん
出ます [本が~]

ცოდნა

საგანძური

ხელში ჩაგდება, მოპოვება (ინფორმაციას
მოიპოვებს)

(system) სისტემა

მაგალითად

(key word) ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა,
სიტყვა-გასაღები

ერთი ნაწილი

შეყვანა (კომპიუტერში)

წამი

გამოსვლა (წიგნი გამოდის)

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. კრება ახლა იწყება.
2. მან სულ ახლახან, მარტში დაამთავრა ინსტიტუტი.
3. საბუთები სწრაფი ფოსტით გავაგზავნე და ხვალ უნდა ჩავიდეს.

წინადადების მაგალითები 例文

1. ალო, ტანაკა ვარ. ახლა შეიძლება დაგელაპარაკოთ?
უკაცრავად, ახლა გავდივარ. რომ დაგებრუნდები, თვითონ დაგირეკავთ.
2. გაფუჭების მიზეზი გაიგეთ?
არა, ახლა ვარკვევ.
3. ქალბატონი ვატანაბე არის?
აჰ, ახლა წავიდა. შეიძლება ჯერ კიდევ ლიფტთან იყოს.
4. სამუშაო როგორ მოგწონთ?
გასულ თვეში დავიწყე ფირმაში მუშაობა და ჯერ კარგად ვერ გავრკვეულვარ.
5. ეს ვიდეთ კამერა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას ვიყიდე, უკვე აღარ მუშაობს.
აბა, მანვენეთ.
6. ტერეზას სიცხე დაუწევს?
ახლა ნემსი გავუკეთე და სამი საათის შემდეგ უნდა დაუწიოს.

დიალოგი 会話

ახლა მალე უნდა მოვიდნენ

- მომსახურე პირი: გაზის მომსახურების ცენტრი გისმენთ.
ტავაპონი: იცით, გაზქურა ცუდად მუშაობს.
მომსახურე პირი: როგორ?
ტავაპონი: მიუხედავად იმისა, რომ წინა კვირას გავაკეთებინე, ცეცხლი ისევ უცბად ქრება. საშიშია და მალე ხომ არ მოხვიდოდით?
- მომსახურე პირი: დიახ. 5 საათისათვის შევძლებთ მოვიდეთ. თქვენი მისამართი და სახელი, თუ შეიძლება.
-
- ტავაპონი: ალო, 5 საათისათვის უნდა მოსულიყვნენ გაზქურის შესამოწმებლად. ჯერ არ გამოსულან?
მომსახურე პირი: უკაცრავად, ვინ ბრძანდებით?
ტავაპონი: ტავაპონი ვარ.
მომსახურე პირი: ცოტა ხანს დამელოდეთ, მომსახურე პირს დავუკავშირდები.
-
- მომსახურე პირი: უკაცრავად, გალოდინეთ. ახლა მაქვთ მოდიან. კიდევ 10 წუთი დაელოდეთ.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

かたかな語のルーツ

კატაკანათი დაწერილი სიტყვების წარმომავლობა

იაპონურ ენაში უცხო ენიდან შემოსული ბევრი სიტყვაა. ეს სიტყვები კატაკანათი იწერება. მათი უმეტესობა შემოსულია ინგლისური ენიდან, ზოგიერთი – ფრანგული, გერმანული, პორტუგალიური, და ა.შ. ენებიდან. არის კატაკანათი დაწერილი ისეთი სიტყვებიც, რომლებიც შექმნილია იაპონელების მიერ უცხო სიტყვების გამოყენებით.

	た の もの の もの 食べ物・飲み物	いふく 衣服	びょうき 病気	びいじゆつ 芸術	た その他
英語	ジャム ჯემი ハム შებოლილი ხორცი クッキー ქეჩენია チーズ ჩეიზი ケーキ ქეკი	エプロン წინსაფარი スカート ქვედაბოლო სუტს კოსტუმი	インフルエンザ გრიპი ストレス სტრესი	ドラマ დრამა, სერიალი コーラス კორსი グンディ (სიმღერისას) メロディー მელოდია	スケジュール განრიგი ティッシュペーパー ქაღალდის ხელსახოცი トラブル პრობლემა レジャー დასვენება, გართობა
フランス語	コロッケ კოროკეტი オムレツ ომლეტი ピーマン პეიმანი ბულგარული წიწაკა	ズボン შარვალი ランジェリー საცვალის კიუროტი საცხენოსნო შარვალი		バレエ ბალეტი シャンソン შანსონი アトリエ სახელოსნო, სტუდია	アンケート ანკეტი コンクール კონკურსი ピエロ პიერო
ドイツ語	フランクフルト [ソーセージ] სოსისი ძეხვი		レントゲン რენტგენი ノイローゼ ნერვოზი アレルギー ალერგია	メルヘン ზღაპარი	アルバイト დროებითი სამუშაო エネルギー ენერგია ゲレンデ სათხილამურო ტრასა テーマ თემა
オランダ語	ビール ლუდი コーヒー ყავა	ズック სპორტული ფეხსაცმელი ホック კაუჭი	メス სკალპელი ピンセット პინცეტი		ゴム რეზინი ペンキ საღებავი ガラス შუშა コック მზარეული
ポルトガル語	パン პური カステラ ერთგვარი ნამცხვარი	ピロート ხავერდი チョッキ ვილეტი			カルタ იაპონური კარტი
イタリア語	マカロニ მაკარონი スパゲッティ სპაგეტი			オペラ ოპერა バレリーナ ბალერინა	

IV გრამატიკა 文法

1.

ზ სალექსიკონო ფორმა	とこゝです
ზ て-ფორმა いる	
ზ た-ფორმა	

თვითონ სიტყვა とこゝ ნიშნავს “ადგილს”, მაგრამ ის ასევე გამოიყენება დროებითი მდგომარეობის მისათითებლად. ამ გაკვეთილში ისწავლით とこゝ-ს როგორც დამხმარე სიტყვას, რომელიც მოქმედების შესრულების პროცესში გარკვეულ მომენტზე მიუთითებს.

1)

ზ სალექსიკონო ფორმა とこゝです

ამ სტრუქტურის წინადადება გვეუბნება, რომ ზმნით გადმოცემული მოქმედება ახლა იწყება. ასეთ წინადადებაში ხშირად გვხვდება სიტყვები: これから [ჩიようど], 今から და ა. შ., რომლებიც უფრო ნათელს ხდიან წინადადების აზრს.

- ① 昼ごはんは もう 食べましたか。 უკვე ისადილეთ?
- いいえ、これから 食べる とこゝです。 არა, ახლა ვაპირებ ჭამას.
- ② 会議は もう 始まりましたか。 კრება უკვე დაიწყო?
- いいえ、今から 始まる とこゝです。 არა, ახლა იწყება.

2)

ზ て ფორმა いる とこゝです

ამ სტრუქტურის წინადადება გვეუბნება, რომ ზმნით გადმოცემული მოქმედება ამ მომენტში მიმდინარეობს. ამ წინადადებაში ხშირად გვხვდება სიტყვა: 今。

- ③ 故障の 原因が わかりましたか。 გაფუჭების მიზეზი გაიგეთ?
- いいえ、今 調べている とこゝです。 არა, ახლა ვარკვევ.

3)

ზ た-ფორმა とこゝです

ამ სტრუქტურის წინადადება გვეუბნება, რომ ზმნით გადმოცემული მოქმედება ეს-ესაა დამთავრდა. ამ წინადადებაში ხშირად გვხვდება სიტყვა たったいま და სხვ.

- ④ 渡辺さんはいますか。 ქალბატონი ვატანაბე არის?
- あ、たった今 帰った とこゝです。 აჰ, ახლა წავიდა.

まだ エレベーターの 所に いる かもしれません。

შეიძლება ჯერ კიდევ ლიფტთან იყოს.

- ⑤ たった今 バスが 出た とこゝです。 ეს-ესაა წავიდა ავტობუსი.

შენიშვნა: ~とこゝです სხვადასხვა ფორმაში შეიძლება შეგხვდეთ:

- ⑥ もしもし 田中ですが 今 いいでしょうか。

すみません。今から 出かける とこゝなんです。

ალო, ტანაკა ვარ. ახლა შეიძლება დაგელაპარაკოთ?

უპაცრავად, ახლა გავდივარ. რომ დაგბრუნდები, თვითონ დაგირეკავთ.

2.

ზ **ბ** ფორმა **ばかりです**

ეს სტრუქტურა გვეუბნება, რომ დიდი დრო არაა გასული, მას შემდეგ, რაც მოქმედება დასრულდა და გამოხატავს მოსაუბრის თვალსაზრისს დროის შეფასებასთან დაკავშირებით. თუ მოსაუბრე გრძნობს, რომ მოქმედების შესრულებიდან ძალზე მოკლე დროა გასული, აღნიშნული სტრუქტურა შეიძლება გამოყენებული იქნას დროის ობიექტური შეფასებიდან დამოუკიდებლადაც. ეს სტრუქტურა განსხვავდება ~と ころ だ ず ფორმისგან, რომელიც უბრალოდ მიგვანიშნებს დროზე, რომ ეს-ესაა დასრულდა მოქმედება.

⑦ さっき 昼ごはんを 食べた ばかりです。

ახლახან ვისადილე.

⑧ 木村さんは 先月 この 会社に入った ばかりです。

ქალბატონი კიმურა სულ ერთი თვეა, რაც ამ ფირმაში მუშაობს.

შენიშვნა: ~ばかりです შეიძლება შეგხვდეთ სხვადასხვა ფორმაში:

⑨ このビデオは 先週 買った ばかりなのに、読みが おかしいです。

ეს ვიდეო კამერა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას ვიყიდე, უკვე აღარ მუშაობს.

3.

ზ სალექსიკონო ფორმა	はずです
ზ ない -ფორმა	
い -ზდ. (~い)	
な -ზდ. な	
だ の	

მოსაუბრე ამ სტრუქტურას იყენებს მაშინ, როდესაც დარწმუნებულია იმაში, რაც **はず**-ს წინ არის ნათქვამი. ამგვარად, მოსაუბრე მიგვანიშნებს, რომ მას საფუძველი აქვს, ასე იფიქროს და დარწმუნებულია თავის ნათქვამში.

⑩ ミラーさんは きょう 来る でしょうか。

来る はずですよ。きのう 電話が ありましたから。

ნეტა მილერი დღეს მოვა?

უნდა მოვიდეს. გუშინ დარეკა.

⑩ -ში მოსაუბრის დარწმუნების საფუძველს მილერის სატელეფონო ზარი წარმოადგენს. ამ ზარზე დაყრდნობით იგი ასკვნის, რომ მილერი დღეს მოვა. სიტყვა **はず**-თი მოსაუბრე გვეუბნება, რომ მას სჯერა საკუთარი დასკვნისა.

ორმოცდამეშვიდე ბაკვეთილი

第 4 7 課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

あつまる	集まる	შეკრება
[ひとが~]	[人が~]	(ხალხი იკრიბება)
わかれる	別れる	განშორება
[ひとが~]	[人が~]	(ადამიანები შორდებიან)
ながいきする	長生きする	დღეგრძელობა, დიდხანს სიცოცხლე
する	する	
[おと/こえが~]	[音/声が~]	(ხმა ისმის)
[あじが~]	[味が~]	(გემო აქვს)
[においが~]		(სუნი აქვს)
さす		გაშლა
[かさを~]	[傘を~]	(ქოლგას ვშლი)
ひどい		საშინელი
こわい	怖い	საშიში, შიში (ეშინია)
てんきよほう	天気予報	ამინდის პროგნოზი
はっぴょう	発表	გამოცხადება, წარდგენა
じっけん	実験	ექსპერიმენტი
じんこう	人口	მოსახლეობა
におい		სუნი
かがく	科学	მეცნიერება
いがく	医学	მედიცინა
ぶんがく	文学	ლიტერატურა
パトカー	(patrol car)	პატრულის მანქანა
きゅうきゅうしゃ	救急車	სასწრაფო მანქანა
さんせい	賛成	თანახმა
はんたい	反対	წინააღმდეგი
だんせい	男性	მამაკაცი
じょせい	女性	ქალი
どうも ~		როგორც ჩანს ~
~に よると		~ის მიხედვით
*バリ ^{とう} [島]		კუნძული ბალი
*イラン		ირანი
*カリフォルニア		კალიფორნია
*グアム		გუამა

会話
こいびと
恋人
こんやく
婚約する
あいて
相手
しあ
知り合う

読み物
へいぎんじゆみよう
平均寿命
くら
比べる
だんせい
[男性と~]

博士
脳
ホルモン
化粧品
調べ
化粧

შეყვარებული
დანიშვნა
პარტნიორი
გაცნობა

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
შედარება
(მამაკაცებთან შედარება)

დოქტორი
ტვინი
ჰორმონი
პარფიუმერული ნაწარმი მაკიაჟისათვის
კვლევა
მაკიაჟი

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 句型

1. ამინდის პროგნოზის მიხედვით, ხვალ აცივდება.
2. მეზობელ ოთახში, მგონი, ვიღაც არის.

წინადადების მაგალითები 例文

1. გაზეთი წავეითხე, იანვარში იაპონურ ენაზე სიტყვით გამოქვეყნდება კონკურსი, ეწერა. მიღერ, თქვენც ხომ არ გამოხვიდოდით?
დიახ. ვიფიქრებ ამის შესახებ.
2. ამბობენ, კლარა ბავშვობაში საფრანგეთში ცხოვრობდაო.
ამიტომაც არის, რომ ფრანგული ესმის, არა?
3. ამბობენ, პავლეჩკის ელექტრონული დექსიკონი ადვილი მოსახმარი და კარგიაო.
დიახ. მე უკვე ვიყიდე.
4. ამას წინათ კუნძულ ბალიზე ვიყავი დასასვენებლად.
ამბობენ, ძალიან ღამაში ადგილიაო.
დიახ. მართლაც კარგი იყო.
5. რა ხმაურია, არა?
დიახ. ალბათ წვეულებაა ან რაღაც მაგვარი.
6. ბევრი ხალხია შეკრებილი.
როგორც ჩანს, ავარია მოხდა. პატრულის მანქანა და სასწრაფოა მოსული.

დიალოგი 会話

ამბობენ, დაინიშნაო

ვატანაბე: უკაცრავად, თქვენზე ადრე რომ მივდივარ.

ტაკაჰაში: ქალბატონო ვატანაბე, ცოტა მომიცადეთ. მეც მოვდივარ.

ვატანაბე: მაპატიეთ, მეჩქარება.

ტაკაჰაში: ქალბატონი ვატანაბე ამ ბოლო დროს ადრე მიდის ხოლმე. როგორც ჩანს, შეყვარებული გაიჩინა.

ჰაიაში: აჰ, არ იცით? ახლახან დაინიშნაო, ამბობენ.

ტაკაჰაში: ვაა, ვინ დანიშნა?

ჰაიაში: IMC-ს სუძუკიმ.

ტაკაჰაში: სუძუკიმ?

ჰაიაში: გასულ წელს ვატანაბეს ამხანაგის ქორწილში გაუცნიათ ერთმანეთი.

ტაკაჰაში: მართლა?

ჰაიაში: სხვათა შორის, თქვენ (არაფერს აპირებთ)?

ტაკაჰაში: მე? ჩემი შეყვარებული – სამუშაოა.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

ぎおんご ぎたいご
擬音語・擬態語

ბგერა-მოძრაობის (ონომატოპიკური) სიტყვები

<p>ザーザー (降る) შხაპუნა (წვიმა)</p> 	<p>ピューピュー (吹く) ზუზუნებს (ქარი)</p> 	<p>ゴロゴロ (鳴る) გრუნუნებს</p> 
<p>ワンワン (ほえる) აუ, აუ (ყვებს)</p> 	<p>ニャーニャー (鳴く) მიაუ (კნავის)</p> 	<p>カーカー (鳴く) ყვა, ყვა (ჩხავის)</p> 
<p>げらげら (笑う) ხარხარებს</p> 	<p>しくしく (泣く) ზღუქუნებს</p> 	<p>きよるきよる (見る) (თვალებს) აცევებს</p> 
<p>ばくばく (食べる) თქვლევს</p> 	<p>ぐうぐう (寝る) ღრმად (სძინავს)</p> 	<p>すらすら (読む) რაკრაკით (კითხულობს)</p> 
<p>ざらざら (している) ხორკლიანი (არის)</p> 	<p>べたべた (している) წებოვანი (არის)</p> 	<p>つるつる (している) სრილა, გლუვი (არის)</p> 

IV გრამატიკა 文法

1.

უბრალო ფორმა そうです

ეს გამოთქმა გამოიყენება გარკვეული წყაროდან მოსული ინფორმაციის გადმოსაცემად, საკუთარი აზრის დამატების გარეშე. როდესაც ინფორმაცია მოსულია კონკრეტული წყაროდან, ინფორმაციის წყაროს დასახელებას მოსდევს によると (~ ის მიხედვით).

① 天気予報によると、あしたは寒くなるそうです。
ამინდის პროგნოზის მიხედვით, ხვალ აცივდება.

② クララさんは子どものとき、フランスに住んでいたそうです。
კლარა ბავშვობაში საფრანგეთში ცხოვრობდა, ამბობენ.

③ バリ島は とてもきれいだそうです。
ამბობენ, კუნძული ბალი ძალიან ლამაზია.

შენიშვნა: ეს გამოთქმა განსხვავდება 43-ე გაკვეთილში ნახვავლი ~そうです ფორმისგან. შეადარეთ ქვემოთ მოცემული მაგალითები:

④ 雨が降りそうです。 როგორც ჩანს, იწვიმებს.

⑤ 雨が降るそうです。 ამბობენ, იწვიმებს.

⑥ この料理は おいしいそうです。 ეს საჭმელი გემრიელი ჩანს.

⑦ この料理は おいしいそうです。 ამბობენ, ეს საჭმელი გემრიელია.

შენიშვნა: დააკვირდით განსხვავებას ამ გაკვეთილის ~そうです გამოთქმასა და 33-ე გაკვეთილში ნახვავლ ~と 이었습니다 სტრუქტურას შორის.

⑧ ミラーさんは あした 京都へ 行くそうです。
გაეგე, მილერი ხვალ კიოტოში მიდის.

⑨ ミラーさんは あした 京都へ 行くと言っていました。
მილერი ამბობდა, ხვალ კიოტოში მივდივარ.

⑩ ミラーさんは 「あした 京都へ 行きます」と言っていました。

⑨-ში ინფორმაციის წყარო თვით მილერია, ⑧-ში კი ინფორმაციის წყარო აუცილებლად მილერი არ არის, შეიძლება სხვაც იყოს. ~と 이었습니다 სტრუქტურასთან სხვისი ნათქვამი შეიძლება იყოს ციტირებული პირდაპირ (როგორც ეს ⑩-შია) ან არაპირდაპირ (როგორც ეს ⑨-შია); ⑧-ში კი მხოლოდ უბრალო ფორმა გამოიყენება.

2.

ホ	უბრალო ფორმა	ようです
イ-ზდ.		
ナ-ზდ.	უბრალო ფორმა ~ ナ →~ ナ	
ハ	უბრალო ფორმა ~ ハ →~ ハ	

ეს სტრუქტურა გამოხატავს მოსაუბრის სუბიექტურ ვარაუდს, რომელიც ემყარება უშუალოდ მის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას (მის მიერ ნანახს, გაგონილსა თუ განცდილს).

⑪ ^{ひと}人が ^{おお勢}大勢 ^{あつ}集まって いますね。

事故のようですね。パトカーと ^{きゅうきゅうしや}救急車が 来て いますよ。

ბევრი ხალხია შეკრებილი.

როგორც ჩანს, ავარია მოხდა. პატრულის მანქანა და სასწრაფო მოსული.

⑫ ^{せき}せきも ^で出るし、^{あたま}頭も ^{いた}痛い。どうも ^{かぜ}かぜを ^ひひいたようだ。

მახველებს, თავიც მტკივა. როგორც ჩანს, გაცივიედი.

შენიშვნა: დააკვირდით განსხვავებას ~^{そう}です-სა (მოცემულია 43-ე გაკვეთილში, აღწერს რეალურ მდგომარეობას) და ~^{よう}です-ს შორის:

⑬ ミラーさんは ^{いそが}忙しそうです。

როგორც ვხედავ, მიღერი დაკავებულია.

⑭ ミラーさんは ^{いそが}忙しいようです。

როგორც (წაკითხულიდან ან გაგონილიდან) ვხედგები, მიღერი დაკავებულია.

⑬ გამოხატავს მოსაუბრის ინტუიციურ დასკვნას, რომელიც ემყარება მის მიერ დანახულს, იმას, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ან როგორ იქცეოდა მიღერი. ⑭ გამოხატავს მოსაუბრის დასკვნას, რომელიც ემყარება იმას, რაც მან წაკითხა, რაც უთხრეს ან გაიგონა.

3. ^{こゑ}声 / ^{おと}音 / ^{あじ}におい / 味が します

⑮ ^{あじ}変な ^{おと}音が しますね。 უცნაური ხმაურია, არა?

ისეთი ფენომენი, რომლის აღქმა შესაძლებელია გრძნობის ორგანოებით, გადმოიცემა ~^が します-ის საშუალებით. ამ ტიპის გამოთქმებს ეკუთვნის ^{こゑ}が します, ^{におい}が します და ^{あじ}が します.

ორმოცდამეცხე ბაკვეთილი

第48課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

おろす	降ろす、下ろす	ჩამოდება, ჩამოგდება (იღებს, აგდება)
とどける	届ける	მიტანა (მიაქვს)
世話を する	世話を する	ზრუნვა, მოვლა (ზრუნავს, უვლის)
いや[な]	いや[な]	საძულველი
きびしい	厳しい	მკაცრი
じゆく	塾	სასწავლებელი, რომელიც სკოლის შემდეგ ბავშვებს ეხმარება გაკვეთილის მომზადებაში.
スケジュール	(schedule)	განრიგი
せいと	生徒	მოსწავლე
もの	者	პიროვნება, ადამიანი
にゅうかん	入管	იმიგრაციის ბიურო
さいにゅうこくビザ	再入国ビザ	ვიზა ქვეყანაში ხელმეორედ შესასვლელად
じゆうに	自由に	თავისუფლად
~かん	~間	~ის განმავლობაში
いい ことですね。		კარგია.

会話

^{いそが}
お忙しいですか。

^{ひさ}
久しぶり

^{えいぎょう}
営業

それまでに

かまいません。

^{たの}
楽しむ

読み物

もともと

^{せいぎ}
一世紀

^か
代わりを する

スピード

^{きょうそう}
競走する

サーカス

^{げい}
芸

^{うつく}
美しい

^{すがた}
姿

^{こころ}
心

とらえる

~に とって

დაკავებული ბრძანდებით?

დიდი ხნის შემდეგ

მუშაობა

მანამდე

შეიძლება; არაფერი დაშავდება.

გახალისება (ხალისობს); გართობა
(ერთობა)

სულ თავიდან, თავდაპირველად

-საუკუნე

მაგივრობის გაწევა, შეცვლა (მაგივრობას
წევს, ცვლის)

(speed) სიჩქარე

შეჯიბრი სირბილში (ეჯიბრება სირბილში)

(circus) ცირკი

წარმოდგენა, ილეთი

ლამაზი

ფორმა, გარეგნობა, სილუეტი

გული, განწყობა

ჩაეღება, გატაცება, დაჭერა

~თვის

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. ვაჟი შეიღოს ინგლისში გავგზავნი სასწავლებლად.
2. ქალი შეიღოს პიანინოზე დაკერას ვასწავლი (ვაიძულებ, ისწავლოს).

წინადადების მაგალითები 例文

1. სადგურზე რომ მოხვალთ, დარეკეთ. თანამშრომელს გამოვაგზავნი დასახვედრად. გასაგებია.
2. ჰანსს უყვარს გარეთ თამაში, არა? დიას, ჯანმრთელობისთვისაც კარგია, მეგობრებსაც შეიძენს, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, გარეთ ვათამაშებ ხოლმე.
3. ალო, იჩიროს სთხოვეთ. უკაცრავად, ახლა აბაზანაშია. მერე თვითონ მას დავარეკინებ.
4. ვატ მასწავლებლის გაკვეთილი როგორ მოგწონთ? მკაცრია. მოსწავლეებს იაპონურად არ გვალაპარაკებს, მაგრამ რისი თქმაც გვინდა, თავისუფლად გვათქმევენებს.
5. უკაცრავად, მანქანა ცოტა ხნით აქ დამაყენებინეთ. ბარგს ჩამოვიღებ. კარგით.

დიალოგი 会話

ცოტა ხნით ხომ ვერ გამათავისუფლებდით?

მიღერი: ქალბატონო ნაკამურა, ახლა დაკავებული ბრძანდებით?

განყოფილების უფროსი

ნაკამურა: არა, მობრძანდით.

მიღერი: ერთი თხოვნა მაქვს.

ნაკამურა: რა ხდება?

მიღერი: მომავალ თვეში ჩემი მეგობრის ქორწილია, რომელიც ამერიკაშია.

ნაკამურა: მართლა?

მიღერი: ამიტომ სამშობლოში დაბრუნების უფლება მომეცით, თუ შეიძლება.

ნაკამურა: მომავალ თვეში როდის?

მიღერი: 7 რიცხვიდან ასე 10 დღით თუ დამრთავთ ნებას დავისვენო? მშობლებიც დიდი ხანია არ მინახავს.

ნაკამურა: მომავალი თვის 20 რიცხვში სამუშაო კრება გვაქვს, მანამდე შეძლებთ დაბრუნებას?

მიღერი: ქორწილი 15-შია. რომ დამთავრდება, მაშინვე წამოვალ.

ნაკამურა: კარგით, შეიძლება. მშვიდად ისიამოვნეთ და დაბრუნდით.

მიღერი: გმადლობთ.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია


しつける・^{きた}鍛える ალზრდა და გამოწრობა

^こ子どもに^{なに}何をさせますか。 რას გააკეთებინებთ თქვენს შვილს?


^{しぜん}自然^{なか}の中で^{あそ}遊ぶ
ბუნებაში თამაში
スポーツをする

სპორტი
^{ひとり}一人で^{りょこう}旅行する
მარტო მოგზაურობა

いろいろな^{けいけん}経験をする
სხვადასხვა გამოცდილების მიღება





いい^{ほん}本をたくさん^よ読む
ბევრი კარგი წიგნის წაკითხვა
^{としよ}お年寄りの^{ばなし}話を^き聞く
უფროსების საუბრის მოსმენა




ボランティア^{さんか}に参加する
მოხალისეთა მოძრაობაში მონაწილეობის მიღება

うちの^{しごと}仕事を^{てつだ}手伝う
სახლის საქმეში დახმარება

^{おとうと}弟^{いもうと}や^{せわ}妹、おじいちゃん、おばあちゃんの世話を^{する}
უმცროს დაძმასა და ბებია-ბაბუაზე ზრუნვა



^{じぶん}自分が^{やり}やりたい^{こと}ことを^{やる}
იმის გაკეთება, რაც თვითონ უნდა
^{じぶん}自分の^{こと}ことは^{じぶん}自分で^き決める
თავისი საქმის საკუთარი ძალებით
მოგვარება
^{じしん}自信^もを持つ
საკუთარ თავში დარწმუნება
^{せきにん}責任^もを持つ
პასუხისმგებლობის გრძნობის ქონა
^{がまん}我慢^{する}
მოთმინება



^{じゅく}塾^いへ行く
დამატებით სასწავლებელში წასვლა
ピアノ^{えいご}や英語^{なを}を^な習う
პიანინოზე დაკერის და ინგლისური
ენის სწავლა

IV გრამატიკა 文法

1. ზმნის კაუზატიური ფორმა (კაუზატივი 使役)

სხვადასხვა ჯგუფის ზმნებში კაუზატიური ფორმა სხვადასხვაგვარად იწარმოება.

I ჯგუფის ზმნებში ბოლოკიდური u შეიცვლება a-თი და დაემატება せる.

かく→かかせる、はこぶ→はこぼせる、もつ→もたせる

II ჯგუფის ზმნებს ჩამოშორდებათ る და დაემატებათ させる.

たべる→たべさせる、しるべる→しるべさせる、いる→いさせる

III ჯგუფი: くる→こさせる、する→させる

კაუზატიური ფორმის ყველა ზმნა II ჯგუფს განეკუთვნება. შემდგომში მათი てる, ない და ます ფორმები იწარმოება ისე, როგორც II ჯგუფის ზმნებისა.

მაგ.: いかせて、いかせない、いかせます

2. კაუზატიური ფორმის ზმნა წინადადებაში

გამოიყოფა კაუზაციის ორი ტიპი წინადადების ორი ვარიანტი არსებობს:

1) გარდაუვალი ზმნისგან ნაწარმოები – ამ შემთხვევაში მოქმედების შემსრულებელს დაერთვის თანდებული せ; 2) გარდამავალი ზმნისგან ნაწარმოები – ამ შემთხვევაში მოქმედების შემსრულებელს დაერთვის じ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოცემული ზმნის ობიექტი წინადადებაში.

1)

а(პირი)を з(გარდაუვალი) კაუზატიური ფორმა

① 部長は 加藤さんを 大阪へ 出張させます。

განყოფილების უფროსი ბატონ კატოს ოოსაკაში აგზავნის მივლინებით.

② わたしは 娘を 自由に遊ばせます。

მე ჩემს გოგონას თავისუფლად თამაშის საშუალებას ვაძლევ. (ვათამაშებ)

შენიშვნა: როდესაც წინადადებაში გვაქვს გარდაუვალი ზმნა და [ა (ადგილი) せ], მაშინ მოქმედების შემსრულებელს დაერთვის じ, როგორც ეს მოცემულია ③-ში. თუ წინადადებაში არა გვაქვს “ა (ადგილი) せ”, მაშინ მოქმედების შემსრულებელს დაერთვის せ, როგორც ეს მოცემულია ④-ში.

③ わたしは 子どもに 道の 右側を 歩かせます。

მე ბავშვს გზის მარცხენა მხარეს ვატარებ. (ვაიძულებ იაროს)

④ わたしは 子どもを 歩かせます。

მე ბავშვს ვატარებ. (ვაიძულებ იაროს)

2)

а(პირი)に а(ს) з(გარდამავალი) კაუზატიური ფორმა

⑤ 朝は 忙しいですから、娘に 朝ごはんの準備を手伝わせます。

დილით ბევრი საქმე მაქვს, ამიტომ საუზმის მომზადებაში ჩემს ქალიშვილს დავიხმარ ხოლმე.

⑥ 先生は 生徒に 自由に 意見を 言わせました。

მასწავლებელმა მოსწავლეებს საშუალება მისცა თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრები.

3. კაუზატიური ფორმის გამოყენება

ეს ფორმა გამოხატავს იძულებას ან ნების დართვას. გამოიყენება მაშინ, როდესაც გვაქვს ურთიერთობა უფროსსა და უმცროსს შორის (მშობლებსა და შვილებს, უფროს და-ძმასა და უმცროს და-ძმას, თანამდებობით უფროს პირსა და მის ქვეშევრდომს შორის) და უფროსი უმცროსს აიძულებს ან ნებას რთავს გარკვეული რაღაც გააკეთოს. ① და ⑤ იძულების მაგალითებია, ② და ⑥ კი ნებართვისა.

როდესაც მოსაუბრე თავისი წრის გარეთ მყოფს ეუბნება, რომ იგი თავისი წრიდან ვინმეს გააკეთებინებს რაიმეს, მაშინ იგი იყენებს კაუზატიურ ფორმას, მიუხედავად უფროს-უმცროსობისა.

⑦ 駅に着いたら、お電話をください。係の者を迎えに行かせますから。
わかりました。

სადგურზე რომ მოხვალთ, დარეკეთ. თანამშრომელს გამოვაგზავნი დასახვედრად.

გასაგებია.

შენიშვნა: როდესაც უმცროსი უფროსს აკეთებინებს რაიმეს და მათ შორის უფროს-უმცროსობა ცხადია, გამოიყენება: ზ ტ-ფორმა いただきます. თუ ეს ორნი თანაბარნი არიან ურთიერთობაში ან არ ჩანს უფროს-უმცროსობა მათ შორის, გამოიყენება: ზ ტ-ფორმა もらいます.

⑧ わたしは部長に説明していただきました。

დეპარტამენტის უფროსს ვთხვე და ამიხსნა (აუხსნა).

⑨ わたしは友達に説明してもらいました。

ამხანაგს ავახსნე.

შენიშვნა: როგორც ხედავთ, უმცროსმა უფროსის მიმართ არ შეიძლება გამოიყენოს კაუზატიური ფორმა, თუმცა გამონაკლისს ქმნიან ემოციის გამოხვედლი ზმნები, როგორიცაა: あんしんする, しんぱいする, がっかりする, よろこぶ (გახარება); かなしむ (დანაღვლიანება); おこる (გაბრაზება) და ა. შ.

⑩ 子どものとき、体が弱くて、母を心配させました。

ბავშვობაში სუსტი ჯანმრთელობა მქონდა და დედას სადარდებელს ვუქმნიდი.

4.

ზ კაუზატიური ფორმა ტ-ფორმა いただけませんか

26-ე გაკვეთილში ისწავლეთ [ზ ტ-ფორმა いただけませんか], რომელიც გამოიყენება თავაზიანად თხოვნისას, როცა ვიღაცამ გვინდა ჩვენთვის რაღაც გააკეთოს.

[კაუზატიური ზმნის ტ-ფორმა いただけませんか] გამოიყენება ვინმესთვის რაიმეს გაკეთებაზე ნებართვის თავაზიანად თხოვნისას, როცა გვინდა მივიღოთ რაღაცის გაკეთების ნებართვა.

⑪ コピー機の使い方を教えてくださいませんか。

(ქსერო)ასლების გადამღები აპარატის გამოყენებას ხომ ვერ მასწავლიდით?

⑫ 友達の結婚式があるので、早退させていただけませんか。

მეგობრის ქორწილია და ადრე ხომ ვერ გამოიშვებდით?

⑪-ში おしえる მოქმედებას შეასრულებს მსმენელი, ხოლო ⑫-ში そうたいする მოქმედებას მოსაუბრე ასრულებს.

ორმოცდამეცხრე ბაკვეთილი

第 4 9 課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

つとめる [かいしやに~]	勤める [会社に~]	მუშაობა (ფირმაში მუშაობს)
やすむ かける [いすに~]	休む 掛ける	დაწოლა, დაძინება (იძინებს) დაჯდომა (სკამზე ჯდება)
すごす [じかを~]	過ごす [時間を~]	გატარება (დროს ატარებს)
よる [ぎんこうに~]	寄る [銀行に~]	შევლა (ბანკში შეივლის)
いらっしゃる		ყოფნა, წასვლა, მოსვლა (いる, いく, くる ზმნების თავაზიანი ფორმა)
おっしゃる なさる		თქმა (いう ზმნის თავაზიანი ფორმა) კეთება (する ზმნის თავაზიანი ფორმა)
ごらんになる	ご覧になる	ყურება (みる ზმნის თავაზიანი ფორმა)
ごぞんじです	ご存知です	ცოდნა (知っている ზმნის თავაზიანი ფორმა)
あいさつ		მისალმება, დამშვიდობება
はいざら	灰皿	საფერფლე
りよかん	旅館	იაპონური ტიპის სასტუმრო
かいじょう	会場	თავშეყრის ადგილი
バスてい	バス停	ავტობუსის გაჩერება
ぼうえき	貿易	საგარეო ვაჭრობა
~さま	~様	(~さん-ის თავაზიანი ფორმა)
かえりに	帰りに	დაბრუნებისას
たまた		ხანდახან, იშვიათად
ちっとも		ცოტათიც კი, საერთოდ არ
えんりよなく	遠慮なく	მოურიდებლად

会話

5年2組

では

出す [熱を~]

よろしく お伝え ください。

失礼いたします。

*ひまわり 小学校

読み物

講師

多くの~

作品

受賞する

世界的に

作家

~でいらっしやいます。

長男

障害

お持ちです

作曲

活動

それでは

*大江 健三郎

*東京 大学

*ノーベル 文学賞

მესუთე-მეორე კლასი

მაშ (じや-ს თავაზიანი ფორმა)

აწევა (სიცხე უწევს)

მოკითხვა გადაეცით.

ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ (しつれ

いします-ის თავაზიანი ფორმა)

დაწყებითი სკოლა "მზესუმზირა"

ლექტორი

ბევრი ~

ნაწარმოები

ჯილდოს მიღება (ჯილდოს იღებს)

მსოფლიოში

მწერალი

(です-ის თავაზიანი ფორმა)

პირველი ვაჟი

ფიზიკური ნაკლი

ქონა (もっている-ს თავაზიანი ფორმა)

მუსიკალური კომპოზიცია

მოღვაწეობა

კარგი, მაშ (მიგვანიშნებს რაიმეს დაწყებას ან დამთავრებაზე)

ოე კენძაბურო (იაპონელი მწერალი, 1935წ.-)

ტოკიოს უნივერსიტეტი

ნობელის პრემია ლიტერატურაში

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. განყოფილების უფროსი უკვე წავიდა.
2. ფირმის უფროსი უკვე წავიდა.
3. დეპარტამენტის უფროსი ამერიკაში მიდის მივლინებით.
4. ცოტა მოიცადეთ.

წინადადების მაგალითები 例文

1. ეს წიგნი წაიკითხეთ?
დიახ, უკვე წავიკითხე.
2. უკაცრავად, ეგ საფერფლე გჭირდებათ?
არა, ინებეთ.
3. ფილმებს ხშირად ნახულობთ?
არა, მაგრამ ხანდახან ტელევიზორში ვუყურებ.
4. იცით, თგავას ვაქიშვილი უნივერსიტეტ „საკურაში“ მოეწყო?
არა, საერთოდ არ ვიცოდი.
5. დასაღვეს რას მიირთმევთ?
ნუ მოგერიდებათ, თქვით.
კარგი, ლუდი, თუ შეიძლება.
6. დეპარტამენტის უფროსი მაცუმოტო არის?
დიახ, ამ ოთახშია. შებრძანდით.


დიალოგი 会話

მასწავლებელს გადაეცით ეს შეტყობინება

- მასწავლებელი: დაწყებითი სკოლა „მზესუმზირა“ გისმენთ.
კლარა: დილა მშვიდობისა. მე-5^{II} კლასის მოსწავლის პანს შმიტის დედა ვარ. იტოო მასწავლებელი არის?
- მასწავლებელი: არა, ჯერ არ მოსულა.
კლარა: კეთილი, იტოო მასწავლებელს ხომ ვერ გადასცემდით?
- მასწავლებელი: დიახ, რა გნებაეთ?
კლარა: პანსს საღამოს სიცხემ აუწია, ამ დილით ისევ აქვს.
- მასწავლებელი: ოჰ, რას მეუბნებით.
კლარა: ამიტომ დღეს სკოლას ვაცდენინებ და მასწავლებელს გადაეცით, არ გაგვიბრაზდეს.
- მასწავლებელი: გასაგებია. მის ჯანმრთელობას მიხედეთ.
კლარა: კარგად ბრძანდებოდეთ.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

でんわ かた
電話のかけ方 სატელეფონო საუბრის წესები



もしもし、——さんのお宅でいらっしゃいますか。
ალო, ——ის ბინაა?



はい、——でございます。
დიახ — არის.
私、——と申しますが、
მე—— ვარ.
——さんはいらっしゃいますか。
—— შინ არის?

いいえ、違います。
არა, შეგეშალათ.
あ、失礼しました。
უკაცრავად.



はい、ちょっとお待ちください。
დიახ, მოითმინეთ.

* * * * *

もしもし、——ですが...
ალო, —— ვარ.

——は外出中ですが。
—— ამჟამად აქ არ გახლავთ.
ああ、そうですか。
გასაგებია.
あのう、伝言をお願いできますか。
შეტყობინებას ხომ ვერ გადასცემდით?
はい、どうぞ。
დიახ, მითხარით.
では、すみませんが、会議は10時に始まるとお伝えください。
გადაეცით, რომ კრება 10 საათზე იწყება.
はい、わかりました。
დიახ, გადაეცემ.

——は出かけておりますが。
—— გასულია და...
なんじごろお帰りになりますか。
რომელ საათზე დაბრუნდება?
10時ごろになると思いますが。
მგონი, 10 საათზე.
では、そのころまたお電話します。
კეთილი, მაგ დროისთვის კიდევ დავრეკავ.
そうですか。
გასაგებია.
失礼します。
კარგად ბრძანდებოდეთ.

IV გრამატიკა 文法

1. 敬語

けいご ტიპის გამოთქმებს მოსაუბრე იყენებს მსმენელის ან მესამე პირის მიმართ პატივისცემის გამოსახატავად. არსებობს სამი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ けいご-ს გამოყენებას. ეს ფაქტორებია: 1) მოსაუბრე მსმენელზე ახალგაზრდაა ან დაბლა დგას თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით და უნდა გამოხატოს პატივისცემა უფროსის მიმართ; 2) მოსაუბრეს არა აქვს ახლო ურთიერთობა მსმენელთან (მაგ., პირველად შეხვდა) და იგი გამოხატავს პატივისცემას მსმენელის მიმართ; 3) ウチ - ソト ურთიერთობებისას. ウチ ("შიგ")-ში იგულისხმება მოსაუბრის ოჯახის წევრები ან იმ კომპანიის თანამშრომლები, სადაც ის მუშაობს, ソト ("გარეთ")-ში კი ყველა დანარჩენი. როდესაც მოლაპარაკე ესაუბრება ადამიანს თავისი წრის გარედან (ანუ ソトのひと-ს) თავისი წრის ადამიანის (ანუ ウチのひと-ს) შესახებ, მაშინ ის იყენებს けいご-ს ისე, როგორც გამოიყენებდა ნაკლებად ნაცნობ ადამიანთან საუბრისას. ამ შემთხვევაში ウチのひと გაიგივებულია საკუთარ თავთან, ソトのひと კი ნაკლებ ნაცნობ ადამიანთან.

2. 敬語-ს ტიპები

თავაზიანი გამოთქმების სამი ტიპი არსებობს:

- 1) そんけいご (პატივისცემის გამომხატველი გამოთქმები);
- 2) けんじょうご (თავმდაბლობის გამომხატველი გამოთქმები);
- 3) ていねいご (თავაზიანობის გამომხატველი გამოთქმები).

ამ გაკვეთილში ახსნილია **そんけいご**.

3. 尊敬語 (პატივისცემის გამომხატველი გამოთქმები)

1) ზმნები

(1) თავაზიანი ზმნები. ზმნის ვნებითი გვარის ფორმა თავაზიანობის გამომხატველად გამოიყენება (იხ. ძირითადი წიგნი, გვ. 196, 練習 A1).

① 中村さんは 7時に 来られます。 ბატონი ნაკამურა 7 საათზე მობრძანდება.

② お酒を やめられたんですか。 სასმელს თავი დაანებეთ?

(2) **お 召 ます-ფუძე に なります**

ეს ფორმა უფრო თავაზიანია, ვიდრე ზემოთ მოცემული თავაზიანი ზმნები. ის ზმნები, რომელთა ფუძე მხოლოდ ერთი მარცვლისაგან შედგება (მაგ.: みる, 知る), ამ ფორმას არ აწარმოებენ; ასევეა III ჯგუფის ზმნები. ეს ფორმა ნაკლებად გამოიყენება იმ ზმნებისათვის, რომელთაც საკუთარი თავაზიანი ფორმები აქვთ (იხ. (3) ქვემოთ).

③ 社長は もう お 帰りに なりました。 ფირმის უფროსი უკვე წაბრძანდა.

(3) სპეციალური თავაზიანი ზმნები. (იხ. ძირითადი წიგნის გვ. 196, 練習 A5)

ზოგიერთ ზმნას აქვს საკუთარი თავაზიანი ფორმა, რომელიც იმავე დონის თავაზიანობას გამოხატავს, რასაც ზემოთ მოცემული (2) ფორმა.

④ ワット先生は 研究室に いらっ しゃいます。
ვატ მასწავლებელი ლაბორატორიაში ბრძანდება.

⑤ どうぞ 召 上がって ください。
გთხოვთ, მიირთვიეთ.

შენიშვნა: いらっしゃる, なさる, くださる და おっしゃる I ჯგუფის ზმნებია, მაგრამ მათ **ます-ფორმებში** ფუძის ბოლოკიდური რ შეეცვლებათ **い-თი**.

- ⑥ **ワット先生は テニスを なさいますか。**
 ვატ მასწავლებელი ჩოგბურთს თამაშობს?
 いいえ、なさらないと 思います。
 არა. მე მგონი, არ თამაშობს.

(4) **お ます-ფუძე ください**

ამ ფორმით მოსაუბრე მსმენელს სთხოვს ან ურჩევს რაიმეს გაკეთებას.

- ⑦ **こちらから お入り ください。** იქედან შებრძანდით.

შენიშვნა: ამ ფორმაში არ გამოიყენება ის სპეციალური თავაზიანი სიტყვები, რომლებიც (3)-ში ისწავლეთ. გამონაკლისია **お申しあげ ください** (მიირთვით).

2) **არსებითი და ზედსართავი სახელები**

ზმნების გარდა, ზოგიერთი არსებითი და ზედსართავი სახელისგანაც იწარმოება თავაზიანი ფორმა, მათ წინ **お-ს** ან **ご-ს** დართვით. ძირეულ იაპონურ სიტყვებს დაერთვის **お**, ხოლო ჩინური წარმოშობის სიტყვებს - **ご**, თუმცა არის გამონაკლისებიც.

	სიტყვები, რომლებსაც დაერთვის お	სიტყვები, რომლებსაც დაერთვის ご
な-ზღ.სს.	お国、お名前、お仕事	ご家族、ご意見、ご旅行
い-ზღ.სს.	お元気、お上手、お暇	ご熱心、ご親切
	お忙しい、お若い	ご自由に

4. **敬語 და წინადადების სტილი**

შეიძლება წინადადება დამთავრდეს **けいご-ს** უბრალო ფორმით. ამით წინადადება უბრალო ფორმისა ხდება. ასეთი წინადადება გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსაუბრე ელაპარაკება ახლო მეგობარს მესამე პირის შესახებ, რომლის მიმართაც სურს პატივისცემის გამოხატვა.

- ⑧ **部長は 何時に いらっしゃる?**
 დეპარტამენტის უფროსი რომელ საათზე მობრძანდება?

5. **敬語-ს თანაბარი დონე წინადადებაში**

けいご-ს გამოყენებისას საჭიროა წინადადების ყველა წევრი თანაბრად თავაზიანი იყოს.

- ⑨ **部長の 奥様も ごいっしょに ゴルフに 行かれます。**
 დეპარტამენტის უფროსის მეუღლე მასთან ერთად მიდის გოლფის სათამაშოდ. აქ სიტყვები **おくさま**, **ごいっしょに** გამოყენებულია **おくさん**, **いっしょに** სიტყვების ნაცვლად, რათა შეესაბამებოდეს **いかけます** ზმნის თავაზიან ფორმას და წინადადებაში შენარჩუნებული იქნას თავაზიანობის თანაბარი დონე.

6. **~まして**

მეტად თავაზიანი საუბრისას [**お ます-ფორმის**] ნაცვლად გამოიყენება [**お ます-ფუძე まして**]. **けいご-ს** შემცველ წინადადებაში **まして** გამოიყენება ლოგიკური თანმიმდევრობის დასაცავად.

- ⑩ **ハンスが ゆうべ 熱を 出しまして、けさも まだ下がらないんです。**
 ჰანსს საღამოთი სიცხემ აუწია, დღეს დილით ისევ აქვს.

ორმოცდამეათე ბაკვეთილი

第50課

1 სიტყვები და გამოთქმები

言葉と表現

まいる	参る	წასვლა, მოსვლა (いく და くる ზმნების თავმდაბლური ფორმა)
おる		ყოფნა (いる ზმნის თავმდაბლური ფორმა)
いただく		ჭამა, დაღევა, მიღება (たべる, のむ და もらう ზმნების თავმდაბლური ფორმა)
もうす	申す	თქმა (いう ზმნის თავმდაბლური ფორმა)
いたす		კეთება (する ზმნის თავმდაბლური ფორმა)
はいけんする	拝見する	ყურება, ნახვა (みる ზმნის თავმდაბლური ფორმა)
ぞんじる	存じる	ცოდნა (しる ზმნის თავმდაბლური ფორმა)
うかがう	伺う	შეკითხვა, მოსმენა, ვინმესთან მისვლა (きく, いく ზმნების თავმდაბლური ფორმა)
おめにかかる	お目にかかる	შეხვედრა (あう ზმნის თავმდაბლური ფორმა)
ございます		ქონა, ყოფნა (あります ზმნის თავაზიანი ფორმა)
~で ございます		არის (~です-ის თავაზიანი ფორმა)
わたくし	私	მე
ガイド		გიდი
おたく	お宅	ვილაცის სახლი (თავაზიანი ფორმა)
こうがい	郊外	გარეუბანი
アルバム	(album)	ალბომი
さらいしゅう	さ来週	ორი კვირის შემდეგ
さらいねん	さ来年	ორი წლის შემდეგ
はんとし	半年	ნახევარი წელი
さいしよに	最初に	პირველად, პირველ რიგში
さいごに	最後に	ბოლოს
ただいま	ただ今	ახლა
<small>え とうきょうはくぶつかん</small> *江戸東京博物館		ედო-ტოკიოს მუზეუმი

会話

緊張する
きんちよう

放送する
ほうそう

撮る [ビデオに~]

賞金
しょうきん

自然
しぜん

きりん

象
ぞう

ころ

かなう [夢が~]

ひとこと よろしいでしょうか。

協力する
きょうりょく

心から
こころ

感謝する
かんしゃ

読み物

[お]礼
れい

拝啓
はいけい

美しい
うつく

お元気で いらっしやいますか。
げんき

迷惑を かける
めいわく

生かす
い

[お]城
しろ

敬具
けいぐ

* ミュンヘン

დაძაბვა (იძაბება)

გადაცემა (გადასცემს ტელევიზიით,
რადიოთი და ა.შ.)

ჩაწერა, გადაღება (ვიდეოზე იწერს, იღებს)

ფულადი ჯილდო

ბუნება

ჟირაფი

სპილო

დრო, პერიოდი

ასრულება (ოცნება უსრულდება)

ერთი სიტყვა შეიძლება ვთქვა?

დახმარება, თანამშრომლობა (ეხმარება,
თანამშრომლობს)

გულით

მადლობელი ყოფნა (მადლობელია)

სამადლობელი

(ამ სიტყვით იწყება თავაზიანი წერილი)

ლამაზი

როგორ ბრძანდებით? (おげんきですか-ს
თავაზიანი ფორმა)

შეწუხება, თავის მობეზრება (აწუხებს, თავს
აბეზრებს)

გამოყენება (იყენებს)

ტადარი, ციხე-სიმაგრე

(ამ სიტყვით მთავრდება はいけい-თ
დაწყებული თავაზიანი წერილი)

მიუნჰენი

II თარგმანი 翻訳

წინადადების მოდელი 文型

1. ამ თვის განრიგს გამოვიგზავნით.
2. მე ამერიკიდან ჩამოვვდი.

წინადადების მაგალითები 例文

1. მძიმეა, არა? მოგეხმაროთ?
დიახ, თუ შეიძლება.
2. ბატონო გილო, ამას რომ ვნახავთ, მერე სად წავალთ?
ელ-ტოკიოს მუზეუმში წავიყვანთ.
3. ბატონი გუპტა 2 საათზე ჩამოდის, არა? ვინმე მიდის დასახვედრად?
დიახ, მე მივდივარ.
4. თქვენი ოჯახი სად არის?
ნიუ-იორკშია.
5. უკაცრავად, ბილეთს ვნახავ.
დიახ.
დიდი მადლობა.
6. იცით, მილერმა იაპონურ ენაში სიტყვით გამოსვლის კონკურსზე გაიმარჯვა?
დიახ, დეპარტამენტის უფროსისაგან გავიგე.
7. ეს მილერია.
მილერი გახლავართ. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.
8. აქ ახლოს ტელეფონი არის?
დიახ, კიბის გვერდით გახლავთ.

დიალოგი 会話

თქვენი დიდად მადლობელი ვარ.

წამყვანი: გილოცავთ გამარჯვებას! შესანიშნავი გამოსვლა იყო.

მილერი: გმადლობთ.

წამყვანი: დაძაბული იყავით?

მილერი: დიახ, ძალიან დაძაბული ვიყავი.

წამყვანი: ტელევიზიით რომ გადასცემდნენ, იცოდით?

მილერი: დიახ. მინდა ვიდებოზე ჩავიწერო და ჩემს მშობლებსაც ვაჩვენო ამერიკაში.

წამყვანი: ფულად ჯილდოს რაში დახარჯავთ?

მილერი: ცხოველები მიყვარს და ბავშვობიდან აფრიკაში წასვლაზე ვოცნებობდი.

წამყვანი: მაშ, აფრიკაში წახვალთ?

მილერი: დიახ, აფრიკის ბუნებაში ჟირაფის, სპილოს და სხვა ცხოველების ნახვა მინდა.

წამყვანი: ბავშვობის დროინდელი ოცნება აგისრულდებათ, არა?

მილერი: დიახ. ბოლოს ერთი სიტყვა შეიძლება ვთქვა?

წამყვანი: დიახ, ბრძანეთ.


მილერი: მინდა მადლობა გადავუსაღო ჟველას, ვინც დამეხმარა ამ კონკურსში მონაწილეობაში.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია


ふうとう 封筒・はがきのあて名^なの書き方^か^{かた}

მისამართის დაწერის წესი

封筒 კონვერტი



はがき დია ბარათი



IV გრამატიკა 文法

1. 謙讓語 (თავმდაბლობის გამოხატველი გამოთქმები)

けんじょうご არის იმ ტიპის გამოთქმები, რომლითაც მოლაპარაკე თავმდაბლობას გამოხატავს თავისივე მოქმედების შესახებ ან საკუთარ თავზე საუბრისას. ამით იგი ამავედროულად გამოხატავს პატივისცემას მსმენელის ან საუბართან დაკავშირებული პირის მიმართ. პატივისცემა გამოიხატება სოციალური მდგომარეობით უფრო მაღალი პირის ან ソトのひと-ს (მოსაუბრის წრის გარეთ მყოფი ადამიანის) მიმართ, როდესაც ის საუბრობს ウチのひと-ს (მოსაუბრის წრის ადამიანის) შესახებ.

1)

お / ご ~します

(1)

お **も** (I, II ჯგუფის) ます-ფუძე します

- ① 重そうですね。お持ちしましょうか。
მძიმეა, არა? მოგეხმართ?
- ② 私が 社長に スケジュールを お知らせします。
ფირმის უფროსს განრიგს მე ვაცნობებ.
- ③ 兄が 車で お送りします。
ჩემი ძმა მიგაცილებთ მანქანით.

①-ში და ②-ში მოლაპარაკე თავმდაბლურად საუბრობს თავისი მოქმედების შესახებ, რათა გამოხატოს პატივისცემა მსმენელის მიმართ, როგორც ეს ①-შია, ან საუბართან დაკავშირებული პირის მიმართ, როგორც ②-ში ვკითხულობთ. ③-ში მოქმედებას ასრულებს არა მოლაპარაკე, არამედ მისი წრის ადამიანი. ეს ფორმა არ ახასიათებს იმ ზმნებს, რომელთა ます-ფუძე მხოლოდ ერთი მარცვლისგან შედგება, მაგალითად, როგორცია みる、いる ზმნები.

(2)

ご **も** (III ჯგუფის)

- ④ 江戸東京博物館へご案内します。
ედო-ტოკიოს მუზეუმში წაგიყვანთ.
- ⑤ きのうの予定をご説明します。
დღევანდელი დღის გეგმას გაგაცნობთ.

ეს ფორმა III ჯგუფის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი. ზემოთყვანილ მაგალითებში გამოყენებული ზმნების გარდა, ამ ფორმაში იხმარება მსმენელთან დაკავშირებული სხვა ზმნებიც. მაგ.: しょうかいする, しょうたいする, そうだんする, れんらくする.

でんわする და やくそくする ზმნებს აღნიშნულ ფორმაში, გამონაკლისის სახით, წინ დაერთვის お და არა ご.

შენიშვნა: (1), (2) ფორმები გამოიყენება მაშინ, როდესაც მოქმედება, მისი უშუალო შემსრულებლის გარდა, კიდევ სხვა პირსაც უკავშირდება. თუ მოქმედებასთან დაკავშირებული პირი მხოლოდ შემსრულებელია, როგორც ეს ქვემოთ მაგალითში მოცემული, მაშინ ამ ფორმას ვერ გამოვიყენებთ.

× 私は 来月 国へ お帰りします。

2) თავმდაბლობის გამომხატველი სპეციალური ზმნები.

არსებობს თავმდაბლობის გამომხატველი სპეციალური ზმნები, რომლებსაც გამოიყენებენ შემდეგ შემთხვევებში:

(1) როდესაც მოსაუბრის მოქმედება ეხება მსმენელს ან იმ პირს, ვის მიმართაც მოლაპარაკეს სურს გამოსატოს პატივისცემა.

⑥ 社長の 奥様に お目にかかりました。

მე ვნახე ფირმის უფროსის ცოლი.

⑦ あしたは だれが 手伝いに 来て くれますか。

わたしが 伺います。

ხვალ ვინ მოვა დასახმარებლად?

მე მოვალ.

(2) როდესაც მოსაუბრის მოქმედება არ ეხება მსმენელს ან იმ პირს, ვის მიმართაც მსმენელი გამოსატავს პატივისცემას.

⑧ ミラーと 申します。

მე მიღერი მქვია.

⑨ アメリカから 参りました。

ამერიკიდან ჩამოვედი.

2. 丁寧語 (თავაზიანობის გამომხატველი გამოთქმები)

ていねいご არის იმ ტიპის თავაზიანი გამოთქმები, რომელთაც მოსაუბრე იყენებს მსმენელის მიმართ პატივისცემის გამოსახატავად.

1) ございます

ございます არის あります-ს თავაზიანი ფორმა.

⑩ 電話は 階段の 横に ございます。

ტელეფონი კიბის გვერდით გახლავთ.

2) ~でございます

~でございます არის です-ს თავაზიანი ფორმა.

⑪ はい、IMCで ございます。

パワー電気の シュミットですが、ミラーさん、お願いします。

IMC გისმენთ.

შმიტი გახლავართ “პოვერდენკიდან”, მიღერს სთხოვეთ, თუ შეიძლება.

3) よろしいでしょうか

よろしいでしょうか არის いきます-ს თავაზიანი ფორმა.

⑫ お飲み物は 何が よろしいでしょうか。

コーヒーを お願いします。

დასალევს რას მიირთმევთ?

ყავა, თუ შეიძლება.

⑬ このパンフレットを いただいても よろしいでしょうか。

შეიძლება ეს ბუკლეტი ავიღო?

თანდებულები

1. [შ]

- ა: 1) სპორტი არ მიყვარს. (26)
2) ჩემ სკოლაში ამერიკელი მასწავლებელი არის. (27)
3) ეს გამყიდველი ავტომატი გაფუჭებულია. (29)
- ბ: 1) ძველად აქედან მთები კარგად ჩანდა, მაგრამ ახლა აღარ ჩანს. (27)
2) პირაგანას ვწერ, მაგრამ კანჯის ვერა. (27)
3) კარგ ამინდში მთა ჰუჯი მოჩანს, წვიმიან დღეს კი არა. (27)
- გ: წვეულების მოსამზადებლად 10 კაცია საჭირო. (42)

2. [ჭ]

- ა: 1) ჩემი უმცროსი ძმის სკოლაშიც არის ამერიკელი მასწავლებელი. (27)
2) სიცხე მაქვს, თავიც მტკივა. დღეს სამსახურს გავაცდენ. (28)
- ბ: ვიდეოს შეკეთებას სამი კვირა დასჭირდა. (42)

3. [ძ]

- ა: 1) მოგზაურობას ერთი კვირით ვაპირებ. (31)
2) მაგიდა ინსტრუქციის მიხედვით ააწყეთ. (34)
3) საჭმელის მერე ყავას დავლევ. (34)
4) ჯანმრთელობისათვის ბევრ ბოსტნულს ვჭამ. (42)
5) გაფუჭების შემთხვევაში ამ ნომერზე დარეკეთ. (45)
6) ის სუპერმარკეტი ხვალ უნდა ისვენებდეს. (46)
7) ოგავას ნაამბობი ნამდვილს ჰგავს. (47)
8) გუპტა 2 საათზე ჩამოვა. (50)
- ბ: ჩემი ქალიშვილი ჰოკაიდოს პატარა ქალაქში დაიბადა. (38)

4. [ჯ]

- ა: ინსტიტუტს დავამთავრებ. (31)
- ბ: საღამოს 11 საათს რომ გადასცილდება, ტელეფონით აღარ ვრეკავ. (36)
- გ: განყოფილების უფროსმა სუძუკი 3 დღით დაასვენა. (48)

5. [აზ]

- ა: 1) ავტობუსი არ მოვიდა. (26)
2) ფანჯრიდან მთა მოჩანს. (27)
3) მახლობლად დიდი ხიდი აშენდა. (27)
4) სინათლე ანთია. (29)
5) კედელზე სურათი ჰკიდია. (30)
6) მე გაეაკეთებ, ამიტომ დატოვეთ ისე, როგორც არის. (30)
7) ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინეს. (37)
8) ტოკიოს მაცხოვრებლები ჩქარა დადიან. (38)
9) განმარტება რთული იყო და ვერ გავიგე. (39)
10) მე წავალ გუბტას დასახვედრად. (50)
- ბ: მე იაპონური ჟურნალი შემიძლია წავიკითხო. (27)
- გ: NHK მინდა დავათვალიერო და როგორ მოვიქცე? (26)

6. [იზ]

- ა: 1) დათქმულ დროზე დამაგვიანდა. (26)
2) სპორტულ შეხვედრაში მივიღებ მონაწილეობას. (26)
3) საკურას უნივერსიტეტში ჩავაბარე. (32)
4) გამახსენდა, რომ რაღაც დამრჩა. (34)
5) ხვალ ბეისბოლის შეხვედრაზე გამოვალ. (36)
6) ავარიაში მოყვევი. (45)
7) ფირმაში ვმუშაობ. (49)
- ბ: 1) იქით კუნძული მოჩანს. (27)
2) მატარებელში ქოლგა დამრჩა. (29)
3) კედელზე სურათი ჰკიდია. (30)
- გ: 1) ის მასწავლებელი სტუდენტებში პოპულარულია. (28)
2) მე კომპიუტერი მაინტერესებს. (41)
- დ: 1) ინსტიტუტში მანქანით დავდივარ. (28)
2) ვფიქრობ, ოჯახთან ერთად ბუნებრივი ცხელი წყლის აბანოებში წავიდე. (31)
3) მომავალ თვეში ჰუკუოკაში გადავდივარ სამუშაოდ. (31)
- ე: 1) ვატანაბეს ვუთხრათ, რომ კარი გაგვიღოს. (29)
2) დეპარტამენტის უფროსს ხომ ვერ გადასცემდით, რომ ხვალ არ შემიძლია. (33)
- ვ: განყოფილების უფროსმა საქმე დამაველა. (37)

- ზ: იცით, კიმურას ბავშვი შეეძინა? (38)
- თ: ეს თეფში განყოფილების უფროსმა ქორწილზე მაჩუქა. (41)
- ი: ეს ჩანთა მსუბუქია და მოგზაურობისათვის მოხერხებულია. (42)
- კ: შემდეგ კრებას ორი კვირის მერე მოვაწყო. (44)
- ლ: მე ჩემ ქალიშვილს პიანინოზე დაკვრას ვასწავლი. (48)

7. [ლ]

- ა: 1) სადგურამდე ნახევარ საათში მიხვალთ. (32)
- 2) თუ სხვა აზრი არა გაქვთ, ამით დავამთავროთ. (35)
- 3) შარვლის სიგრძე ასე კარგია? (44)
- ბ: 1) უკაცრავად, ცოტა უფრო ხმამაღლა თქვით. (27)
- 2) ჯობია ნაღდი ფულით არ წაიღოთ. (32)
- გ: ეს ტანსაცმელი ქალაქისაგან არის დამზადებული. (37)
- დ: მიწისძვრისაგან ბევრი ადამიანი დაიღუპა. (39)

8. [ლ]

- ა: 1) ვფიქრობ, მომავალში ჩემი ფირმა დავაარსო. (31)
- 2) იქ « შეჩერდი » წერია. (33)
- 3) ის კანჯი იკითხება « კინ ენ ». (33)
- 4) სუძუკის გადაცემით რომ კრებათა დარბაზში ველოდები. (33)

9. [კან]

- 1) საკე ბრინჯისაგან კეთდება. (37)

10. [კა]

- 1) მამაკაცები ქორწილში შავ ან მუქ ლურჯ კოსტუმს იცმევენ. (34)
- 2) ტაიფუნი N9 ტოკიოში მოვა თუ არა, ჯერ არ ვიცით. (40)
- 3) გაარკვიეთ, რომელ საათზე ჩამოდის თვითმფრინავი JL 107. (40)

11. [სკა]

- ჩემი ფირმიდან ერთ კვირაზე მეტს ვერ დაისვენებ. (27)

12. [ლკა]

- ყოველ დღე ვცეკვავ, ვცურავ ან სხვა რამე მსგავსს ვაკეთებ. (36)

როგორ გამოვიყენოთ ფორმები

1. [ます-ფუძე]

ます-ფუძე ながら～	ვუსმენ მუსიკას, თან საჭმელს ვჭამ.	(28)
ます-ფუძე やすいです	ეს კომპიუტერი ადვილი მოსახმარია.	(44)
ます-ფუძე にくいです	ეს ჭიქა მყარია და ძნელად გატყდება.	(44)
お+ます-ფუძე になります	ფირმის პრეზიდენტი უკვე წავიდა სახლში.	(49)
お+ます-ფუძე ください	ცოტა მოიცადეთ.	(49)
お+ます-ფუძე します	ამ თვის განრიგს გამოგიგზავნით.	(50)

2. [te-ფორმა]

て-ფორმა います	ყოველ დილით ძუნძულით დავრბივარ.	(28)
	ფანჯარა დახურულია.	(29)
て-ფორმა いません	ანგარიში ჯერ არ დამიწერია.	(31)
て-ფორმა しまいます	მატარებელში ქოლგა დამრჩა.	(29)
て-ფორმა あります	პოლიციის განყოფილებაში ქალაქის რუკაა გაკრული.	(30)
て-ფორმა おきます	გაკვეთილამდე მოვემზადები (ვიმეცადინებ).	(30)
て-ფორმა みます	ახალ ფეხსაცმელს გავისინჯავ.	(40)
て-ფორმა いただきます	მასწავლებელმა წერილში შეცდომები გამისწორა.	(41)
て-ფორმა くださいます	განყოფილების უფროსის ცოლმა ჩაის ცერემონია მასწავლა.	(41)
て-ფორმა やります	ჩემ ბიჭს ქალაქის თვითმფრინავი გავუკეთე.	(41)
て-ფორმა いただけませんか	კარგ მასწავლებელს ხომ ვერ გამაცნობლით?	(26)
て-ფორმა きます	ბილეთს ვიყიდი და მოვალ.	(43)

3. [ない-ფუძე]

ない-ფუძე ないで、～	ავტობუსში ჩაუჯდომლად, სადგურამდე ფეხით მივალ.	(34)
ない-ფუძე なくなります	ზღვის წყალი დაბინძურდა და აქ მასლობლად ცურვა აღარ შეიძლება.	(36)

4. [სალექსიკონო ფორმა]

სალექ. ფ. な	მატარებელში ნუ იხმაურებ.	(33)
სალექ. ფ. ようになります	ძლივს შეეძელი ველოსიპედის ტარება.	(36)
სალექ. ფ. のは～	სურათის ხატვა სახალისოა.	(38)
სალექ. ფ. のが～	მე ვარსკვლავების ყურება მიყვარს.	(38)
სალექ. ფ. のを～	საფულის მოტანა დამაგიწყდა.	(38)
სალექ. ფ. ために、～	ფულს ვინახავ, რომ ჩემი მაღაზია მქონდეს.	(42)
სალექ. ფ. のに～	ამ მაკრატელს ყვავილების მოსაჭრელად ვიყენებ.	(42)

5. [た-ფორმა]

た- ფორმა あとで საჭმელის ჭამის მერე კბილებს ვიხეხავ. (34)

た- ფორმა ばかりです ფირმაში სულ ახლახან, გასულ თვეს შემოვედი. (46)

6. [მოსმობითი ფორმა]

მოსმ. ფ. とおもっています მომავალში ვფიქრობ, საკუთარი ფირმა დაგაარსო. (31)

7.

საღეჭ. ფორმა	つもりです	მომავალ თვეში მანქანის ყიდვას ვაპირებ.	(31)
ない-ფუძე ない		წელს არ ვაპირებ სამშობლოში დაბრუნებას.	(31)
საღეჭ. ფორმა	ように、～	ჩქარი ფოსტით გავაგზავნი, რომ მალე ჩავიდე.	(36)
ない-ფუძე ない		ტელეფონის ნომერი რომ არ დამავიწყდეს, ჩავიწერ.	(36)
საღეჭ. ფორმა	ようにします	ვცდილობ დღიური ყოველდღე დაეწერო.	(36)
ない-ფუძე ない		არ დაიგვიანოთ.	(36)

8.

საღეჭ. ფორმა		ზუსტად ახლა შეჯიბრება იწყება.	(46)
て-ფორმა いる	ところです	ახლა მიზეზს ვარკვევ.	(46)
た-ფორმა		ავტობუსი ახლა გავიდა.	(46)

9.

た-ფორმა	ほうがいいです	ჯობს ყოველდღე ივარჯიშოთ.	(32)
ない-ფუძე ない		ჯობს რომ დღეს აბაზანა არ მიიღოთ.	(32)

10.

て-ფორმა	～	ქოლგას ავიღებ და გავაღ.	(34)
ない-ფუძე ないで		წერილი მარკის დაუკვრელად გავაგზავნე.	(34)

11. [უბრალო ფორმა]

უბრალო ფორმა	し、～	მეტრო ჩქარიც არის და იაფიც, მეტროთი წავიდე.	(28)
უბრალო ფორმა	とっていました	მიღერმა თქვა, მომავალ კვირას ოსაკაში მივდივარ მივლინებით.	(33)
უბრალო ფორმა	そうです	ამინდის პროგნოზის მიხედვით ხვალ აცივდება.	(47)

ზ უბრალო ფორმა のぞ～	სადგურის წინ დიდი სასტუმრო რომ აშენდა, იცით?	(38)
--------------------	--	------

ზ	უბრ. ფ.	でしょう	ხვალ სავარაუდოდ თოვლი მოვა.	(32)
სი-ზდ.			ხვალ სავარაუდოდ აცივდება.	(32)
ჯ-ზდ.	უბრ. ფ. ~ な		ამ დამეს ალბათ ღამაში ვარსკვლავები იქნება.	(32)
ბ			ხვალ სავარაუდოდ კარგი ამინდი იქნება.	(32)

ზ	უბრ. ფ.	かもしれません	მან შეიძლება ფირმას თავი გაანებოს.	(32)
სი-ზდ.			ის ხვალ შეიძლება დაკავებული იყოს.	(32)
ჯ-ზდ.	უბრ. ფ. ~ な		ის მომავალ კვირას შეიძლება თავისუფალი იყოს.	(32)
ბ			ის შეიძლება ავად არის.	(32)

ზ	უბრ. ფ.	か、～	კრება როდის დამთავრდება, არ ვიცი.	(40)
სი-ზდ.			მოიფიქრეთ, საჩუქრად რა აჯობებს.	(40)
ჯ-ზდ.	უბრ. ფ. ~ な		გადავამოწმებ, სად არის საავარიო	(40)
ბ			გასასვლელი.	

ზ	უბრ. ფ.	かどうか、～	შემატყობინეთ ძველი წლის გაცილების	(40)
სი-ზდ.			შეხვედრაზე მოხვალთ თუ არა.	
ჯ-ზდ.	უბრ. ფ. ~ な		აწყობს თუ არა, ტელეფონით ვკითხავ.	(40)
ბ			ეგ ამბავი ნამდვილია თუ არა, არ ვიცი.	(40)

ზ	უბრ. ფ.	んです	რატომ დაიგვიანეთ?	(26)
სი-ზდ.			ცუდად ვიყავი.	(26)
ჯ-ზდ.	უბრ. ფ. ~ な →な		კონდიციონერი გაფუჭებულია.	(26)
ბ				

ზ	უბრ. ფ.	ので、～	საქმე მაქვს და მე დაგტოვებთ.	(39)
სი-ზდ.			თავი მტკივა და დღეს ადრე დავწვები.	(39)
ჯ-ზდ.	უბრ. ფ. ~ な →な		დღეს დაბადების დღეა და ღვინო ვიყიდე.	(39)
ბ				

ზ	უბრ. ფ.	のに、～	ის დამპირდა, მაგრამ არ მოვიდა.	(45)
ი-ზდ.			სამსახურში დაკავებული ვარ, მაგრამ ხელფასი დაბალი მაქვს.	(45)
ნა-ზდ.	უბრ. ფ. ~ な →な		ჩემმა ქმარმა კარგად იცის საჭმელის გაკეთება, მაგრამ ხშირად არ აკეთებს.	(45)
ა				

ზ	უბრ. ფ.	のは ～	იაპონიაში ჩამოვედი შარშან მარტში.	(38)
ი-ზდ.			ახლა რაც მინდა, ეს არის ოძავა სეიჯის CD.	(38)
ნა-ზდ.	უბრ. ფ. ~ な →な		ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის წევრების ჯანმრთელობაა.	(38)
ა				

ზ	უბრ. ფ.	ようです	ეტყობა გვერდზეოთახში ვიღაც არის.	(47)
ი-ზდ.			ეტყობა განყოფილების უფროსს გოლფი სძულს.	(47)
ნა-ზდ.	უბრ. ფ. ~ な →な		ეტყობა რაღაც ავარიაა.	(47)
ა	უბრ. ფ. ~ の →の			

12.

ზ	ます-ფუძე	そうです	თითქოს ამ წუთში გაწვიმდება.	(43)
ი-ზდ.	(~ な)		ეს ნამცხვარი გემრიელი ჩანს.	(43)
ნა-ზდ.	[な]		ის კაცი ბეჯითი ჩანს.	(43)
ზ	ます-ფუძე	すぎます	წუხელ ზედმეტი დავლიე.	(44)
ი-ზდ.	(~ な)		ეს პრობლემა ზედმეტად ძნელია.	(44)
ნა-ზდ.	[な]		ეს ხერხი ზედმეტად რთულია.	(44)

13.

ზ	ㄟ-ფორმა	、～	ახალ ამბებს მოვუსმინე და გავოცდი.	(39)
ზ	ない-ფუძე なくて		ოჯახს რომ ვერ ვხვდები, მოწყენილი ვარ.	(39)
ი-ზდ.	～<ㄟ		შაბათს არ შემიძლია და ვერ წამოვალ.	(39)
ნა-ზდ.	ㄟ		ეს საუბარი რთულია და კარგად არ მესმის.	(39)
ა	ㄟ			

14.

ზ	საღებ. ფორმა	よていです	განრიგით თვითმფრინავი 9 საათზე ჩამოვა.	(31)
ა	ო		კრება ოთხშაბათს არის დაგეგმილი.	(31)

15.

ზ	საღებ. ფორმა	とりに、～	ისე დაწერეთ, როგორც ახლა გეტყვით.	(34)
ზ	ჯ-ფორმა		ის თქვით, რაც ნახეთ.	(34)
ა	ო		ღილაკებს ნომრის მიხედვით დააჭირეთ.	(34)

16.

ზ	საღებ. ფორმა	ばあいは、～	ბარათის დაკარგვის შემთხვევაში მაშინვე ბარათის ფირმას დაუკავშირდით.	(45)
	ჯ-ფორმა		ასლების გადამღები მანქანის მწყობრიდან გამოსვლისას ამ ნომერზე დარეკეთ.	(45)
	ない-ფუძე ない		ქვითრის საჭიროების შემთხვევაში თქვით.	(45)
ი-ზდ.				
ჯ-ზდ. じゃ				
ა	ო			

17.

ზ	საღებ. ფორმა	はずです	ბარგი ხვალ უნდა ჩავიდეს.	(46)
	ない-ფუძე ない		დეპარტამენტის უფროსმა გერმანული კარგად უნდა იცოდეს.	(46)
	ი-ზდ.		ის სუპერმარკეტი ხვალ უნდა ისვენებდეს.	(46)
ჯ-ზდ. じゃ				
ა	ო			

ზმნებისა და ზედსართავი სახელების გამოყენება

1. たかい (い-ზდ.) → たかく (ზმნიზედა)		
はやい	დღეს ბავშვის დაბადების დღეა და ადრე წავალ.	(9)
はやい	ყოველდღე ვვარჯიშობ, რომ სწრაფად ცურვა შეეძლოს.	(36)
くわしい	დაწვრილებით აგისხნით, როგორ უნდა მართოთ.	(44)
おおきい	უფრო დიდად დაწვრთ ასოები.	(44)
2. げんき[な] (な-ზდ.) → げんきに(ზმნიზედა)		
じょうず[な]	მინდა ჩაის კარგად დაყენება ვიცოდე.	(36)
たいせつ[な]	წყალი მომჭირნედ მოვიხმართო.	(44)
きれい[な]	მაგიდა ლამაზად დაალაგეთ.	(44)
ていねい[な]	განყოფილების უფროსს ჯობს უფრო თავაზიანად დაელაპარაკოთ.	(44)
かんたん[な]	გეგმის შესახებ მარტივად აგისხნით.	(44)
3. おおきい (い-ზდ.) → おおきくなります。 げんき[な] (な-ზდ.) → げんきになります。 かしゆ(არსებითი სახელი) → かしゆになります。		
あつい	ახლა ნელნელა დაცხება.	(19)
じょうず[な]	უკვე კარგად ფლობთ იაპონურ ენას.	(19)
いしや	ექიმი მინდა გამოვიდე.	(19)
10じ	10 საათი რომ გახდება, წავიდეთ.	(25)
4. おおきい (い-ზდ.) → おおきくします。 きれい[な] (な-ზდ.) → きれいにします。 はんぶん(არსებითი სახელი) → はんぶんにします。		
みじかい	შარვალს ცოტა დავამოკლებ.	(44)
ちいさい	ეს სქემა დააპატარავეთ.	(44)
しずか[な]	უკვე გვიან ღამეა და წყნარად ხომ ვერ იქნებოდით?	(44)
2倍	წყლის რაოდენობას გაავრმაგებ.	(44)
ショート	თმის მოკლე ვარცხნოლობა მინდა.	(44)

5. おおきい (い-ზდ.) → おおき さ (არსებითი სახელი)		
ながい	იმ ხიდის სიგრძე 3 911 მეტრია.	(40)
たかい	სიმაღლეს გავზომავ.	(40)
おもしろい	ეს ბარგი რამდენ კილოს იწონის?	(40)
6. やすみます (ზმნა) → やすみ (არსებითი სახელი)		
おわります	აგვისტოს ბოლოს ჰუჯის მთაზე ავალ.	(20)
はなします	მასწავლებლის გუშინდელი საუბარი საინტერესო იყო.	(21)
かえります	უკანა გზაზე შემომიარე.	(49)
たのしみます	სიხარულით ველოდები ზაფხულის არდადეგებზე მოგზაურობას.	(35)
もうしこみます	სიტყვით გამოსვლის კონკურსზე განაცხადების მიღება ხვალამდგა.	(40)
7. はな (არსებითი სახელი) を やめます (ზმნა) → [お] はなみ (არსებითი სახელი)		
やまに のびります	მთაზე ასვლა მინდა და კარგ ადგილს ვერ მიმასწავლით?	(35)
かみを きります	კონსერვის გასახსნელი კონსერვის გასახსნელად გამოიყენება.	(42)
8. かきます (ზმნა) → かき かた (არსებითი სახელი)		
よみます	ამ იეროგლიფის კითხვა მასწავლეთ.	(14)
つかいます	საჭმელი ჩხირების მოხმარება მასწავლეთ.	(16)
はいります	იამადამ იაპონურ აბაზანაში ჩასვლის წესი ამიხსნა.	(24)
します	ვიდეოს მართვის წესს აგიხსნით.	(44)

ბარდაშვალი და ბარდამავალი ზმნები

გარდამავალი გარდაშვალი	გაკ.№	ტ-ფორმა	მაგალითი
きる	7	きって	ქალაღლი გაჭერით.
きれる	43	きれて	თასმა წყდება.
あける	14	あけて	კარს ვაღებ.
あく	29	あいて	კარი იღება.
しめる	14	しめて	კარი დახურეთ.
しまる	29	しまって	კარი დახურულია.
つける	14	つけて	სინათლე ავანთე.
つく	29	ついて	სინათლე არ ინთება.
けす	14	けして	სინათლე ჩააქრეთ.
きえる	29	きえて	სინათლე ქრება.
とめる	14	とめて	აქ შეიძლება მანქანის გაჩერება?
とまる	29	とまって	სახლის წინ მანქანა არის გაჩერებული.
はじめる	14	はじめて	თათბირი დავიწყეთ.
はじまる	31	はじまって	თათბირი უკვე დაიწყო?
うる	15	うって	სუპერმარკეტში შურნალს ყიდიან.
うれる	28	うれて	ეს შურნალი კარგად იყიდება.
いれる	16	いれて	მაცივარში ლუდი ჩადეთ.
はいる	13	はいて	მაცივარში ლუდი დევს.
だす	16	だして	ჯიბიდან ბილეთს ვიღებ.
でる	23	でて	ამ ღილაკს რომ დააჭერთ ბილეთი გამოვა.
なくす	17	なくして	გასაღები დავკარგე.
なくなる	43	なくなつて	გასაღები დაიკარგა.
あつめる	18	あつめて	მარკები ბევრი მოვაგროვე.
あつまる	47	あつまって	მარკები ბევრი მოგროვდა.
なおす	20	なおして	ველოსიპედს შევაკეთებინებ.
なおる	32	なおつて	ავადმყოფობა მორჩა (განიკურნა).
かえる	23	かえて	წვეულების დროს შეეცვლი.
かわる	35	かわつて	წვეულების დრო შეიცვალა.
きをつける	23	きをつけて	ფურთხილობ, რომ შეცდომა არ დავეშვა.
きがつく	34	きがついて	შეცდომა მერე შევნიშნე.

おとす	29	おとして	საფულე დამივარდა.
おちる	43	おちて	საფულე გღია.
とどける	29	とどけて	განყოფილების უფროსს საბუთებს მიეუტან.
とどく	36	とどいて	საბუთები მოვიდა.
ならべる	30	ならべて	სკამებს ჩავამწკრივებ.
ならぶ	39	ならんで	ადამიანები გამწკრივდნენ.
かたづける	30	かたづけて	ბარგს ვალაგებ.
かたづく	26	かたづいて	ბარგი დალაგდა.
もどす	30	もどして	მაკრატელს უჯრაში დავაბრუნებ.
もどる	33	もどって	განყოფილების უფროსი მალე დაბრუნდება.
みつける	31	みつけて	სამუშაოს პოვნა ძნელია.
みつかる	34	みつかって	სამუშაოს ვერ ვპოულობ.
つづける	31	つづけて	კრებას ვაგრძელებ.
つづく	32	つづいて	კრება ჯერ კიდევ გრძელდება.
あげる	33	あげて	თუ გაიგეთ, ხელი აიწიეთ.
あがる	43	あがって	სიცხე მაღლა იწევს.
さげる	33	さげて	ფასს დავუკლებ და გავყიდი.
さがる	43	さがって	ფასმა დაიწია.
おる	34	おって	ხის ტოტი მე მოვტეხე.
あれる	29	おれて	ტოტი მოტეხილია.
こわす	37	こわして	ბავშვმა საათი გააფუჭა.
こわれる	29	こわれて	ის საათი გაფუჭებულია.
よごす	37	よごして	ბავშვმა ტანსაცმელი დასვარა.
よごれる	29	よごれて	ტანსაცმელი დასვრილია.
おこす	37	おこして	ბავშვს გავადვიებ.
おきる	4	おきて	ბავშვი 7 საათზე იღვიძებს.
かける	38	かけて	გასაღებით ვკეტავ.
かかる	29	かかって	გასაღებით არის დაკეტილი.
やく	46	やいて	პურს ვაცხობ.
やける	39	やけて	პური გამოცხვა.

ზმნის ფუძეები
ახლანდელი-მომავალი დროისთვის

(カス-ფუძე) უარყოფითი ფორმისათვის	(カス-ფუძე) カス ფორმისათვის	(საღეჭ. ფორმა, უბრალო ფორმა)	პირობითი და ბრძანებითი ფორმისათვის	მოხმობითი ფორმისათვის
I ჯგუფი				
დაბოლოება a	დაბოლოება i	დაბოლოება u	დაბოლოება e	დაბოლოება ō
kaka	kaki	kaku (წერა)	kae	kakō
hanasa	hanashi	hanasu (ლაპარაკი)	hanase	hanasō
kawa	kai	kau (ყიდვა)	kae	kaō
ika	iki	iku (წასვლა)	ike	ikō
II ჯგუფი				
		დაბოლოება ru	დაბოლოება re	დაბოლოება yō
mi	mi	miru (ყურება)	mire	miyō
oshie	oshie	oshieru (სწავლება)	oshiere	oshieyō
tabe	tabe	taberu (ჭამა)	tabere	tabeyō
III ჯგუფი				
shi	shi	suru (კეთება)	sure	shiyō
benkyō shi	benkyō shi	benkyō suru (მეცადინეობა)	benkyō sure	benkyō shiyō
ko	ki	kuru (მოსვლა)	kure	koyō

ზმნიზელები და მისი შემცველი გამოთქმები

1.

さっき	წელან თქვენი სახლიდან დარეკეს.	(34)
たったいま	ახლა ავღეჯი.	(46)
いつか	ოდესმე ჩემით მინდა ავაშენო სახლი.	(27)
このごろ	ვატანაბე ბოლო დროს ადრე ბრუნდება.	(36)
しばらく	როცა მეძინება, მანქანას ვაჩერებ და ცოტა ხნით ვიძინებ.	(28)
ずっと	სულ იაპონიაში ვაპირებ ცხოვრებას.	(31)
いつでも	NHK -ს დათვალიერება ყოველთვის შეიძლება.	(26)
たいてい	დასვენების დღეს ძირითადად სურათს ვხატავ.	(28)
たまた	ფილმებს არ ვუყურებ ხოლმე, მაგრამ იშვიათად ტელევიზორით ძველ ფილმს ვნახულობ.	(49)

2.

さきに	ჯერ ტბილეულს მიირთმევთ, შემდეგ ჩაის.	(34)
さいしょに	უპირველეს ყოვლისა ტანაკა მასწავლებელს გაგაცნობთ.	(50)
さいごに	ოთახიდან ბოლო ვინც გამოხვალთ სინათლე ჩააქრეთ.	(50)

3.

きちんと	წიგნები ლამაზად არის ჩამწკრივებული.	(38)
ちゃんと	წამალს მოწესრიგებულად ვსვამ, მაგრამ გაცივება არ მირჩება.	(45)
びつたり	ეს ფეხსაცმელი ფეხზე ზუსტად მერგება.	(43)
はつきり	გარკვევით არ მესმის და ხმამაღლა ილაპარაკეთ.	(27)
いよいよ	მთელი ძალით ვმუშაობ, რომ საკუთარი მაღაზია მქონდეს.	(42)
じゆうに	მასწავლებელმა მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება მისცა.	(48)
ちよくせつ	ამის შესახებ უშუალოდ მასწავლებლისაგან გავიგე.	(26)
きゆうに	ასე თქვეს, რომ მას უცბად საქმე გამოუჩნდა და ვერ მოვა.	(45)

4.

ずいぶん	საკმაოდ მხიარულობენ, არა?	(26)
かなり	ტელევიზორის ახალი ამბები საკმაოდ მესმის.	(36)
もっと	შეეცადეთ მეტი ბოსტნეული ჭამოთ.	(36)
できるだけ	შექლებისდაგვარად ვცდილობ ტბილეული არ ვჭამო.	(36)
ちっとも	ოგაგას ვაფიშივლმა საკურას უნივერსიტეტში რომ ჩააბარა, საერთოდ არ ვიცოდი.	(49)
ほとんど	მისი დაწერილი წიგნები თითქმის ყველა წავიკითხე.	(27)
	გუშინდელ გამოცდაზე თითქმის ვერაფერი შევძელი.	(27)
あんなに	ის ისე მეცადინეობდა, რომ აუცილებლად ჩააბარებს.	(32)

5.

かならず	სამსახურის გაცდენის შემთხვევაში აუცილებლად შეატყობინეთ.	(36)
ぜったいに	არავითარ შემთხვევაში არ დაიგვიანოთ.	(36)
たしか	მისი დაბადების დღე, თუ არ ვცდები, 15 თებერვალს არის.	(29)
もしかしたら	შეიძლება, რომ სასწავლებელი მარტში ვერ დავამთავრო.	(32)
いまでも	თითქოს ამ წუთში გაწვიმდება.	(43)
ちょうど	ზუსტად ახლა იწყება შეჯიბრება.	(46)
どうも	რაღაც ავარიას ჰგავს.	(47)
まだ	კრებათა დარბაზი ჯერ კიდევ დაკავებულია.	(30)
もう	არა, მეტს ველარ გაერბივარ.	(33)
やっど	ძლივს შევძელი ველოსიპედის ტარება.	(36)

წინადადებების დაკავშირება

- 1.**
- ~ながら სურათებს გაჩვენებთ, თან აგიხსნით. (28)
- ~し იაფიც არის და გემრიელიც, ამიტომ ყოველთვის ამ რესტორანში ვჭამ. (28)
- それに ვატ მასწავლებელი მონდომებულიც არის, პატიოსანიც, გარდა ამისა, გამოცდილებაც აქვს. (28)
- そのうえ მისი ასაკიც, შემოსავალიც, გატაცებაც, ჩემ სურვილს ემთხვევა. ამავე დროს გვარიც ერთნაირი გვაქვს. (43)
- 2.**
- それで ამ მაღაზიაში სისუფთავეა, აქვე შეგიძლია ჭამო. . . ამიტომ ხალხიც ბევრია. (28)
- ~て ახალ ამბებს მოვუსმინე და გავოცდი. (39)
- ~くて შაბათს არ შემიძლია და ვერ მოვალ. (39)
- ~で იმ ფილმში ამბავი ჩახლართულია და კარგად ვერ გავიგე. ავარიის გამო ავტობუსმა დაიგვიანა (39)
- ~ので საქმე მაქვს და მე დაგტოვებთ. (39)
- დღეს დაბადების დღეა და დვინო ვიყიდე. (39)
- 3.**
- ~のに ის დამპირდა, მაგრამ არ მოვიდა. (45)
- დასვენებაა, მაგრამ უნდა ვიმუშაო. (45)
- 4.**
- ~ば გაზაფხული რომ მოვა, საკურა აყვავდება. (35)
- კარგ ამინდში იქ კუნძული მოჩანს. (35)
- ~なら თუ საუბარია ცხელი წყლის აბანოებზე, კარგია ჰაკუბა. (35)
- ~ばあいは სამსახურის გაცდენის შემთხვევაში ტელეფონით დაგვიკავშირდით. ბილეთის დაკარგვის შემთხვევაში სადგურის მომსახურე პერსონალს მიმართეთ. (45)
- ქვითარი თუ დაგჭირდეთ, ამ მისამართზე დაუკავშირდით. (45)
- 5.**
- では აბა, ჩემი წასვლის დროა. (45)
- 6.**
- ところで ჰანსს კარგი მოსწრება აქვს. მართლა? გმადლობ. სხვათა შორის სულ მალე სპორტული შეხვედრა გვექნება, მამამისიც დაესწრება? (40)



დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში
0162, თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 3